

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ევროპეისტიკის დეპარტამენტი

თამარ დოლიძე

**ინგლისური საგაზეთო-საინფორმაციო ტექსტის სტილის
თავისებურებანი**

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

წარმოდგენილი ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად
სპეციალობით: ენათმეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **მადონა მეგრელიშვილი**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ბათუმი 2009

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი -----	4-9
თავი I. სხვადასხვა სისტემის ენების თეორიული პრობლემები	10-36
§. 1. ნიშნის ცნება და მისი ევოლუცია თანამედროვე ლინგვისტიკაში -----	10-16
§. 2. ამბივალენტურობა სხვადასხვა სისტემის ენებში -----	16-20
§. 3. რეფერენციალურ მნიშვნელობათა გადმოცემა სხვადასხვა სისტემის ენებში -----	21-24
§. 4. პრაგმატიკულ მნიშვნელობათა გადმოცემათა სხვადასხვა სისტემის ენებში -----	25-28
§. 5. შიდალინგვისტურ მნიშვნელობათა გადმოცემა სხვადასხვა სისტემის ენებში -----	28-30
§. 6. გრამატიკულ მნიშვნელობათა გადმოცემა სხვადასხვა სისტემის ენებში -----	30-31
§. 7. კონტექსტისა და სიტუაციის მნიშვნელობა სხვადასხვა სისტემის ენებში -----	32-36
თავი II. ენის სხვადასხვა დონეების გადმოცემის საშუალებები განსხვავებული სისტემის ენებში	37-67
§. 1. ენობრივ საშუალებათა გადმოცემა მორფოლოგიასა და სინტაქსის დონეზე -----	37-43
§. 2. მთარგმნელობით ტრანსფორმაციათა ტიპები -----	43-60
§. 3. თავისუფალი სიტყვათშეხამებები -----	60-67

თავი III. საგაზეთო-საინფორმაციო ტექსტის სტილის თავისებურებანი	68-115
§. 1. წინასწარი შენიშვნები -----	68-71
§. 2. საგაზეთო სათაურების გრამატიკული თავისებურებები -----	72-79
2.1. ზმნური თავისებურებები -----	72-73
2.2. ზმნის გრამატიკულ დროთა ფუნქციურ-სემანტიკური თავისებურებები -----	73-75
2.3. სახელადი ჯაჭვები -----	76-79
2.4. არტიკლების გამოტოვება -----	79
§. 3. საგაზეთო სათაურების ლექსიკური თავისებურებები -----	80-88
3.1. აბრევიატურები -----	80-81
3.2. სათაურის ლექსიკა -----	82-88
§. 4. საგაზეთო-საინფორმაციო შეტყობინებების სტრუქტურა	88-103
§. 5. საგაზეთო სათაურების სტილისტიკა და მისი და ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტი	103-115
5.1. სათაური კალამბური -----	104
5.2. მეტაფორული სათაურები -----	105-106
5.3. ალუზიური სათაურები -----	107-108
5.4. „ეროვნული სახეების“ ცნება საგაზეთო სათაურებში -----	109-115
დასკვნები -----	116-118
გამოყენებული ლიტერატურა -----	119-124
ანოტაცია -----	125-140

შესავალი

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება ინგლისური საგაზეთო-საინფორმაციო ტექსტის სტილის თავისებურებების კვლევას სათაურების მასალაზე და მათ შეპირისპირებით ანალიზს ქართულ ენასთან მიმართებაში.

ყოველ ენას თავისი იმანენტური სტრუქტურა გააჩნია. როგორც თეორიული ლინგვისტიკის ფუძემდებელი ვ. ჰუმბოლდტი აღნიშნავდა: „ენა არის არა მკვდარი პროდუქტი, არამედ შემო-ქმედებითი პროცესი“ (ჰუმბოლდტი, 1956: 14). XX საუკუნის ლინგვისტიკის თეორიულ რეკონსტრუქციას თუ მოვახდენთ, დავინახავთ, რომ ამ დინამიკის საფუძველს წარმოადგენს ენის სემიოტიკური გაგება (ენა არის არბიტრალურ ნიშანთა სისტემა) და ენობრივი ნიშნის ევოლუცია, რაც ძირითადად ორი მიმართულებით მიმდინარეობდა. ერთი მხრივ, ეს იყო მოძრაობა სინტაქტიკიდან პრაგმატიკისაკენ; ხოლო მეორე მხრივ – ნიშნის არასრული ტიპიდან ისეთი სრული ტიპისაკენ, როგორცაა ტექსტი. თუ ემილ ბენვენისტისთვის „წინადადება შედგება ნიშნებისაგან, მაგრამ თავად იგი ნიშანი არ არის“ (ბენვენისტი, 1965: 35), თანამედროვე ლინგვისტიკა ნიშნად მიიჩნევს უკვე არა მარტო სიტყვას, არამედ წინადადებასაც და უფრო შორსაც მიდის: იგი ნიშნად განიხილავს ენის უმაღლესი დონის ერთეულს – ტექსტს. თუმცა, იმ მკვლევართა რიცხვი, ვისთვისაც ტექსტი არ წარმოადგენს ნიშანს, საკმაოდ მნიშვნელოვანია. **წინამდებარე ნაშრომი ეფუძნება ტექსტის ფუნქციურ გაგებას, რომლის თანახმადაც ტექ-სტად შეიძლება ჩაითვალოს არა მხოლოდ თემატურად ურთიერთდაკავშირებულ წინადადებათა თანმიმდევრობა, არამედ თუნდაც ერთი წინადადება ან ერთი სიტყვაც კი, თუ მას შეუძლია დამოუკიდებლად შეასრულოს კომუნიკაციის ფუნქცია** (ლებანიძე, 1998: 23).

აქედან გამომდინარე, ჩვენი სადისერტაციო ნაშრომი მთლიანად ტექსტზეა ორიენტირებული. იგი იმ სტილისტური და ლინგვისტური პრობლემების განხილვას ეძღვნება, რომელიც თავს იჩენს საგაზეთო-საინფორმაციო ტექსტში, კერძოდ, მის სათაურში. ნაშრომი საგაზეთო სათაურს ანიჭებს ტექსტის სტატუსს, რომელსაც განსაკუთრებული ტიპის ფუნქციური დატვირთვა აქვს. ხშირად ხომ გაზეთის მკითხველი მხოლოდ სათაურის გაცნობით კმაყოფილდება, ვინაიდან მასში აკუმულირებულია ტექსტში მოცემული ინფორმაციის ბირთვი, რის გამოც იგი ერთგვარ ცნობა-ინფორმაციად განიხილება ტექსტის მიმართ (გვოზდევო, 1977: 98).

მკვლევარები სხვადასხვანაირად აფასებენ სათაურს, როგორც მეტყველების კონკრეტულ გამოვლინებას. რუსი ენათმეცნიერის რონგინსკის

განმარტებით, **სათაური, როგორი მწიერი ენობრივი შემაღენლობითაც არ უნდა იყოს წარმოდგენილი, მაინც შეიცავს ერთგვარ დასრულებულობას, რომელსაც ის ტექსტთან მიმართებაში იძენს. სათაური ტექსტის განსაკუთრებული ბირთვის მატარებელია. იგი არის სამეტყველო ურთიერთობის ერთეული, რომელიც თავის თავში მოიცავს ტექსტის მთავარ სათქმელს** (რონგინსკი, 1977: 183).

მოყვანილი განმარტებები საგაზეთო სათაურსაც მიესადაგება. თუმცა, საგაზეთო სათაურს თავისი სპეციფიკა გააჩნია – იგი მხოლოდ გაზეთის ფურცელზე ცოცხლობს, რის გამოც პუბლიცისტური ჟანრისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს ატარებს.

ნაშრომის მიზანია: ა) გამოვლენილ და განზოგადებულ იქნეს ინგლისური საგაზეთო-საინფორმაციო ტექსტის სათაურის სტრუქტურული, ლექსიკურ-გრამატიკული და სტილისტური თავისებურებები, რომელთა ერთობლიობაც ქმნის მის ჟანრობრივ-სტილურ ტიპობრიობას; ბ) მოახდინოს მათი ანალიზი ისეთი განსხვავებული სისტემის ენობრივ მასალასთან შეპირისპირებით, როგორც არის ქართული ენა.

ამასთან დაკავშირებით, ნაშრომში ეტაპობრივად არის გადაჭრილი შემდეგი **კონკრეტული ამოცანები:**

1. შემუშავებულია კონცეპტუალური აპარატი დასახული კვლევის საწარმოებლად;
2. განსაზღვრულია საგაზეთო-საინფორმაციო ტექსტის სათაურის ნიშნობრივი სტატუსი მისი სემანტიკური, სინტაქტიკური და პრაგმატიკული ასპექტების გათვალისწინებით;
3. დადგენილია კონტექსტისა და ექსტრალინგვისტური სიტუაციის როლი საგაზეთო სათაურის მნიშვნელობის კონკრეტიზაციასა და მის ქართულ ენაზე თარგმნაში;
4. განხილულია თარგმნის როლი სხვადასხვა სისტემის ენების თავისებურებათა გამოვლენაში და დადგენილია მთარგმნელობითი ტრანსფორმაციების ტიპები, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა დონის ინგლისურ ენობრივ ერთეულთა ქართულ ენაზე გადმოსაცემად;
5. გამოვლენილი და სისტემაშია მოყვანილი ინგლისური საგაზეთო-საინფორმაციო ტექსტის სათაურის სტრუქტურული, ლექსიკურ-გრამატიკული, სტილისტური და ლინგვოკულტუროლოგიური ხასიათის თავისებურებები, რომლებიც მის ჟანრობრივ-სტილურ ტიპობრიობას ქმნის.

საგაზეთო-საინფორმაციო ტექსტის სათაურის შესწავლა და ანალიზი განხორციელებულია **კვლევის ლინგვოსემიოტიკურ და ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციურ მეთოდოლოგიაზე** დაყრდნობით. ეს გულისხმობს, *ერთი მხრივ*, სათაურის განხილვას მისი სემანტიკური(რეფერენციალური), სინტაქტიკური(შიდაენობრივი) და პრაგმატიკული ასპექტების გათვალისწინებით. *მეორე მხრივ*, სათაურის ხსენებული ნიშნობრივი თავისებურებების გამოვლენა ხდება ინტერსუბიექტურობის ფონზე ავტორის კომუნიკაციური ინტენციის და სტრატეგიის გათვალისწინებით; მხედველობაშია მიღებული ასევე ადრესატის ფაქტორი მისი სამეტყველო-ენობრივი კომპეტენციით და სოციო-კულტურული ფონური ცოდნით.

ნაშრომში დასახული კონკრეტული ამოცანების განხილვა მიმდინარეობს შედარებითი თარგმნის და კომპლექსური კვლევის ისეთი **კონკრეტული მეთოდების გამოყენებით**, როგორც არის ენობრივ ერთეულთა სისტემურ-სტრუქტურული ანალიზი და მათი კონტექსტურ-სემანტიკური, სოციო-კულტურული და სტილისტური ინტერპრეტაცია.

საკვლევ მასალად აღებული გვაქვს საინფორმაციო ტექსტების სათაურები ინგლისურენოვანი გაზეთებიდან: The Guardian, Washington Times, Washington Post, USA Today, New York Times, International Herald Tribune, Financial times, Daily News, Daily Telegraph, The Australian, Georgian times, GeoTimes, etc.

სადისერტაციო თემის აქტუალურობა განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

1. საგაზეთო-საინფორმაციო ტექსტის სათაურს განსაკუთრებული ფუნქცია აკისრია. იგი უმეტესწილად ექსპლიციტურად, ზოგჯერ კი იმპლიციტურად, შეიცავს ავტორის კომუნიკაციურ ინტენციას, რომელიც ფუნქციური სინკრეტიზმით ხასიათდება. *ერთი მხრივ*, საგაზეთო სათაური ორიენტირებულია შინაარსობრივი ინფორმაციის მაქსიმალურად შეკუმშული და შეკრული სახით გადმოცემაზე, რომელსაც უნარი აქვს გაიხსნას და გაიშალოს ძირითად ტექსტთან ერთად. ჟურნალისტიკის ცნობილი ამერიკელი მკვლევარის ლესლი სელერსის აზრით, “Headlines should tell the story, the sages say.”¹ შესაბამისად, სათაური შესაძლებელია მივიჩნიოთ კომპრესირებულ ტექსტად. *მეორე მხრივ*, საგაზეთო სათაურში რეალიზებას ჰპოვებს ავტორის კომუნიკაციური სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს მკითხველის ინტერესის სტიმულირებას საგანგებოდ შერჩეული

¹ L. Sellers, *Journalism*, New York: Praeger Publishers, 1990: 85.

აზრობრივი ბირთვის და მისი ეფექტური, ორიგინალური ლინგვოსტილისტური გაფორმებით.

2. ხშირად საგაზეთო სათაურის სწორი აღქმა გარკვეულ სიძნელეებს უქმნის არა მარტო უცხოელ მკითხველს, არამედ ენის მატარებელსაც, რაც განპირობებულია მისი ენობრივი გაფორმების სტრუქტურული, გრამატიკული, ლექსიკური და სტილისტური თავისებურებებით. ვფიქრობთ, ჩვენი ნაშრომი აქტუალურია ამ მიმართებითაც, რადგანაც იგი მიზნად ისახავს სწორედ ამ თავისებურებების წარმოჩენას.

3. და ბოლოს, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თითქმის სრულიად შეუსწავლელია საგაზეთო სათაურის ლინგვოკულ-ტუროლოგიური ასპექტი შეპირისპირებით პლანში, რომელიც მოითხოვს მკითხველის განსაკუთრებულ მენტალურ აქტივობას და შესაბამის სოციო-კულტურული ხასიათის ფონურ ცოდნას სათაურში ჩადებული ქვეტექსტის სწორი ინფერენციის განსახორციელებლად. ეს იმით არის გამოწვეული, რომ სათაურები განყენებულად დგანან, ყოველგვარი განმარტებების გარეშე და მათი აღქმა-გაგება დამოკიდებულია როგორც სტატიაში განხილული სფეროსა და საკითხების ცოდნაზე, ასევე აღუზიური და მეტაფორული სათაურების ინტერპრეტაციის უნარზე, რაც თავის მხრივ ეფუძნება რეალობის ასახვისა და მოდელირების უნარს.

ნაშრომის თეორიულ ღირებულებას და სიახლეს განაპირობებს, ერთი მხრივ, კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი და მიღებული შედეგები, რომელთა ერთობლიობაც სრულად წარმოაჩენს საგაზეთო-საინფორმაციო ტექსტის სათაურის სტრუქტურულ, ლექსიკურ-გრამატიკულ, სტილისტურ და ლინგვო-კულტუროლოგიურ თავისებურებებს, რომლებიც ქმნიან მის ჟანრობრივ-სტილურ ტიპობრიობას და განაპირობებენ სათაურის, როგორც კონდენსირებული სპეციფიური ტექსტის, ნიშნობრივ სტატუსს. ამით, ჩვენი ნაშრომი ინგლისურ პუბლიცისტიკაში დღეისათვის წინა პლანზე წამოჭრილ მნიშვნელოვან საკითხებს ეხმიანება.

მეორე მხრივ, ინგლისური და ქართული საგაზეთო სათაურების შეპირისპირებითი ანალიზი შესაძლებლობას იძლევა, გამოვლენილ იქნეს ამ ენების სისტემური თავისებურებებით და სოციო-კულტურული ფაქტორებით განპირობებული სტრუქტურული და ლექსიკურ-გრამატიკული განსხვავებები და მათი გათვალისწინებით შემუშავებულ იქნეს რეკომენდაციები, რომლებიც, ჩვენი

აზრით, მოკრძალებულ წვლილს შეიტანს ინგლისური საგაზეთო სათაურების ქართულ ენაზე თარგმნაში.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ მასში მოცემული მასალა და კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ინგლისური ენის სტილისტიკის და თარგმნის თეორიის სპეცკურსებსა და სემინარებზე, ასევე პრესის და ტექსტის ანალიზის სწავლებისას.

რაც შეეხება ნაშრომის სტრუქტურას და მოცულობას, იგი შეესაბამება მის მიზნებსა და ამოცანებს. მოცემული დისერტაცია შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნითი ნაწილისაგან (სულ – 140 გვ.). მას თან ერთვის გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის, საგაზეთო და კომპიუტერული საინფორმაციო მასალების სიები. ნაშრომს თან ახლავს ასევე ანოტაცია ინგლისურ ენაზე.

შესავალში დასაბუთებულია არჩეული თემის აქტუალურობა. განსაზღვრულია კვლევის მიზნები და ამოცანები, მათი გადაჭრის მეთოდოლოგიური საფუძველი და ანალიზის კონკრეტული მეთოდები. ხაზგასმულია ასევე სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე, მისი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება.

პირველ თავში – “სხვადასხვა სისტემის ენების თეორიული პრობლემები” – განხილულია ენობრივი ნიშნის ცნება და მისი ევოლუცია და ამ ფონზე განსაზღვრულია საგაზეთო სათაურის ლინგვისტური სტატუსი. განზოგადებულია ენის ამბივალენტურობა, რომელიც თავს იჩენს სხვადასხვა დონის ენობრივ ერთეულთა სემანტიკური (რეფერენციალური), სინტაქტიკური (შიდაენობრივი) და პრაგმატიკული თავისებურებების გადმოცემისას განსხვავებული სისტემის ენებში; განხილულია კონტექსტის და ექსტრალინგვისტური სიტუაციის ტიპები და დადგენილია მათი განსაკუთრებული როლი საგაზეთო სათაურების სწორ ინტერპრეტაციასა და ადექვატურად თარგმნაში.

მეორე თავში – “სხვადასხვა დონის ენობრივ ერთეულთა გადმოცემის საშუალებები განსხვავებული სისტემის ენებში” – მოცემულია ინგლისურ ენობრივ საშუალებათა ქართულ ენაზე გადმოცემის სტრუქტურულ-სემანტიკური ვარიანტები მორფოლოგიის, სინტაქსის და ტექსტის დონეებზე. ამასთან დაკავშირებით განხილულია მთარგმნელობითი ტრანსფორმაციის ისეთი ტიპები, როგორცაა გადანაცვლება, შეცვლა მისი ნაირსახეობებით, ანტონიმური თარგმნა, კომპენსაცია, დამატებები, გამოტოვებები და სხვ. საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი თავისუფალი სიტყვათშეხამებების და უეკვივალენტო ლექსიკის ქართულ ენაზე გადატანის პრობლემებს.

მესამე თავი – “საგაზეთო-საინფორმაციო ტექსტის სტილის თავისებურებანი”–
ედგინება ინგლისურენოვანი საგაზეთო-საინფორმაციო შეტყობინების სათაურის, როგორც სპეციფიური კონდენსირებული ტექსტის, ჟანრობრივ-სტილური ტიპობრიობის შემქმნელი გრამატიკული, ლექსიკური, სტილისტური და ლინგვო-კულტუროლოგიური თავისებურებების გამოვლენას და მათი ქართულ ენაზე თარგმნის პრობლემას. გრამატიკის კუთხიდან, ამ თავში განხილულია სათაურის მორფო-სინტაქსური გაფორმების ტიპური შემთხვევები (ზმნების და არტიკლების გამოტოვება, მიმდებარე კონსტრუქციები, გრამატიკულ დროთა სისტემის ფუნქციურ-სემანტიკური სპეციფიურობა და სხვ.). ლექსიკური თვალსაზრისით, ყურადღება არის კონცენტრირებული სათაურში აბრევიატურების, ჟანრობრივ-სტილისტურად მარკირებული სიტყვების, სლენგებისა და ჟარგონული ფრაზების ხშირ გამოყენებაზე. განხორციელებულია ასევე კალამბურების, მეტაფორული და ალუზიური სათაურების ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი, რომელიც მკითხველის სოციო-კულტურულ ცოდნას ეფუძნება, რის გამოც მათი აღქმადეკოდირება გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში ჩამოყალიბებულია კვლევის შემაჯამებელი თეორიული განზოგადებები.

თავი I.

სხვადასხვა სისტემის ენების თეორიული პრობლემები

ნაშრომი ინგლისური საგაზეთო-საინფორმაციო ტექსტის თავისებურებებს ეხება. ვინაიდან ნაშრომის კვლევის მეთოდად გამოყენებულია საგაზეთო ტექსტებისა და სათაურების შედარებითი თარგმანი და ინტერპრეტაცია, ამდენად შეუძლებელია ნაშრომში არ მიმოვიხილოთ სხვადასხვა სისტემის ენების ის თეორიული პრობლემები, რომლებიც განსაკუთრებით იჩენს თავს საგაზეთო-საინფორმაციო ტექსტის თავისებურებების ინტერპრეტაციისას.

§.1. ნიშნის ცნება და მისი ევოლუცია თანამედროვე ლინგვისტიკაში

სადისერტაციო ნაშრომის ამოსავალ თეორიულ დებულებას წარმოადგენს ენის სემიოტიკური გაგება და ენობრივი ნიშნის ევოლუცია. თეზისი ენის ნიშნობრიობის შესახებ დასაბამს იღებს შვეიცარიელი მეცნიერის ფერდინანდ დე სოსიურის ლინგვისტურ კონცეფციაში და მასზე აგებულია მთელი XX საუკუნის ენათმეცნიერება. ამ კონცეფციის თანახმად, ენის უმთავრეს მახასიათებელს წარმოადგენს ის, რომ იგი არის არბიტრალურ, ანუ შეთანხმების შედეგად მიღებულ პირობით ნიშანთა სისტემა.

რა არის ნიშანი და როგორ განისაზღვრება იგი ზოგადად? ჯერ კიდევ შუასაუკუნეებში შეიქმნა ნიშნის ის დეფინიცია, რომელიც დღესაც ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას: “Aliquid stat pro aliquo” (“რაცღა დგას რაღაცის მაგივრად”). ლონგმენის ლექსიკონი გვთავაზობს ნიშნის ანალოგიურ განმარტებას: “a mark with a conventional meaning, used to replace or denote something” (Longman New Universal Dictionary, 2001). ამ განმარტების მიხედვით, ნიშანზე შეიძლება ვილაპარაკოთ ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე საგანი ან ფენომენი მიუთითებს მეორე საგანზე ან ფენომენზე და სწორედ ეს მიუთითება წარმოადგენს ნიშნის ძირითად ფუნქციას მოცემულ სიტუაციაში. ეს გახლავთ **ნიშნის ფართო გაგება**. ამ დეფინიციის თანახმად, ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს როგორც ენობრივი ერთეულები (სიტყვა, წინადადება), ისე სხვა ნებისმიერი საგანი ან ფენომენი, რომელიც სინამდვილეს აღნიშნავს (მაგალითად, გერბი, ხელოვნების ნებისმიერი ნაწარმოები, შუქნიშანი და სხვ.). ეს ნიშნავს იმას, რომ ენობრივი ნიშნების

გარდა არსებობს სხვა სახის ნიშნებიც, თუმცა მათ შორის ენობრივ ნიშანს – ადამიანის ბგერით ენას უკავია ცენტრალური ადგილი. რაც შეეხება **ნიშნის ვიწრო გაგებას**, იგი აუცილებლად გულისხმობს მის არბიტრალურობას, ანუ პირობითობას, და ყოველთვის ეყრდნობა მას.

მეცნიერებას, რომელიც იკვლევს სხვადასხვა სახის ნიშანთა სისტემების საერთო მახასიათებლებს, **სემიოტიკა** ეწოდება (ბერძნ. sema, semeion “ნიშანი”). რამდენადაც ადამიანის ენა პირობითი ხასიათის ბგერით ნიშანთა სისტემას წარმოადგენს, იმდენად ლინგვისტიკა ცენტრალურ სემიოტიკურ დისციპლინად მოიაზრება. ერთი მხრივ, იგი ეყრდნობა სემიოტიკის ზოგად მონაცემებს, მეორე მხრივ კი, თვითონ შეიძლება ჩაითვალოს სემიოტიკის პროპედევტიკად (შესავალ კურსად), რადგანაც ყველა სხვა დანარჩენი სახის ნიშანი საბოლოო ჯამში მას ეფუძნება, მისგან არის ნაწარმოები.

ენობრივი ნიშნის არსებობისა და ფუნქციონირების ფიზიკურ, მატერიალურ საყრდენს წარმოადგენს არანიშნობრივ ელემენტთა – ბგერათა(ან გრაფემათა) კომპლექსი, რომელიც ხაზობრივ (ლინეარულ) ხასიათს ატარებს და მუდამ დროშია მოცემული. ენობრივი ნიშნის ეს მატერიალურ-ბგერითი ასპექტი უპირისპირდება მის სემანტიკურ ასპექტს როგორც გამოსატყულების პლანი შინაარსის პლანს, რომელიც ხაზობრივი და ტემპორალური არ არის. ენობრივი ნიშნის არსებობისა და ფუნქციონირების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მისი კავშირი სხვა ნიშანთან ან ნიშნებთან. შეუძლებელია არსებობდეს ნიშანი, რომელიც არ შედის ნიშანთა სისტემაში.

ნიშანს აქვს ორი მხარე: **აღმნიშვნელი** და **აღსანიშნი**. **აღმნიშვნელი** არის ენობრივი ნიშნის მატერიალური მხარე, ფორმა, რომელიც ბგერითი ან გრაფემათა კომპლექსით არის წარმოდგენილი; ხოლო ის, რასაც იგი აღნიშნავს – საგნის, თვისებისა თუ მოვლენის ამსახველი ცნება – არის **აღსანიშნი**. კავშირი ნიშნის ამ ორ მხარეს შორის მყარდება გარკვეული მიმართებების საფუძველზე და ეს მიმართებები ქმნიან ნიშნის მნიშვნელობას.

ენა არის არბიტრალურ ნიშანთა სისტემა, რაც იმას გულისხმობს, რომ **კავშირი აღმნიშვნელსა და აღსანიშნს შორის პირობითია**. ეს იმას ნიშნავს, რომ აღმნიშვნელის ბგერითი ფორმა არ განისაზღვრება იმ საგნისა თუ მოვლენის ბუნებით, რომელზედაც იგი მიუთითებს. ამით აიხსნება ის, რომ ერთი და იგივე საგნები თუ მოვლენები სხვადასხვა ენაში ერთმანეთისაგან განსხვავებული ბგერითი ფორმის მქონე სიტყვებით აღინიშნება. მაგალითად: ქართულში “გოგონა”, რუსულში « », ინგლისურში “girl” და ა.შ. ამავდროულად უნდა

აღნიშნოს, რომ ყოველ ენაში არსებობს ე.წ. ხმაბაძვითი ანუ **ონომატოპოეტური** სიტყვები, რომელთა აღმნიშვნელი ნაწილობრივ ასახავს მათ მიერ აღნიშნული საგნისა თუ მოვლენის ფიზიკურ ბუნებას, თუმცა ისინიც განსხვავდება ენების მიხედვით. მაგალითად, ძაღლის ყეფას ინგლისელი ბაძავს bow-wow ფორმით, გერმანელი – wau-wau, ფრანგი – gnaf-gnaf, რუსი – - ფორმით და ა.შ. მაგრამ, ეს სიტყვები ენაში მხოლოდ მცირერიცხოვან ჯგუფს ქმნიან და არ ასახავენ ენობრივ ნიშანთა მთლიან სისტემას, რომელიც ძირითადად პირობითი ნიშნებისგან შედგება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, **ენობრივი ნიშანი შეიძლება განისაზღვროს როგორც ბგერათა (გრაფემათა) თანმიმდევრობით შექმნილი ფორმა, რომელიც არბიტრალურად ანუ შეთანხმების საფუძველზე მიათითებს (აღნიშნავს) ექსტრალინგვისტურ ობიექტზე, იქნება ეს საგანი, მისი თვისება, მოვლენა თუ სიტუაცია.**

ბგერით კომპლექსსა და არბიტრალურად მითითებულ ობიექტს შორის აუცილებელი არ არის სიმეტრიული ურთიერთობის არსებობა, რამდენადაც ერთ ბგერით კომპლექსს შეიძლება შეესაბამებოდეს ერთზე მეტი ობიექტი ან ფენომენი. ამაში მდგომარეობს ენობრივი **ნიშნის ასიმეტრიულობა**, რაც დაკავშირებულია მის ე.წ. **სინკრეტიზმთან – ერთზე მეტი ობიექტის თუ ფენომენის მითითების უნართან**. მაგალითად, ინგლისურ ენაში ბგერითი კომპლექსი chair ქმნის ნიშანს, რომლის აღმნიშვნელსაც სხვადასხვა ნიშნობრივ გარემოცვაში (კონტექსტში) შეესაბამება ისეთი აღსანიშნები, როგორიც არის სკამის, კათედრის (the English Language Chair) და ა.შ. ამსახველი ცნებები.

ლინგვისტიკის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ცნობილი იყო ენობრივი ნიშნის სამი ძირითადი ტიპი ანუ მისი სამი ძირითადი მოდელი:

- 1. ენობრივი ნიშნის სოსიურისეული ორპლანიანი მოდელი;**
- 2. ენობრივი ნიშნის სამკუთხედოვანი მოდელი;**
- 3. ენობრივი ნიშნის სამგანზომილებიანი მოდელი.**

სოსიური ენობრივი ნიშანს განიხილაგდა როგორც ორპლანიან ერთეულს, რომელსაც აქვს ორი მხარე: აღმნიშვნელი და აღსანიშნი. აღმნიშვნელი არის ენობრივი ნიშნის მატერიალური მხარე, ფორმა, რომელიც ბგერათა ან გრაფემათა კომპლექსით არის წარმოადგენილი; ხოლო ის, რასაც იგი აღნიშნავს – საგნის, თვისებისა თუ მოვლენის ამსახველი ცნება/კონცეპტი – არის აღსანიშნი. ენობრივი ნიშნის ეს ორი მხარე ერთმანეთისგან განუყოფელია და ქმნიან ნიშნის მნიშვნელობას. მნიშვნელობა, ეს არის ის ცნება, კონცეპტი, რომელიც კონვენციონალურად არის დაფიქსირებული მოცემული ბგერითი კომპლექსის მიღმა ამ

ენის მატარებელთა ცნობიერებაში. აქედან გამომდინარე, მნიშვნელობის მქონე ყოველი ელემენტი ენობრივ სისტემაში არის ნიშანი, ხოლო მნიშვნელობას მოკლებული ელემენტი ნიშნად არ ჩაითვლება (მაგ., ბგერები).

ნიშნის სოსიურისეულ მოდელს თან ახლდა კვლევის სპეციფიური მეთოდოლოგიაც, რომლის თანახმადაც ლინგვისტური კვლევა არ სცილდებოდა საგნის ფარგლებს და შიდაენობრივ ხასიათს ატარებდა. ამ მოდელს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, რადგან ყოველი შემდგომი მოდელი მას ეფუძნება და მისი სტრუქტურის გაშლასა და დახვეწას წარმოადგენს.

ლინგვისტური აზროვნების განვითარების პარალელურად, თანდათანობით ფართოვდება კვლევის მეთოდოლოგიაც:

1. ერთი მხრივ, იგი უკავშირდება ენას, როგორც ნიშანთა სისტემას, იმ მიმართებით, რომ თანდათანობით ხდება ნიშნის დიაპაზონის გაფართოვება: დასაწყისში სრული ნიშნის სტატუსი ჰქონდა მხოლოდ სიტყვას და მხოლოდ იგი ითვლებოდა ენობრივ ნიშნად. შემდეგ ასეთი სტატუსი მიიღო წინადადება. კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში კი სრული ნიშნის სტატუსი ენიჭება უკვე ტექსტს.
2. მეორე მხრივ, კვლევის მეთოდოლოგია ენობრივ ნიშანს უკავშირებს იმ ობიექტურ სინამდვილეს, რომლის წიაღშიც ის არსებობს და ფუნქციონირებს.

ეს სინამდვილე კი ენასთან მიმართებაში ძირითადად არსებობს ორი ასპექტით და ორივე ეს ასპექტი დაკავშირებულია ენის ორ ძირითად ფუნქციასთან – ნომინაციურთან და კომუნიკაციურთან. შესაბამისად, ენობრივი ერთეულების კვლევა ხორციელდება:

- ა) ობიექტურად არსებული იმ სინამდვილის გათვალისწინებით, რომელსაც აღნიშნავს ენა, როგორც სემიოტიკური სისტემა, და რომელსაც ნიშნის სემანტიკური (რეფერენციალური) ასპექტი ეწოდება;
- ბ) სინამდვილის იმ სპეციფიური მონაკვეთის გათვალისწინებით, რომელშიც რეალიზებას ჰპოვებს ენის კომუნიკაციური ფუნქცია

და რომელსაც საკომუნიკაციო აქტი ეწოდება. შედეგად, კვლევითი ინტერესის კონცენტრირება ხდება ენობრივი ნიშნის პრაგმატიკულ ასპექტზე. რაც გულისხმობს ხაზგასმას იმაზე, თუ სად, როდის, ვის მიერ, ვისთვის და რა მიზნით ხდება რაიმეს აღნიშვნა.

მეორე მოდელი, რომელიც ცნობილია ენობრივი ნიშნის “სამკუთხედოვანი მოდელის” სახელით, სწორედ შიდაენობრივი ჩაკეტილობის გადალახვის ტენდენციამ წარმოშვა. ამ მოდელს თან ახლდა მეთოდოლოგიური ხასიათის ცვლილებაც, რაც მდგომარეობდა ნიშნის ცნების დეფსიქოლოგიზაციასა და მისთვის ლოგიკური ბუნების მინიჭებაში.

ენობრივი ნიშნის მეორე მოდელის არსი მდგომარეობდა მისი შინაარსობრივი პლანის დიქტომიზაციაში. შესაბამისად, სოსიურისეული აღსანიშნი შინაგანად გაიყო ორ ასპექტად, რის შედეგადაც ლინგვისტურ ლიტერატურაში შემოტანილ იქნა ორი ცნება: სიგნიფიკატი და დენოტატი:

1. **სიგნიფიკატი** – ეს არის კონცეპტი, ცნება იმ საგნისა თუ მოვლენისა, რომელზეც მიუთითებს (აღნიშნავს) ბგერათა კომპლექსი (აღმნიშვნელი). მაგალითად სიტყვა-ნიშნის “მაგიდა” სიგნიფიკატი ანუ ცნება არსებობს მხოლოდ ცნობიერებაში, ამდენად იგი თავისი ბუნებით აბსტრაქტულია და ფსიქიკის სფეროს განეკუთვნება. სიგნიფიკატი, თავის მხრივ, უპირისპირდება დენოტატს.
2. **დენოტატი** არის, ენის დონეზე, ვირტუალური ნიშნით აღნიშნული გარეენობრივი რეალობის საგანთა თუ მოვლენათა ზოგადი ხატი, სტერეოტიპი, რომელიც მოცემული ენობრივი ერთეულის კონცეპტს შეესაბამება. მეტყველების დონეზე კი, დენოტატის ნაცვლად გამოიყენება ტერმინი **რეფერენტი**, რომელიც ენობრივი ნიშნით მითითებულ კონკრეტულ ექსტრალინგვისტურ საგანსა თუ მოვლენას წარმოადგენს.

აღსანიშნის ორად გაყოფის შედეგად გაჩნდა ნიშნის სამკუთხედოვანი მოდელი, რომლის საშუალებითაც ნიშანი დაუკავშირდა სინამდვილეს, რომელსაც ის აღნიშნავს.

ნიშნის მესამე მოდელი, რომელიც საფუძვლად უდევს დღევანდელ კომუნიკაციურ ლინგვისტიკას, წარმოშობილია ენობრივი ჩაკეტილობის გადალახვის მეორე მიმართულებით, რომლისთვისაც მთავარი და გადამწყვეტი იყო ნიშნის დაკავშირება კომუნიკაციურ აქტთან.

რაში მდგომარეობს ამ მოდელის არსი? სამგანზომილებიანი სემიოტიკური მოდელის მიხედვით, ყოველი ენობრივი ნიშანი ხასიათდება მიმართებათა სამი კოორდინატით ანუ განზომილებით:

1. პირველი კოორდინატი მოთავსებულია ექსტრალინგვისტურ (გარეენობრივ) სინამდვილეში, რამდენადაც ნებისმიერი ნიშანი აღნიშნავს გარე სინამდვილის რაიმე ობიექტს ან ფენომენს, ანუ დენოტატს (კონკრეტულ შემთხვევაში – რეფერენტს). მიმართებას ნიშანსა და აღსანიშნს შორის სემიოტიკურ მოდელში ეწოდება **ნიშნის სემანტიკა** ანუ **სემანტიკური განზომილება**.
2. მეორე კოორდინატი მდებარეობს იმ სისტემაში, რომელშიც შედის ნიშანი. ნიშნის მიმართებას სისტემაში შემავალ სხვა ნიშნებთან **სინტაქტიკა** ანუ **ნიშნის სინტაქტიკური განზომილება** ეწოდება.
3. მესამეა ის კოორდინატია, რომელმაც განაპირობა ნიშნის ამ მოდელის ის ფუნდამენტალური მნიშვნელობა ლინგვისტური აზროვნებისათვის, რომელიც მას დღეისათვის აქვს. იგი ლოკალიზებულია იმ სუბიექტში, რომელიც იყენებს ნიშანს. მიმართებას ენობრივ ნიშანსა და იმ სუბიექტს შორის, რომელის მას გამოიყენებს, **პრაგმატიკა** ანუ **პრაგმატიკული განზომილება** ეწოდება.

პრაგმატიკის ჩართვამ ენობრივი ნიშნის მოდელში ამოავსო ის სიცარიელე, რომელიც ნიშნის სამკუთხედოვან მოდელს ახასიათებდა და რის გამოც ეს მოდელი გამორიცხავდა ნიშნის მნიშვნელობის კონოტაციურ კომპონენტს, რომელიც ასახავს მეტყველი სუბიექტის დამოკიდებულებას აღსანიშნი საგნის მიმართ. ეს არის მნიშვნელობის ისეთი კომპონენტები, როგორიც არის: *ემოციურობა*, *ექსპრესიულობა* და *შეფასება*. მაგრამ პრაგმატიკა სრულიადაც არ გულისხმობს, რომ მისი როლი ენობრივი ნიშნის სტრუქტურირებაში მარტო ამ სამი სუბიექტური კომპონენტით უნდა განისაზღვრებოდეს. პირველ რიგში, **პრაგმატიკა გულისხმობს საზგასმას ენის კომუნიკაციურ ფუნქციაზე ანუ იმაზე თუ სად, როდის, ვის მიერ, ვისთვის და რა მიზნით ხდება რაიმეს აღნიშვნა.**

ამრიგად, ენობრივი ნიშნის სამგანზომილებიანი მოდელი უკავშირდება როგორც გარეენობრივ სინამდვილეს, რომლის ფაქტებსაც ის აღნიშნავს, ასევე საკომუნიკაციო აქტს და იმ სინამდვილეს, რომელშიც ენობრივი ნიშნები გამოიყენება სუბიექტის მიერ.

§.2. ამბივალენტურობა სხვადასხვა სისტემის ენებში

ენა ამბივალენტურია თავისი არსით. აქედან გამომდინარე, ენის ამბივალენტურობა ყველაზე უკეთ ვლინდება თარგმანში. ერთი ენიდან მეორე ენაზე გადმოტანილი აზრი, ანუ თარგმანი, არ არის მონოლითური ნაწარმოები, იგი ამბივალენტურია თავისი ბუნებით. თარგმანში, ისევე როგორც სხვადასხვა სისტემის ენებში, ერთმანეთს ერწყმის ორი სხვადასხვა კულტურა, ამასთან იგი გვევლინება როგორც ორი სხვადასხვა პოტენციის რეალიზების ნაყოფი, ორი სხვადასხვა ინდივიდის შემოქმედებითი ენერჯის სხვადასხვა ენის ბაზაზე გამოქვავების შედეგი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, თარგმანი ორი სტრუქტურის ანალიზია, სადაც უცხოური და მშობლიური ერთ მხატვრულ ოდენობადაა ქცეული.

დედანსა და თარგმანს შორის უნდა შეიქმნას არა ფორმალური, არამედ დინამიკური ეკვივალენტობა, რომლის შემთხვევაში მცირეოდენი გადახვევები, რომლებიც განპირობებულია ენის, კულტურისა ან ლიტერატურული ტრადიციების თავისებურებებით, დედნის ხელყოფად არ ჩაითვლება.

თარგმანი ფილოსოფიურ შრომასთან შერწყმული შემოქმედებაა. თარგმანის ფენომენის საიდუმლო ენისა და აზროვნების დიალექტიკურ ერთიანობაშია. ენას რომ არ გააჩნდეს ყოველგვარი აზრის გადმოცემის უნარი, თარგმანი ვერ იარსებებდა.

თარგმნისას გარკვეულ სიძნელეებს წარმოშობს ორ ენას შორის არსებული განსხვავებები, კერძოდ, სხვადასხვა ენაში სიტყვის სხვადასხვაგვარი სემანტიკური ტევადობა (ლექსიკური დატვირთვა), სიტყვების განსხვავებული კომბინაციური ცვლილებანი, სიტყვათკავშირების თავისებური კანონები (I don't think so), თუ ფრაზეოლოგიური ერთეულების სხვადასხვა შინაარსობრივი საფუძველი, მაგრამ მთარგმნელს დედნის ენის ცოდნის გარდა ესმარება “რეალური

სიტუაციის”, ანუ იმ ექსტრალინგვისტური სინამდვილის გაგების უნარი, რომელიც ამა თუ იმ ტექსტშია აღწერილი. ეს უნარი კი, თავის მხრივ, ობიექტური რეალობის ფაქტების ცოდნას ემყარება და კონკრეტულ სათარგმნ ნაწარმოებთან ერთად ნათელ, გასაგებ სურათს ქმნის.

თარგმანის განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს:

- თარგმანის დამოკიდებულებას სინამდვილესთან;
- თარგმანის ამბივალენტურობასა და თარგმანის ენას;
- თარგმანზე მუშობის შემეცნებით და ფსიქოლოგიურ ასპექტებს.

ცნობილია, რომ ხელოვნების ნაწარმოებში მოცემული მხატვრული სიმართლე ცოცხალი სინამდვილის ზუსტი განმეორება არ არის. იგი ყოველთვის გულისხმობს როგორც სინამდვილის წვდომას, ისე მის გარდასახვას ხელოვნების ნაწარმოების ენაზე. ყველა ნაწარმოებში თავისებურად აირეკლება სინამდვილის რეალური მიმართულებები, სინამდვილის ობიექტური ლოგიკა, მაგრამ ტექსტში სინამდვილის ასახვა სარკისებურ არეკვლად არ უნდა მივიჩნიოთ.

რა შეიძლება ამ მხრივ ითქვას თარგმანზე? როგორც ვიცით, თარგმანი შემოქმედების ფორმაა, რომელშიც დედანი იმავე როლს ასრულებს, რასაც ორიგინალური შემოქმედებისათვის ცოცხალი სინამდვილე. მაგრამ ამ გამნარტებას უნდა დაემატოს კიდევ ერთი მოსაზრება: თავისთავად ტექსტში ასახული სინამდვილე მხოლოდ იმას კი არ გვიდასტურებს, რას წარმოადგენს ობიექტი, არამედ იმასაც თუ როგორ დამოკიდებულებაშია მასთან სუბიექტი – ავტორი, რას განიცდის იგი, როცა ობიექტზე ფიქრობს.

ამ უკანასკნელ დებულებას უნდა ეყრდნობოდეს არ მარტო თარგმანის განმარტება, არამედ თარგმნის მეთოდებსა და მთარგმნელის შემოქმედებით პოზიციაზე მსჯელობაც. მთარგმნელისათვის მთავარი უნდა იყოს, „რას ფიქრობს” დედნის ავტორი სინამდვილეზე. მთარგმნელს ცოცხალ სინამდვილესთან არა აქვს პირდაპირი დამოკიდებულება, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი არ ასახავს სინამდვილეს, მის შემეცნებაში არსებობს სინამდვილესთან ავტორის დამოკიდებულების მოდელი, განახლებული (ხორცშესხმული) კონკრეტული ნაწარმოების (ტექსტის) ფორმისა და შინაარსის ერთიანობით. მთარგმნელის არჩევანი განპირობებულია იმით, რომ მას მოსწონს, ან აინტერესებს ეს მოდელი, ამასთან, სავალდებულო არ არის იგი სავსებით ემთხვეოდეს ცოცხალ სინამდვილესთან მთარგმნელის, როგორც პოროვნებისა და შემოქმედის დამოკიდებულებას.

მთარგმნელი კი არ ასახავს, არამედ გადმოსცემს დედანში ასახულ სინამდვილეს. იგი სინამდვილეს სხვისი თვალით უცქერის, მის წინაშე დგას უკვე ასახული სინამდვილე, შემეცნებული და გარდატეხილი ავტორის მსოფლმხედველობით პრიზმაში, ხორცშესხმული ავტორის მიერ მოძიებული მხატვრული საშუალებებით (მეტაფორა, ეპითეტი) და ამიტომ მთარგმნელისათვის დედანში ასახული სინამდვილის წვდომა და გადმოცემა გართულებულია ამ სინამდვილის ამსახველი სხვადასხვა საშუალებების მთელი სისტემის არსებობით.

ამგვარად, სინამდვილე მთარგმნელს ეძლევა მხატვრული ანუ ტექსტის სინამდვილის სახით. როგორც ნაწარმოების შინაარსისა და ფორმის ერთიანობა, როგორც ტექსტის ობიექტური და სუბიექტური მხარის, სახისა და განცდის, ტექსტისა და ქვეტექსტის ერთიანობა. მთარგმნელმაც უნდა გაიმეოროს ეს სინამდვილე ამავე ერთიანობის შენარჩუნების გზით, სადაც შინაარსი ავტორის მიერ კონკრეტულ დროულ-სივრცობრივ ფარგლებში მოქცეული სინამდვილის საფუძვლზე შეიქმნება, ხოლო ფორმა ავტორისვე შერჩეული მხატვრული საშუალებების ეკვივალენტური საშუალებებით იქნება რეპროდუქცირებული.

თარგმანი რთული ესთეტიკური ფენომენია და თარგმნის პროცესიც ორიგინალის ასლის გადმოღებას არ ნიშნავს. თარგმნისას ერთმანეთს ეჯახება არა მარტო ორი სხვადასხვა ენა, არამედ ორი სხვადასხვა ლიტერატურული ტრადიციები, ცნებების აღქმისა და მოვლენების შეფასების განსხვავებული კრიტერიუმები, სათაკილოსა და მოსაწონის, საჩოთიროსა და მისაღების, სამარცხინოსა და საქებარის, სასაცილოსა და სატირალის განსხვავებული გაგება სხვადასხვა ხალხის შემეცნებაში.

ყოველივე ამის გამო განსხვავებული აზრი თარგმნის შეუძლებლობაზე მრავალჯერ გამოთქმულა. გერმანელი ენათმეცნიერის ვილჰელმ ჰუმბოლდტის აზრით, ყოველი თარგმანი გადაუჭრელი ამოცანის გადაჭრის ამაო ცდაა. მთარგმნელი აუცილებლად დაიმსხვრევა ორიდან ერთ-ერთ წყალქვეშა კლდეზე მაშინაც, თუ თავისი ხალხის და ენის გემოვნების ხარჯზე ზედმიწევნით ზუსტად გაჰყვება დედანს და მაშინაც, თუ თავისი ხალხის თავისებურებებს უერთგულებს და დედანს გაწირავს. ამათ შორის რაღაც საშუალო არამცთუ ძნელი მისაღწევია, უბრალოდ შეუძლებელიც კი არის (ჰუმბოლტი, 1956:44).

ასეთ კატეგორიულ გამონათქვამს, ცხადია, უადრესად გამკაცრებული სიზუსტის ცნება უდევს საფუძვლად, უფრო სწორად, იგი სიზუსტის სხვა ში-

ნაარსს შეიცავს. თუკი ვაღიარებთ, რომ დედანსა და თარგმანს შორის უნდა შეიქმნას არა ფორმალური, არამედ დინამიკური ეკვივალენტობა, რომელიც ეფუძნება ეკვივალენტური ეფექტის პრინციპს (Jesus, God) მაშინ თავისთავად გაფართოვდება სიზუსტის ცნება და ორიგინალისა და თარგმანის ინფორმაციისა და თარგმანის მკითხველს შორის დინამიკური კავშირი დამყარდება, რაც მისაღწევია კიდევ.

თუკი მივიჩნევთ, რომ დედანსა და ორიგინალს შორის მიღწეულია დინამიკური ეკვივალენტობა, მაშინ მცირეოდენი გადახვევები, განპირობებული ჩვენი მშობლიური ენის, კულტურის, ან ლიტერატურული ტრადიციების თავისებურებებით, დედნის ხელყოფად არ ჩაითვლება და ეს იქნება ის, „რადაც საშუალო“, რასაც ვ. ჰუმბოლდტი მიუღწევლად თვლის. ეს „რადაც საშუალო“ ანუ „რადაც მესამე“ არის თარგმანის ამბივალენტობის გამოვლენის ფორმა, ურომლისოდაც არ შეიძლება არსებობდეს თარგმანი (გოეთე, 1832:145).

სხვადასხვა სისტემის ენებში არსებული ამბივალენტობის გამო ზოგიერთი საკითხი ორიგინალური ნაწარმოებისგან განსხვავებულ მიდგომას და გადაჭრას მოითხოვს, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია თარგმანის ენის დამოკიდებულება საერთო-სასაუბრო ენასთან. ენას მხატვრულ ნაწარმოებში კომუნიკაციურ ფუნქციასთან ერთად ესთეტიკური ფუნქცია ეკისრება, რადგანაც იგი აზრის გამოხატვის გარდა მხატვრული სახეებისა და ხასიათების აგებასაც ემსახურება. მხატვრული ნაწარმოების ენა სალიტერატურო ენას ემყარება, ამასთან იგი ფართოდ იყენებს საერთო-სასაუბრო ენის სხვადასხვა ფუნქციურ სტილთა ელემენტებს, მაგრამ ამ დროს არ იქცევა სასაუბრო, საკანცელარიო ან სამეცნიერო ენად. ეს იმიტომ ხდება, რომ სტილების ელემენტები მხატვრულ ტექსტში დამოუკიდებლად კი არ ცოცხლობენ, არამედ სრულიად ახალ მიმართებათა სისტემაში განაგრძობენ სიცოცხლეს, ექვემდებარებიან მხატვრულ სტილს, როგორც დაბალი – მაღალს და იქცევიან გამომსახველობით საშუალებებად.

მხატვრული ნაწარმოების ენა შეიძლება დაესესხოს საერთო-სასაუბრო ენის ისეთ შრეებსა და ელემენტებსაც, რომლებიც სალიტერატურო ენის მიღმა დგანან – დიალექტი, ჟარგონი – აიყვანოს ეს ენობრივი საშუალებები ესთეტიკურ ხარისხში და ამავე დროს შეასრულოს კომუნიკაციური, შემეცნებითი და ესთეტიკური ფუნქცია.

მხატვრული თარგმანი მხატვრული შემოქმედების ფორმაა. მხატვრული თარგმანის ენაც გვეძლევა როგორც თვისობრივად განუმეორებელი კატეგორია.

მხატვრული თარგმანის ენისათვისაც მთავარია ესთეტიკური ფუნქცია, მაგრამ თარგმანის ენა მაინც განსხვავდება ორიგინალის ენისაგან სალიტერატურო ენის სტილისა და, მით უმეტეს, სალიტერატურო ენის მიღმა მდგომ სტილისტურ შრეებთან თავისი დამოკიდებულებით. კერძოდ, თარგმანის ენა თარგმის სპეციფიკის, მისი ამბივალენტური, წინააღმდეგობრივი ხასიათის გამო ორიგინალი ნაწარმოების ენასთან შედარებით შეზღუდულია. თარგმანში ენობრივი რესურსების სრულად გამოყენებას ხელს უშლის თარგმანში გადმოცემულ უცხო შინაარსსა და მშობლიური ენობრივი საშუალებებით გამოხატულ ფორმას შორის არსებული დაძაბულობა, რომელიც ყოველთვის შეიძლება წინააღმდეგობაში გადაიხარდოს. მთარგმნელს უხდება ამ წინააღმდეგობის დაძლევა, რათა არ წარმოქმნას მკვეთრი კონფლიქტი მოქმედების ადგილსა და მთარგმნელის მშობლიური ენის გამომსახველობით საშუალებებს შორის (დ. ფანჯიკიძე, 1981:64).

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ თარგმანი არ არის მონოლითური ნაწარმოები, იგი ამბივალენტურია თავისი ბუნებით. თარგმანში ერთმანეთს ერწყმის ორი სხვადასხვა კულტურა, ამასთან იგი გვევლინება, როგორც ორი სხვადასხვა პოტენციის რეალიზების ნაყოფი, ორი სხვადასხვა ინდივიდის შემოქმედებითი ენერგიების სხვადასხვა ენის ბაზაზე გამომჟღავნების შედეგი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, თარგმანი არის ორი სტრუქტურის ანალიზი, სადაც უცხოური და დედაენა ერთ მხატვრულ თვისობადაა ქცეული.

§.3. რეფერენციალურ მნიშვნელობათა გადმოცემა სხვადასხვა სისტემის ენებში

ძირითადი წინააღმდეგობა, რომელიც ხვდება მთარგმნელს დედანში არსებული რეფერენციალურ მნიშვნელობათა გადმოცემის დროს, არის დედნისა და თარგმანის ენებს შორის არსებული განსხვავებანი. ბუნებაში არ არსებობა ორი ისეთი ენა, რომელთა შემადგენელი ნაწილები – მორფემა,

სიტყვა, სიტყვათშესამება მთლიანად ემთხვეოდეს ერთმანეთს. თუმცა, თვით გადმოსაცემი ობიექტის მნიშვნელობა ხშირად ერთნაირია, მაგრამ განსხვავდება მათი გადმოცემის ხერხები. ორი ენის ლექსიკურ ერთეულთა შორის არსებულ შინაარსობრივ შესაბამისობას ბარხუდაროვი სამ ძირითად ჯგუფად ჰყოფს:

- I. მთლიანი შესაბამისობა
- II. ნაწილობრივი შესაბამისობა
- III. შეუსაბამობა (, 1975)

განვიხილოთ ეს ჯგუფები ცალ-ცალკე იმის გათვალისწინებით, რომ თარგმანის თეორიისა და პრაქტიკისათვის მეტად მნიშვნელოვანი და რთულია ორი ჯგუფის ელემენტების გადმოცემა. კერძოდ კი,

I. იშვიათია სხვადასხვა ენის ლექსიკური ერთეულების რეფერენციალური მნიშვნელობების მთლიანი შესაბამისობა. ესენი, როგორც წესი, ერთმნიშვნელობის სიტყვებია.

- 1) საკუთარი სახელები და გეოგრაფიული სახელწოდებები:

Homer, Poland, London.

- 2) სამეცნიერო და ტექნიკური ტერმინები:

Logarithm, Hydrogen,

- 3) მხატვრული თარგმანი ისეთი სიტყვებისა, როგორიცაა:

January, Monday, Thousand, Million.

მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ზემოაღნიშნულ კლასიფიკაციაში შემავალი ყველა სიტყვა ყოველთვის მთლიანი შესაბამისობით გადმოიცემა. ასე სიტყვა-ტერმინი ხშირად სხვადასხვა შინაარსობრივ დატვირთვას ღებულობს. Power – ფიზიკაში: ძალა, სიმძლავრე, ენერჯია, ხარისხი – მათემატიკაში.

იშვიათი ცხოველების სახელები ფართოდ მთელი შესაბამისობით გადმოიცემა – percupine – მაჩვზღარბი, Flamingo - ფლამინგო.

ხოლო გავრცელებული ცხოველების სახელები ფართოდ შემოვიდა ენაში და მიიღო მრავალი მნიშვნელობა. მაგალითად: tiger – ვეფხვი, უღმობელი ადამიანი, საშიში მოწინააღმდეგე, ხულიგანი. ირღვევა ინგლისური და ქართული ენების ელემენტების შესაბამისობა რიცხვითი სახელის ისეთი წყვილების გადმოცემისას, როგორიცაა: ორი – ორიანი, სამი – სამიანი, და ა.შ.

არის შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა ენის სიტყვები მთლიანად შეესაბამება ერთმანეთს რეფერენციალური მნიშვნელობის ყველა დონეზე.

მაგალითად:

- Lion (ლომი)** – 1. ძლიერი, მტაცებელი ცხოველი, ძუძუმწოვართა კლასის კატისებრთა ოჯახიდან;
2. ცნობილი ადამიანი (ვარსკვლავი, მოდელიორი);
3. ზოდიაქოს ნიშანი.

მაგრამ რეფერენციალური მნიშვნელობის ეს შესაბამისობა ირდევება მრავლობითი რიცხვის ფორმაში Lions – ღირსშესანიშნაობა (to see/show the lions), რაც ქართულში არ შეიმჩნევა – „ლომები“.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მთლიანი შესაბამისობის მქონე ნიშნები მთარგმნელისათვის დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. ისინი კონტექსტზე არ არიან დამოკიდებულნი და მხოლოდ მათი შესაბამისი ეკვივალენტის ცოდნას საჭიროებენ.

II. ორი ენის ლექსიკური ერთეულების შედარებისას ყველაზე გავრცელებულია ნაწილობრივი შესაბამისობა, რომლის დროსაც დედნის ერთ სიტყვას თარგმანის ენაში შეესაბამება რამდენიმე სემანტიკური ეკვივალენტი, ან პირიქით.

მაგალითად:

- Character (ხასიათი)** – 1. ადამიანის ფსიქიკური თავისებურებების ერთიანობა;
2. ნებისყოფა დასახული მიზნის მისაღწევად (მაგ.: He has no character - ის უნებისყოფა);
3. რაღაცის თვისება, ხარისხი, თავისებურება (characteristic feature).

ამის გარდა, ინგლისურ Character-ს სხვა მნიშვნელობებიც აქვს, რომლებიც ქართულში სულ სხვა რეფერენტებით გადმოიცემა:

1. რეპუტაცია;
2. წერილობითი რეკომენდაცია, დახასიათება – დამახასიათებელი ნიშანი;
3. ფიგურა, პიროვნება (ხშირად ორიგინალური, საოცარი);
4. ლიტერატურული გმირი, მოქმედი პირი;
5. სიმბოლო, ასო (მაგ., ჩინური იეროგლიფები - Chinese characters).

სიტყვებს შორის არსებულ ასეთ ნაწილობრივ ეკვივალენტობას „ჩართვას“ უწოდებენ (, 1973:98) უფრო ხშირია შემთხვევები, როდესაც ორივე სიტყვას (დედანიშიც და თარგმანიშიც) როგორც ერთნაირი, ასევე განსხვავებული ეკვივალენტები გააჩნია. სიტყვა Table – „მაგიდა“ ერთნაირია „ავეჯის“ მნიშვნელობით. თუმცა ქართულ „მაგიდას“ აქვს დამატებითი მნიშვნელობაც – „სუფრა“ (დიეტური მაგიდა), food, diet, office, department. მეორე მხრივ, ინგლისურ სიტყვას table აქვს მნიშვნელობები: მერხი, ცხრილი, განრიგი, მთის პლატო.

მაგალითად:

სახლი – house (შენობა, დინასტია The House of Widowers) ერთნაირია, მაგრამ განსხვავდებიან:

სახლი (ოჯახური გარემო, კერა) და home

სახლი (დაწესებულება) orphanage, commercial firm

ასევე ინგლისური სიტყვა house – პარლამენტი – the House of Parliament

ლორთა პალატა - the House of Lords

მაყურებლით სავსე დარბაზი – Full-house

სიტყვებს შორის არსებულ ასეთ შესაბამისობას „გადაკვეთას“ უწოდებენ.

აქედან ჩანს, რომ ნებისმიერ ენას შესწევს უნარი გადმოსცეს ნებისმიერი აზრი. საუბარია მხოლოდ გადმოცემის ხერხებზე. ორი ენის ლექსიკური ერთეულები მხოლოდ იშვიათად ემთხვევიან ერთმანეთს, შესაბამისობა უმეტესად ნაწილობრივია და ერთობლიობაში გამოხატავენ იმავე მნიშვნელობებს, რასაც მათი ეკვივალენტები მეორე ენაში.

III. მესამე ჯგუფში შედის ის ლექსიკური ერთეულები, რომლებსაც საერთოდ არ გააჩნიათ ეკვივალენტები მეორე ენაში. სიტყვათა ამ ჯგუფს უწოდებენ „უეკვივალენტო ლექსიკას“, ე.ი. ისეთ სიტყვებს, რომლებსაც არც მთლიანი, არც ნაწილობრივი შესაბამისობა არ აქვთ მეორე ენის სიტყვებთან. ამ ჯგუფში შედიან:

1) ნაკლებად ცნობილი საკუთარი სახელები, გეოგრაფიული დასახელებები, ორგანიზაცია, დაწესებულებების, გაზეთების, გემების და სხვათა დასახელებები, რომლებსაც არ გააჩნიათ მუდმივი ეკვივალენტები მეორე ენაში.

მაგალითად: თავდგირიძე, სარიშვილი, მაგრამ Rustaveli, Shevardnadze და პირიქით: Thorne, Guerin, Millbrook და John, George, Shakespeare, New York, The Times...

2) ეგრეთწოდებული „რეალიები“ – სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ ისეთ საგნებს, ობიექტებს, სიტუაციებს, რომლებიც მეორე ენაზე მოლაპარაკე ხალხის ცნობიერებაში არ არსებობენ. ამ კატეგორიაში შედის მხოლოდ კონკრეტული ერის მატერიალური და სულიერი კულტურის საგნების აღმნიშვნელი სიტყვები. მაგალითად: ეროვნული სამზარეულო – საცივი, ღომი, მაჭარი და muffin (ცხელი ალადი), toffee („ირისი“); ეროვნული ტანისამოსი და ფეხსაცმელი (ქალამნები, ჩოხა), ცეკვები (შალახო, განდაგანა, pop-goes-the-weasel), ხალხური ზეპირსიტყვიერება (შაირები, Limericks).

თუმცა დროთა განმავლობაში მრავალი უცხო სიტყვა მკვიდრდება ენაში და იქმნება მისი შესაბამისი ეკვივალენტიც.

მაგალითად:

House of Commons – თემთა პალატა

Speaker – სპიკერი

weekend – უიკენდი

როგორც ზემოგანხილული მაგალითებიდან ვხედავთ, უეკვივალენტო ლექსიკა მოიცავს ისეთ სიტყვებს, რომლებაც არ მოეპოვებათ შესაბამისობა მეორე ენაში. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათი თარგმნა შეუძლებელია. ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ყოველ ენას შესწევს უნარი გადმოსცეს მეორე ენაში არსებული ნებისმიერი სიტყვა თუ აზრი სხვადასხვა ლინგვისტური საშუალებებით.

§.4. პრაგმატიკულ მნიშვნელობათა გადმოცემათა სხვადასხვა სისტემის ენებში

მეტყველების დროს ადამიანები ენობრივი ნიშნების გამოყენებისას სხვადასხვანაირად რეაგირებენ ერთი და იმავე რეფერენტებზე. სწორედ ეს არის ადამიანთა სუბიექტური დამოკიდებულება ენობრივ ერთეულებთან, რასაც პრაგმატული მნიშვნელობები ეწოდება.

პრაგმატული მნიშვნელობები იყოფა შემდეგ სახეებად:

I. სიტყვის სტილისტური დახასიათება. იმ სიტყვების გვერდით, რომლებიც გამოიყენება ყველა ჟანრის მეტყველებაში, ისეთი სიტყვები და სიტყვათშესამებებია, რომელთა გამოყენება მეტყველების რომელიმე გარკვეული ტიპით შეზღუდულია. ძირითადად ეს ხდება წერილობით, სასაუბრო და სალიტერატურო ენაში, რომლებიც თავის მხრივ იყოფიან სამეცნიერო-ტექნიკურ, ოფიციალურ, საზოგადო, საინფორმაციო, დოკუმენტურ-იურიდიულ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჟანრებად. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალკე.

- 1) სიტყვებს, რომლებიც ყველა ზემოჩამოთვლილ ჟანრებში გამოიყენება, ეწოდებათ ნეიტრალური ლექსიკა. ყველა ენაში ნეიტრალური ლექსიკა ამ ენის ნიშნების უმრავლესობაა.
- 2) სასაუბრო ლექსიკაში შედის ის სიტყვები, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ ზეპირ მეტყველებაში და არ იხმარება წერილობითში. მაგალითად: buck=dollar, dough=money, quid=pound, buddy=friend, movie=cinema, დარეკა, გაარტყა, ხეთქა, ფარა, მაყუთი.
- 3) ოფიციალური ლექსიკა მოიცავს ისეთ სიტყვებს, რომლებიც მხოლოდ ოფიციალურ სიტუაციაში გამოიყენება. მაგალითად: კეთილდღეობა, ზემოსსენებული და conflagration=big great fire; to commence=to begin; thereby=so, that's why, etc.
- 4) ტერმინოლოგიური ლექსიკა აერთიანებს სამეცნიერო-ტექნიკურ ტერმინოლოგიას, რომელიც სახელმწიფო სამართლის, ფინანსურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სფეროში გამოიყენება.

II. სიტყვის რეგისტრი. როდესაც საუბარია რეგისტრზე, რომელსაც მიეკუთვნება სიტყვა, ჩვენ ვგულისხმობთ გარკვეულ პირობებს ან ურთიერთობათა სიტუაციებს, რომლის მიხედვითაც ვირჩევთ ამა თუ იმ სიტყვას (J. Kellford, 1985:33). ენაში გამოყოფენ შემდეგი ხუთი სახის რეგისტრს: 1. ფამილარული, 2. არაიდულებითი, 3. ნეიტრალური, 4. ფორმალური და 5. ამაღლებული (, 1968:54).

III. სიტყვების ემოციური შეფერილობა. სიტყვებს აქვთ ნეიტრალური, უარყოფითი და დადებითი ემოციური შეფერილობები. 'agent' მზვერავი (უარყოფითი) – ჯაშუში (spy).

ზემოჩამონათვალის გარდა პრაგმატული მნიშვნელობები შეიძლება გადმოიცეს გრამატიკული ხერხებითაც:

მაგალითად:

Please, come in (ფორმალური);

Come in (ნეიტრალური);

Come in, will you? (თავისუფალი);

Get the hell in here (ფორმალური, უარყოფითი ემოციური შეფერილობით).

ასევე enemy – (სამხედრო ოფიციალური), adversary – (წინის), opponent – (ზეპირი მეტყველება), foe – (პოეტური), მტერი, მოწინააღმდეგე, ოპონენტი (Heg-pyr) ამ სიტყვებს foe-ს გარდა ორი რეფერენციალური მნიშვნელობა აქვთ:

1) ვინმეს, რამეს მიმართ მტრულად განწყობილი ადამიანი;

2) მოწინააღმდეგე მხარის ჯარი;

foe-ს აქვს ქვეგამხედვარის მნიშვნელობა;

opponent – მოწინააღმდეგე სპორტულ შეჯიბრებაში.

პრაგმატული ლექსიკის გადმოსაცემად ხშირად გამოიყენება კომპენსაციები, რომლებიც არა მარტო ცალკეულ სიტყვებს ეხება, არამედ მთელ წინადადებებსაც, მაგალითად: It cost him near four thousand bucks. He's got a lot of dough now (J. Salinger, 1975:91).

მას ეს საქმე თითქმის 4.000 დოლარი დაუჯდა. მას ახლა დიდი ფული აქვს (თარგმანი დ. სულაკაურისა).

პრაგმატული ლექსიკის გადმოცემის ერთ-ერთი ხერხია აღწერილობითი თარგმანი. მაგალითად: “You could hear **goddam** footsteps coming right towards the room” – „ისმოდა თუ როგორ უახლოვდებოდა ეს ნაძირალა ოთახს” /ibid/.

თავად სიტყვა “goddam” რა თქმა უნდა, არ გადმოსცემს იმ პიროვნების არანაირ დახასიათებას, ვისაც ეკუთვნის ნაბიჯები, მაგრამ ხაზს უსვამს მისდამი მოსაუბრის უარყოფით დამოკიდებულებას.

მეტაფორული შედარების გადმოცემისას მთარგმნელი ხშირად აწყდება სიძნელეებს. ეს ხდება მაშინ, როდესაც დედნისა და თარგმანის სიტყვები რეფერენციალური მნიშვნელობით ერთნაირია, მაგრამ პრაგმატული აზრი სხვადასხვაა. მაგალითად: ვირივით ჯიუტია = obstinate as a mule (რადგან ინგლისური სიჯიუტის გამომხატველია არა ვირი, არამედ ჯორი). ამიტომ stupid as an ass არ იქნება მართებული.

Busy as a bee – ფუტკარივით მშრომელი

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ხშირად ყველაზე ზუსტი თარგმანიც კი გაუგებარი ხდება მკითხველისათვის. მთარგმნელმა ყველა დონე უნდა იხმაროს, რომ დედანში მოცემული ინფორმაცია სრულად გასაგები და მისაღები

იყოს მკითხველისათვის (მსმენელისათვის). ის უნდა ფლობდეს ორივე ენაში არა მარტო იმპლიციტურ, არამედ ექსპლიციტურ ინფორმაციასაც. მაგალითად:

Massachusetts – მასაჩუსეტის შტატი

Middlesex – მიდლსექსის საგრაფო

Where are you girls from? – Seattle, Washington – საიდანა ხართ გოგონებო? – სიეტლიდან, ვაშინგტონის შტატიდან.

“It was Friday and soon they’d go out and drank” – „პარასკევი იყო, ხელფასის დღე და მალე ყველა ქუჩებს ნასვამი მოეფინებოდა” /ibid/.

ასეთ შემთხვევაში აუცილებელია გამოვიყენოთ დამატებები. მაგალითად: შეიძლება თარგმანის მკითხველმა არ იცოდეს, რომ ინგლისში ხელფასები გაიცემა ყოველკვირეულად – პარასკევს. ამიტომ მთარგმნელმა უნდა შეიტანოს დამატება – ხელფასის დღე პარასკევა.

ან კიდევ ერთ-ერთი ხერხია ასევე „გამოტოვება”.

მაგალითად: I’m a good Liberal, a man of the eighties.

მე 80-იანი წლების წარმომადგენელი ვარ.

ასევე მაგალითად:

“There were pills and medicine all over the place, and everything smelled like Vick’s nose drops”. /J.S.1965/

„ყველგან ეწყო აბები და წამლის ბოთლები, ყველაფერი ცხვირის წვეთების სუნით იყო გაჟღენთილი”.

აქ გადმოცემულია Vick – ცხვირის წვეთების მაწარმოებელი ერთ-ერთი ინგლისური ფირმის სახელწოდება, რომელსაც ამ შემთხვევაში არა აქვს არსებითი ლექსიკური მნიშვნელობა. ხშირია „შეცვლის” ხერხის გამოყენების შემთხვევები.

მაგალითად:

The Prime Minister spoke a few words from a second-storey window in Number 10 /Shirer, 1950/

პრემიერ-მინისტრმა რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა თავისი რეზიდენციის მე-2 სართულის ფარჯრებიდან.

თარგმნის ხერხებია ასევე გენერალიზაცია და კონკრეტიზაცია. გენერალიზაციის დროს სიტყვა ღებულობს უფრო ფართო, განზოგადოებულ მნიშვნელობას:

მაგალითად:

Georgia hopes of joining Europe (*Georgian Times*, 12 October 1004)

საქართველო იმედოვნებს შეუერთდეს ევროკავშირს

ზემოთ ჩამოთვლილი ხერხების გამოყენების დროს მთარგმნელმა არ უნდა დაკარგოს „ზომიერების გრძობა“, რადგან მათი გადაჭარბებული ხმარება დაასახიჩრებს დედანს. მთარგმნელმა ნათელი უნდა მოჰფინოს მხოლოდ იმ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც თავისი მნიშვნელობით უცნობია მკითხველისათვის.

ამრიგად, პრაგმატული მნიშვნელობის სწორად გადმოცემას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამეტყველო სუბიექტის განხრახვის გაგებისა და მისი სათანადოდ ინტერპრეტაციის მიზნით. იგი ზუსტად უნდა ასახავდეს მეტყველი სუბიექტის გამონათქვამისადმი დამოკიდებულებას.

§.5 შიდალინგვისტურ მნიშვნელობათა გადმოცემა

სხვადასხვა სისტემის ენებში

შიდალინგვისტური დამოკიდებულება ნიშნავს ენის ნიშნის დამოკიდებულებას ამავე ენის სხვა ნიშნებთან. ნიშნებს შორის არსებული დამოკიდებულება მრავალმხრივია და რიტმით, სინონიმით, ანტონიმით და ა.შ. გამოიხატება. თარგმნის დროს შიდალინგვისტური დამოკიდებულება ყველაზე რთულად გადმოიცემა, რადგანაც ყოველ ენას გააჩნია თავისი საკუთარი სისტემა. ზოგჯერ, კონტექსტიდან გამომდინარე, სწორედ შიდალინგვისტური დამოკიდებულება უფრო მთავარია, ვიდრე რეფერენციალური ან პრაგმატიკული. ასეთ შემთხვევაში მთარგმნელს უხდება „გაწიროს“ ეს ორი დამოკიდებულება.

მაგალითად:

James: Give me the cheque-book. What's this ninety?

Walter: But look here father, it's **nine** I drew a chewue for (nine-ty) (J.G.)

– მომეცი ჩეკი. რა არის ეს 900 ფუნტი? (ცხრა-ასიოთხმოცდაათი)

– კი, მაგრამ, მამა, მე ჩეკი გამოვწერე 9 ფუნტზე (ცხრაცხრა).

რა თქმა გათვალისწინებულ უნდა იქნას კონტექსტი, როცა ტექნიკური ან ოფიციალური დოკუმენტია, მაშინ ციფრის შეცვლა ყოველად დაუშვებელია. ყოველ შემთხვევაში თავად მთარგმნელმა უნდა განსაზღვროს დამოკიდებულების რომელი ტიპია ყველაზე მნიშვნელოვანი ამა თუ იმ შემთხვევაში, და რომლის „გაწირვა“ შეიძლება, რათა თარგმანში მთლიანად გადმოცემული იქნას დედანში მოცემული ინფორმაცია. ზემოთ მოყვანილ მაგალითში კი მთავარი იყო გადმოგვეცა ბანკირის მიერ ჩეკის გაყალბების ფაქტი და არა თანხა.

ინგლისურში ხშირია აზრის *ალიტერაციით* (საწყისი თანხმოვნების გამეორება) გადმოცემის შემთხვევები.

მაგალითად:

Mr. Callaghan said “it was a county of bicycles, buffaloes and bent backs”.

(“The Guardian Weekly”)

მთარგმნელი დგება დილემის წინაშე: მან უნდა გადმოსცეს აზრი, ინფორმაცია და ამასთანავე ის დამატებითი ეფექტებიც, რასაც ქმნის ალიტერაცია – „კოლაგენმა თქვა, რომ ეს გაჭირვებულების, გადატაკებულების და გლეხების ქვეყანაა” – ხშირად ეს შეუძლებელია. ამიტომ მთარგმნელმა უნდა მიმართოს კომპენსაციას.

კომპენსაციის ხერხად გამოდგება აგრეთვე რითმული წინადადება, ან ანალოგიური სტრუქტურით შედგენილი წინადადება. ენაში გვხვდება ხოლმე ისეთი გვარ-სახელები, რომლებსაც აქვთ სემანტიკური დატვირთვა: მაგალითად: მორბედაძე, კოჭლამაზიშვილი, კვაჭი კვაჭანტირაძე. რა თქმა უნდა, კონტექსტის გათვალისწინებით, ისინი ზოგჯერ გადმოტანილ უნდა იქნან ტრანსკრიფციის საშუალებით, ზოგჯერ კი უნდა ითარგმნოს.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ შიდალინგვისტურ დამოკიდებულებათა გადმოცემა ძალზე პირობითია და მთლიანად ტექსტზეა დამოკიდებული. თარგმნის თეორიაში უცვლელი კანონები „ცხოვრების ყველა შემთხვევისათვის” არ მოიპოვება. ამდენად, მკითხველი უნდა შეეცადოს სწორად გაიგოს, გაანალიზოს და ამოიჩიოს შიდალინგვისტური მნიშვნელობა და ზუსტად მიუსადაგოს იგი გადმოსაცემ ობიექტურ სინამდვილეს.

§.6 გრამატიკულ მნიშვნელობათა გადმოცემა

სხვადასხვა სისტემის ენებში

ჩვენ განვიხილეთ ენის ლექსიკური ერთეულების გადმოცემის რეფერენციალური, პრაგმატული და შიდალინგვისტური ხერხები. არანაკლებ მნიშვნელოვანია აგრეთვე გრამატიკულ სტრუქტურათა გადმოცემა. ხშირად ის, რაც ერთ ენაში ლექსიკური საშუალებებით გადმოიცემა, მეორე ენაში გრამატიკულით ხდება და პირიქით.

მაგალითად:

Every Saturday he **went** to the cinema.

When he had finished his work last night, he **went** to the cinema.

დადიოდა-წავიდა (სრული და უსრული ასპექტი).

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურშიც და ქართულშიც ორი რიცხვია (მხოლობითი და მრავლობითი), ხშირია მათ შორის განსხვავებები: trousers/შარვალი, onions/ხახვი, potatoes/კარტოფილი, news ამბავი/ამბები.

მაგალითად:

One house : two houses – ერთი სახლი : ორი სახლი;

სიძნელეებს ვაწყდებით აგრეთვე არსებითი სახელების თარგმნისას. ინგლისურში არსებით სახელს აუცილებლად უნდა ახლდეს მსაზღვრელად არტიკლი, ჩვენებითი ან კუთვნილებითი ნაცვალსახელი, ხოლო ქართულში არტიკილი საერთოდ არ არსებობს.

მაგალითად:

Give me a (the, this, that, my...) book – მომეცი წიგნი (არტიკლს არ მოითხოვს).

განსხვავებები გვხვდება აგრეთვე ზმნის წარსული ფორმის თარგმნისას. თუკი გვაქვს მარტივი წინადადება, გრამატიკული დრო ითარგმნება ჩვეულებრივად.

მაგალითად:

He lives in London - ის ცხოვრობს ლონდონში

He lived in London - ის ცხოვრობდა ლონდონში.

ხოლო თუ გვაქვს რთული დამოკიდებული წინადადება, სადაც „დროთა შეთანხმების“ კანონის თანახმად (Sequence of Tenses) მთავარი წინადადების შემსმენლის დროში დგება დამოკიდებული წინადადების შემსმენელიც.

მაგალითად:

He says he lives in London – ის ამბობს, რომ ცხოვრობს ლონდონში.

He said he lived in London – მან თქვა, რომ ცხოვრობს ლონდონში.

He said he had lived in London – მან თქვა, რომ ლონდონში ცხოვრობდა.

ამრიგად, გრამატიკული მნიშვნელობის გადმოცემის საკითხი არ შეიძლება განვიხილოთ ცალმხრივად – თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ამა თუ იმ ფორმის გამოყენების ხასიათი, მისი ფუნქციური დატვირთვა და ამასთან, მოვეუქმებნოთ მას ესა თუ ის შესაბამისობა თარგმანში ან ზოგჯერ შეიძლება დავტოვოთ საერთოდ უცვლელად, როდესაც იგი თარგმანს საერთოდ არ ექვემდებარება. რ. იაკობსონის აზრით, ენები განსხვავდებიან არა მარტო იმით, რისი გადმოცემაც შეუძლიათ, არამედ იმითაც, რისი გადმოცემაც არ შეუძლიათ (R.Jacobson, 1959:82).

§7. კონტექსტისა და სიტუაციის მნიშვნელობა სხვადასხვა სისტემის ენებში

ტექსტის სწორად გაგებასა და აღქმაში კონტექსტი გადამწყვეტ როლს ასრულებს. სწორედ კონტექსტის საშუალებით ხდება ენობრივი ერთეულების მრავალი მნიშვნელობიდან ერთ-ერთის ამორჩევა.

კონტექსტი ის ენობრივი გარემოცვაა, რომელშიც გამოიყენება ესა თუ ის ლინგვისტური ერთეული. მაგალითად, სიტყვის კონტექსტი არ არის სიტყვათა, გრამატიკული ფორმებისა და კონსტრუქციების ერთობლიობა, რომელთა გარემოცვაშიც ეს სიტყვა გვხვდება. განასხვავებენ „ვიწრო კონტექსტს“ (მიკროკონტექსტს) და „ფართო კონტექსტს“ (მაკროკონტექსტს). ვიწრო

კონტექსტში იგულისხმება ის ერთეულები, რომლებიც მოცემულ სიტყვას წინადადების ფარგლებში ერთეულის გარს.

ხოლო ფართო კონტექსტის შემთხვევაში მისი გარემოცვა სცილდება წინადადების ფარგლებს და მოიცავს მთელ ტექსტს. შეუძლებელია ფართო კონტექსტის ზუსტი ფარგლების დადგენა. სიტუაციისდა მიხედვით იგი შეიძლება იყოს წინადადების ჯგუფი, აბზაცი, თავი, ან ზოგჯერ მთელი ნაწარმოებიც კი.

ფართო კონტექსტი თავის მხრივ სინტაქსურ და ლინგვისტურ კონტექსტებად იყოფა. პირველი მათგანი ის სინტაქსური კონსტრუქციაა, რომელშიც გამოიყენება მოცემული სიტყვა. ლინგვისტური კონტექსტი კი – კონკრეტული ერთეულების ერთიანობაა (ერთობლიობაა), რომელთა გარემოცვაშიც გვხვდება ეს სიტყვა (, 1980:137).

კონტექსტი დიდ როლს ასრულებს მრავალმნიშვნელობიანი სიტყვების თარგმნის დროს. სწორედ კონტექსტის საშუალებით ხდება სწორი ეკვივალენტის არჩევა. მაგალითად: burn – წვა, ნთება.

ამ სიტყვის მნიშვნელობის ამოსარჩევად საკმარისია სინტაქსური კონტექსტის განხილვა.

მაგალითად:

The candle burns – სანთელი იწვის.

The fire is burning – ბუხარი ანთია.

იგივე ითქმის ზმნებზე – sink – დახრჩობა, დაძირვა, drive – ტარება, ჯირითი (ლინგვისტური კონტექსტი).

ხშირად ეკვივალენტებს ვარჩევთ ლექსიკური კონტექსტის საშუალებით, ე.ი. მხოლოდ ამ სიტყვის ირგვლივ მოცემულ ლექსიკურ ერთეულებს განვიხილავთ.

მაგალითად:

Way to the town – ქალაქისკენ მიმავალი გზა

Way of doing it – (რადაციის) კეთების ხერხი, მეთოდი (Parret, 1980:121).

თუმცა ზოგჯერ შეუძლებელია შემოიფარგლო მხოლოდ ლინგვისტური ან სინტაქსური კონტექსტით.

თარგმნის ძირითადი ობიექტი მთლიანი ტექსტია და არა ლინგვისტური ერთეულები (საუბრის დროსაც სიტყვები, გამოთქმები, ფრაზები, ე.ი. სიტყვა-

სიტყვითი თარგმანი). ამიტომ თარგმნისას არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ფართო კონტექსტის როლის შემცირება.

არის შემთხვევები, როდესაც მთლიანი კონტექსტიც კი ვერ გვაძლევს სრულ ინფორმაციას. ასეთ დროს მთარგმნელი უნდა გასცდეს კონტექსტს და მოიშველიოს ექსტრალინგვისტური ინფორმაცია (ე.ი. სიტუაცია, რომელშიც ხდება მოქმედება, მოქმედების საგანი, კომუნიკაციის მონაწილენი და ა.შ.)

ტრადიციულ ლინგვისტიკაში გამოიყენებენ ექსტრალინგვისტური სიტუაციის ორ სახეს: რეფერენტულ და კომუნიკაციურ სიტუაციებს. გამონათქვამის ნომინაციური ასპექტი – არის ასპექტი, რომელიც უშუალოდ ასახავს კომუნიკაციური სიტუაციას. აქვე უნდა ითქვას, რომ სიტყვა “ასახვა” გულისხმობს ორ მოდულს: ასახვა შეიძლება იყოს ექსპლიციტური, ე.ი. გამონათქვამის ენობრივ სტრუქტურაში პირდაპირ განხორციელებული და იმპლიციტური, ე.ი. მხოლოდ ნაგულისხმევი. იმპლიციტური ასახვის შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ გამონათქვამის ნომინაციურ ან კომუნიკაციურ ქვეტექსტზე ანუ იმპლიკაციაზე (გ. ლებანიძე, 1998:79).

რეფერენტული სიტუაცია მუდამ გულისხმობს სინამდვილიდან გარკვეული ელემენტების გამოყოფას და ამ ელემენტებს შორის გარკვეულ მიმართებათა დამყარებას. რაკი რეფერენტული სიტუაცია მუდამ წარმოადგენს გარკვეულ საგნობრივ-ხდომილებითი ფონის კომპონენტს, ცხადია, რომ რეფერენტული სიტუაციის გამოყოფა და მისი გადაქცევა გამონათქვამის საგნად ყოველთვის არის მეტყველი სუბიექტის გარკვეული აქტივობის შედეგი. ე.ი. რეფერენტული სიტუაცია არასოდეს არ არის მოცემული მზა სახით. მაგალითად: იმის შესახებ, რაც აუდიტორიაში ხდება, შეიძლება აიგოს სხვადასხვა გამონათქვამი: “ტარდება ლექცია თეორიულ გრამატიკაში”, “მერხებს უზის 20 მსმენელი” და ა.შ. ამრიგად, არის გარკვეული საგნობრივ-ხდომილებითი ფონი, მაგრამ გამონათქვამის ასაგებად საჭიროა მისგან გამოიყოს რეფერენტული სიტუაცია. ეს დამოკიდებულია მეტყველ სუბიექტზე – მის სამყაროსეულ ხატზე, ფონურ ცოდნაზე, თეზაურუსზე და ა.შ. თუმცა საგნობრივ-ხდომილებრივი სიტუაცია ერთია, მისგან შეიძლება გამოიყოს მრავალი რეფერენტული სიტუაცია, მაგრამ სახელდობრ რომელი – ეს დამოკიდებულია უკვე სუბიექტის საკომუნიკაციო მიზანსა და თეზაურუსზე (Motsch, 1980:207).

მაგალითად: პარლამენტის ერთ-ერთ წევრზე საგაზეთო სტატიაში ეწერა:

“Mr. Silverman the oldest abolitionist in the House of Commons”.

ი. გალპერინის ლექსიკონში (, 1968:21) სიტყვა “Abolitionist”-ს ორი მნიშვნელობა აქვს: 1. გაუქმების მომხრე; 2. აბოლიციონისტი, აბოლიციონიზმის მომხრე (შაგანიანთა მონობის გაუქმების მომხრე). ცხადია, რომ სილვერმენი რომელიმე კანონის ან ინსტიტუტის გაუქმების მომხრეა, მაგრამ თარგმანისთვის აუცილებელია იმის დაზუსტება, კონკრეტულად რის გაუქმებას მოითხოვს იგი. რამდენადაც მოცემული ტექსტში ამაზე არანაირი მინიშნება არ არსებობს, სწორი თარგმანი მხოლოდ და მხოლოდ რეალური გარემოსა და 1963 წელს ინგლისის პოლიტიკური ცხოვრების ცოდნით შეიძლება გადმოიცეს. ამ პერიოდში პარლამენტში სიკვდილით დასჯის კანონის გაუქმების საკითხი განიხილებოდა; ანუ საქმე ეხება 60-იანი წლების ინგლისის პარლამენტს, როდესაც განიხილებოდა სიკვდილით დასჯის საკითხი. რასაკვირველია, მთარგმნელმა უნდა გაითვალისწინოს ამ სიტყვის პირველი მნიშვნელობა, საუბარი რომ იყოს 20-30-იანი წლების ამერიკის კონგრესზე, იგივე სიტყვა უნდა ითარგმნოს როგორც – „მშრალი კანონის გაუქმების მომხრე“.

მოცემული მაგალითი აშკარად მიუთითებს თარგმნის დროს ექსტრალინგვისტური ფაქტორების გათვალისწინების აუცილებლობაზე. მაგალითად:

“The British people are still profoundly divided on the issue of joining Europe”.

„ბრიტანელებში დღემდეა აზრთა სხვადასხვაობა

ქვეყნის ევროპის საერთო ბაზარში შესვლის შესახებ.

მაშასადამე, მრავალმნიშვნელოვანი ლინგვისტური ერთეულების გადმოთარგმნის დროს მისი ეკვივალენტის ამორჩევა ხდება ვიწრო კონტექსტის, ფართო კონტექსტისა და ექსტრალინგვისტური ინფორმაციის საფუძველზე. ამ ფაქტორების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია სწორი თარგმანის შესრულება.

თარგმანის დროს ასევე უნდა გაითვალისწინოთ ენის დიაქნონული მდგომარეობა, რომელიც უამრავ მეტაფორას მოიცავს. რაც შეეხება მკვდარ მეტაფორებს, მათ მეტაფორული გაგება დაკარგეს და ენის ნორმალურ, სტანდარტულ სიტყვებად იქცნენ, რომლებიც თარგმნის დროს პრობლემას არ ქმნიან. მაგრამ ორიგინალურ მეტაფორებს უფრო ფართო გაგება აქვთ და ისინი სიზუსტეს მოკლებულნი არიან (Savory, 1986:173). ჟურნალისტი, რომელსაც ირანში არსებული სიტუაციის შეფასება სურს, ერთ ერთ სათაურში წერს: KAFKA IN IRAN. როგორ უნდა მოიქცეს მთარგმნელი ამ დროს? თუ სათარგმნენაში კავკას კარგად იცნობენ, მაშინ მთარგმნელი თავისუფლად ამოის-

უნთქავს და მას ლიტერატურულად თარგმნის. სხვა შემთხვევაში კი შემდეგნაირ სათაურს შემოგვთავაზებს: ბიუროკრატია, პოლიციური სახელმწიფო, ქაოსი და გაჭირვება ერაყში (Bureaucracy, Police State, Chaos and Misery in Iran). უფრო ნაკლები ალტერნატივა შეიძლება იყოს თანაბრად ფართო და მსგავსი მეტაფორის გამოყენება, როგორცაა მაგალითად:

Fog or Nightmare or Dostoyevsky or Darkness in Iran, ან

“Alice in a Persian looking-glass”

რამდენადაც მეტაფორა რაიმესთან მსგავსების (გაიგივების) ან განსხვავების გამოხატვის საშუალებაა, რისი გაგება ბუნებრივია მკითხველის ზოგად განათლებაზე, ასევე მისი წარმოსახვის უნარზეა დამოკიდებული, ამიტომაც მთარგმნელი ხშირ შემთხვევაში ერთგვარად ამცირებს ან უფრო სწორად აკონკრეტებს მეტაფორებს. მაგალითისათვის მოვიყვანოთ შემდეგი სათაური:

Pandora’s Nuclear Box Is Wide Open

(Guardian Weekly, 6-12 November, 2003)

ამ შემთხვევაში საუბარია შეერთებული შტატების მიერ ერაყში ბირთვული იარაღის შესაძლო გამოყენების შესახებ. „პანდორას ყუთი“ აქ ალეგორიულ დატვირთვას ატარებს, რაც ცნობილი ბერძნული მითოლოგიური სიუჟეტის ერთგვარი დასესხებაა და იგი სათაურს ორიგინალურ ელფერს ანიჭებს. ამ ყუთიდან ხომ ოდესღაც ყველანაირი სიავე და ბოროტება ამოიფრქვა, რაც შეიძლება ასევე მოჰყვეს ერაყში ბირთვული იარაღის გამოყენებას. ამიტომ მოცემული მხატვრული სახე შესაბამის ცოდნასაც საჭიროებს, ურომლისოდაც მისი გაგება შეუძლებელია.

ზოგჯერ საგაზეთო სათაური, რომელიც ერთი თვალის შევლევით სასაცილოდაც კი შეიძლება მოგეჩვენოთ, საკმაო ინფორმაციას იტევს.

ასე მაგალითად:

Filmmaker goes from popcorn to politics

(International Herald Tribune, Wednesday, November 27, 2002)

სტატიაში საუბარია ავსტრალიელ რეჟისორზე ფილიპ სიდნეიზე, რომელიც გასართობი ე.წ. „პოპკორნის“ ჟანრიდან საკმაოდ სერიოზულ პოლიტიკურ ჟანრზე გადავიდა. გრემ გრინის ცნობილ რომანზე გადაღებულმა ახალმა

სურათმა, - „წყნარი ამერიკელი“, რომელიც შეერთებული შტატებისა ვიეტნამის ომის საკითხს ეხება და ამერიკის საგარეო პოლიტიკას ამხელს, განსაკუთრებით კი 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ, მას საკმაოდ გაბედული რეჟისორის სახელი დაუმკვიდრა და მომავალში ოსკარსიც კი უწინასწარმეტყველეს. აქედან გამომდინარე ცხადია, რომ გრემ გრინის შემოქმედებისა და თავად რეჟისორის შემოქმედების ცოდნის გარეშე მკითხველს სათაურის გაგება გაუჭირდება, ხოლო, რაც შეეხება მთარგმნელს, მან სათაურს უფრო კონკრეტული ხასიათი უნდა მისცეს, ან მცირე განმარტება დაურთოს, რათა მკითხველისათვის ინფორმაცია უფრო მისაწვდომი გახდეს. რადგან თარგმანი არა მარტო ორი ენობრივი სისტემის შეხებაა, არამედ სხვადასხვა კულტურათა და ცივილიზაციათა კონტაქტიცაა.

ამრიგად, როგორც ზემოგანხილული მაგალითებიდან დავინახეთ, კონტექსტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სიტყვის მნიშვნელობის სწორად გაგებაში. ასევე ნათელია ის ფაქტი, რომ როგორც ვიწრო, ასევე ფართო კონტექსტი თანაბრად მნიშვნელოვანია ტექსტის სწორად ინტერპრეტაციისათვის. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კონტექსტის როლის შემცირება დაუშვებელია, რამაც შესაძლებელია სიტყვის, საგაზეთო სათაურის და, შესაბამისად, მთელი ტექტის არასწორ ინტერპრეტაციამდე მიგვიყვანოს.

თავი II.

ენის სხვადასხვა დონეების გადმოცემის

საშუალებები განსხვავებული სისტემის ენებში

ვინაიდან კვლევის მეთოდად გამოყენებულია საგაზეთო სათაურებისა და ტექსტების შედარებითი თარგმანი და ინტერპრეტაცია, ამდენად სხვადასხვა სისტემის ენების თეორიული პრობლემების მიმოხილვის გარდა მნიშვნელოვანია განვიხილოთ სხვადასხვა სისტემის ენებში ენის სხვადასხვა დონეების გადმოცემის ისეთი ენობრივი საშუალებები, როგორცაა ენობრივ საშუალებათა გადმოცემა მორფოლოგიისა და სინტაქსის დონეზე, მთარგმნელობითი ტრასფორმაციები, თავისუფალი სიტყვათშეხამებები, რაც ასევე ერთგვარ გასაღებს წარმოადგენს ჩვენი კვლევის ობიექტის - ინგლისური საგაზეთო-საინფორმაციო სტილის თავისებურებების სწორი ანალიზისათვის.

§1. ენობრივ საშუალებათა გადმოცემა მორფოლოგიასა და სინტაქსის დონეზე

ჩვენ უკვე განვსაზღვრეთ „თარგმანი“, როგორც მეტყველების, ნაწარმოების გადმოტანა ორიგინალის ენიდან თარგმანის ენაზე, ე.ი. თარგმნის დროს ხდება სათარგმნი ტექსტის გამომხატველი ერთეულის შეცვლა მეორე ენის ერთეულით, რომელიც თარგმანს ექვემდებარება – „თარგმანის ერთეული“. თარგმნის ერთეულის გადმოცემის პრობლემა ერთ-ერთი ურთულესი საკითხია თარგმანის თეორიაში.

თარგმნის ერთეული მოცემულ ტექსტში არსებული ისეთი ერთეულია, რომელსაც თარგმნილ ტექსტში შეიძლება ეკვივალენტი მოეძებნოს, ე.ი. ეს არის ენის უმცირესი ერთეული ორიგინალის ტექსტში, რომელსაც თარგმანის ენაში გააჩნია შესაბამისობა. აქედან გამომდინარე, თარგმნის ერთეული შეიძლება იყოს ენის ნებისმიერი დონის ერთეული. თანამედროვე ენათმეცნიერებაში განასახვავებენ ენობრივი ერთეულების შემდეგ იერარქიას: (დ. ფანჯიკიძე, 1981:46)

1. ფონემის დონე (წერითი თარგმანის დროს);
2. მორფემის დონე;
3. სიტყვის დონე;
4. სიტყვათშეხამების დონე;
5. წინადადების დონე;
6. ტექსტის დონე.

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

1. 1. თარგმნა ფონემის დონეზე

ფონემა, როგორც ცნობილია, არ წარმოადგენს დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ერთეულს. ენაში ის ასრულებს მხოლოდ მნიშვნელობის

განსმასხვავებელ როლს. მიუხედავად ამისა, მთარგმნელობით პრაქტიკაში ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, როდესაც სათარგმნ ერთეულად გვევლინება ფონემა, ან გრაფემა, ანუ ორიგინალის ენის არტიკულაციის მიხედვით იცვლება თარგმანის ენაში მასთან ყველაზე ახლოს მდგომი ფონემით (, 1968:174).

მაგალითად: heath [hi:] საჭიროა შევუჩიოთ ყველაზე უფრო მსგავსი ქართული ენის ბგერა – [თ] ჰით. თარგმნის ასეთ სახეობას ეწოდება ტრანსკრიფცია. იმ შემთხვევაში, როდესაც თარგმნა ხდება გრაფემების დონეზე, საქმე გვაქვს ტრანსლიტერაციასთან.

მაგალითად: Lincoln – „ლინკოლნი“, ჩვენ უბრალოდ ვცვლით ინგლისური ენის გრაფემებს ქართულით. ამ შემთხვევაში ტრანსკრიფცია რომ გამოგვეყენებინა, მივიღებდით „ლინკლნ“-ს – [linkln].

Newton – ნიუტონი;

Isaak – ისააკი.

1. 2. თარგმანი მორფემის დონეზე

ზოგჯერ სათარგმნ ერთეულად გვევლინება მორფემა. ორიგინალის ყველა მორფემას მოეპოვება შესაბამისი ერთეული სათარგმნ ენაში.

მაგალითად: tables – მაგიდები;

writer – მწერალი;

Ann's – ანას.

1.3. თარგმანი სიტყვის დონეზე

ყველაზე ხშირად სათარგმნ ერთეულად გვევლინება სიტყვა.

მაგალითად:

He came home.

ის მოვიდა სახლში.

Who told you this?

ვინ გითხრა შენ ეს?

ამ და მსგავს მაგალითებში შესაბამისობა წარმოიქმნება სიტყვათა დონეზე, ანუ სიტყვები გვევლინებიან სათარგმნ ერთეულად. როგორც წესი, წინადადებებში მხოლოდ სიტყვათა გარკვეული ნაწილი ითარგმნება სიტყვა-სიტყვით. მაშინ, როდესაც დანარჩენ სიტყვებს ასეთი შესაბამისობა არ გააჩნიათ და მათი თარგმნა ხდება სიტყვათა შეხამებების დონეზე. მხოლოდ მარტივი, უბრალო სტრუქტურის მქონე წინადადებები ითარგმნება სიტყვა-სიტყვით. ქართული ენის გრამატიულ სტრუქტურაში არ მოგვეპოვება ინგლისური ენის სიტყვების ისეთი ეკვივალენტები, როგორიცაა: არტიკლი, ინფინიტივის გამომხატველი to ნაწილაკი, მომავალი დროის მაჩვენებელი will, დამხმარე ზმნები do, have და ა.შ. ამიტომ მათი გადმოცემა ხდება არა სიტყვებით, არამედ მორფემებით. რთული სტრუქტურის მქონე წინადადებების თარგმნისას სხვადასხვა სახის გრამატიკული და ლექსიკური ფაქტორები შეუძლებელს ხდის (ან მინიმუმამდე დაჰყავს) სიტყვათა დონეზე თარგმნის საშუალებას.

მაგალითად:

**The UNO's proposal is an endeavor to create an atmosphere,
which will lead to further negotiations between Iraqi and Western countries. /ibid/**

**გაეროს წინადადება მცდელობაა, რომ ერაყსა და დასავლეთის ქვეყნებს
შორის შემდგომი მოლაპარაკებების ჩასატარებლად ატმოსფერო შექმნას.**

1. 4. თარგმნა სიტყვათა შეხამებების დონეზე

ასეთი თარგმანის მაგალითია მტკიცე ფრაზეოლოგიური ანუ იდეო-მატური გამონათქვამების თარგმანი. როგორც ცნობილია, მათი მნიშვნელობა არ უდრის შემადგენელი ნაწილების მნიშვნელობათა ჯამს (ანუ შედგება ისეთი სიტყვებისაგან, რომელთა პირდაპირი თარგმნა სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს):

მაგალითად:

to catch fire – დაწვა;

first night – პრემიერა;

to come to the wrong place – სხვაგან მოხვდით;

to spill the the beans – საიდუმლოს გაცემა

მაგრამ არსებობს ისეთი სიტყვათშესამებები, რომელთა შემადგენელი ნაწილების მნიშვნელობა შეადგენს ამ სიტყვათშესამებების შინაარსს. ასეთ შემთხვევაში ის გადმოიცემა პირდაპირ.

მაგალითად:

to play with fire – ცეცხლთან თამაში;

to get dressed – ჩაცმა;

to come late – დაგვიანება.

პრაქტიკაში გხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც წინადადების ერთი ნაწილი გადმოითარგმნება სიტყვების, ხოლო მეორე ნაწილი კი სიტყვათშესამების დონეზე.

1. 5. თარგმანი წინადადების დონეზე

ზოგჯერ სიტყვათშესამებების გამოყენებაც კი ვერ უზრუნველყოფს სწორ თარგმანს. ასეთ შემთხვევაში შესაბამისობა შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ წინადადების დონეზე. უმთავრესად ეს გვხვდება იდეომატური წინადადებების თარგმნისას.

მაგალითად:

Every cloud has a silver lining

ზოგი ჭირი მარგებელია

It rains cats and dogs

კოკისპირულად წვიმს

ასევე ითარგმნება კლიშეები, სასიგნალო და საგზაო ნიშნები. მაგალითად:

Keep off the grass – გაზონზე გავლა აკრძალულია;

Wet paint - ფრთხილად, შეღებილია;

Many happy returns to you - გილოცავ დაბადების დღეს;

There's a good boy – აი, ყოჩაღ;

I have nothing to admit it – არაფერი მაქვს სათქმელი

(ვერაფერს ვიტყვი);

**Don't even mention them to me – ჩემთან არც კი ახსენო (მაგას ნუ
მისხენებ), ვერ ვიტან;**
But outside of that I don't care much - და საერთოდ, ეს არაფერია.

1. 6. თარგმანი ტექსტის დონეზე

გვხვდება თარგმანის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც წინადადებაც ვერ გამოდის თარგმანის ერთეულის როლში. ასეთ დროს მიმართავენ მთლიან ტექსტს. ეს უმეტესწილად ხდება პოეზიის თარგმნის დროს (ლექსს ვერ თარგმნი სიტყვასიტყვით, ან წინადადებით, არამედ გადმოიცემა საერთო მთლიანი აზრი).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სათარგმნი ერთეული შეიძლება იყოს ენის ნებისმიერი ერთეული ფონემიდან – ტექსტამდე. ამასთან, აუცილებლად ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ერთი და იგივე ტექსტის თარგმნისას, როგორც წესი, მუდმივად იცვლება სათარგმნი ერთეულის დონე (ხან ვთარგმნით ფონემის დონეზე, ხან სიტყვის და ხან წინადადების და ა.შ.). თარგმნის დროს მნიშვნელობა განისაზღვრება:

- ა) ეკვივალენტური (ანუ ადეკვატური);
- ბ) პირდაპირი;
- გ) თავისუფალი თარგმანით.

ა) ეკვივალენტური თარგმანი, როდესაც თარგმანის ენის ნორმების დაცვით უცვლელად არის გადმოცემული ორიგინალის აზრი, ანუ როდესაც ორიგინალის ინფორმაცია გადმოიტანება აუცილებელ და საკმარის დონეზე. ზემოთ მოყვანილი მაგალითები შეესაბამებიან ეკვივალენტურ თარგმანს. შესაბამისი ერთეულის ამორჩევა ხდება ორიგინალის აზრის დაცვით აუცილებელ და საკმარის დონეზე. ამასთან, თარგმანის ენის გრამატიკული, სტილისტური, პრაგმატული და სხვა ნორმების გათვალისწინებით.

ბ) ეკვივალენტურზე უფრო დაბალ დონეზე შესრულებულ თარგმანს ეწოდება პირდაპირი თარგმანი.

მაგალითად:

Keep off the grass – გაზონზე გავლა აკრძალულია

ე.ი. ადამიანს აფრთხილებენ, რომ გაზონზე არ შეიძლება სიარული, მაგრამ სტილისტურად თარგმანი დაბალ დონეზეა შესრულებული.

პირდაპირი თარგმანის გამოყენება დაუშვებელია. ასეთ დროს მახინჯდება ორიგინალის აზრი, ან ირღვევა თარგმანის ენის ნორმები, ან ორივე შემთხვევას აქვს ერთდროულად ადგილი. პირდაპირი თარგმანი მთარგმნელობით პრაქტიკაში მთარგმნელის მიერ დაშვებულ „შეცდომად“ ითვლება. მაგალითად:

International – საერთაშორისო (და არა „ინტერნაციონალი“)

Natural – ბუნებრივი (და არა „ნატურალური“)

Cold blooded murder – ამაზრზენი მკვლელობა (და არა „ცივისსხლიანი მკვლელობა“)

A delicate balance – არამყარი წონასწორობა (და არა „დელიკატური ბალანსი“)

გ) ეკვივალენტურზე უფრო მაღალ დონეზე შესრულებულ თარგმანს, როდესაც გადმოიცემა საჭიროზე მეტი, უფრო ღრმა ინფორმაცია, ეწოდება თავისუფალი თარგმანი.

მაგალითად:

Some things are hard to remember – ხდება ხოლმე, რომ ვერაფრით

ვერ იხსენებ, თუ რა მოხდა (პირდაპირი – ზოგი რამ

ძნელად დასამახსოვრებელია).

საერთოდ, პრაქტიკაში თავისუფალი თარგმანი უფრო მისაღებია, ვიდრე პირდაპირი, ვინაიდან თავისუფალი თარგმნის დროს არ ხდება არც ორიგინალის შინაარსისა და არც თარგმნის ენის ნორმების დარღვევა. ანალოგიური პრინციპი მოქმედებს საგაზეთო სათაურების თარგმნისას. აქაც თავისუფალი თარგმანი უფრო მისაღები და მოსაწონია. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ თავისუფალი თარგმნის მთავარი ხარვეზი – ყოველთვის არსებობს ზღვარზე გადასვლის საშიშროება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ინფორმაციის ამა თუ თავისებურებების დაკარგვა, რადგანაც თავისუფალი თარგმნის დროს ტექსტი განიცდის ღრმა ცვლილებებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ოფიციალური ტექსტის, იურიდიული თუ დიპლომატიური დოკუმენტის თარგმნის დროს აუცილებელია მთარგმნელის მიერ გამოყენებულ იქნას არა პირდაპირი ან თავისუფალი, არამედ ეკვივალენტური თარგმანი, ხოლო თავისუფალი კი უმეტესწილად გამოიყენება სინქრონული, ან ლიტერატურის თარგმნის დროს.

§.2. მთარგმნელობითი ტრანსფორმაციების ტიპები

თარგმნის საგანს წარმოადგენს კონკრეტული ნაწარმოები (ორიგინალის ტექსტი), რომლის საფუძველზე იქმნება სხვა ნაწარმოები სხვა ენაზე (თარგმანის ტექსტი). მთარგმნელობითი ეკვივალენტობის მიღწევა (თარგმნის ადეკვატურობა) მთარგმნელისაგან, უპირველეს ყოვლისა, ე.წ. მთარგმნელობითი ტრანსფორმაციების – მრავალრიცხოვანი და განსხვავებული ენათშორისი გარდაქმნების – წარმოების უნარს მოითხოვს, რათა თარგმნილმა ტექსტმა სრულად გადმოგვცეს საწყის ტექსტში მოცემული ინფორმაცია და ამავე დროს დაიცვას თარგმანის ენის ნორმები (, 1973).

არსებობს მთარგმნელობითი ტრანსფორმაციების ოთხი ტიპი: გადანაცვლება, შეცვლა, დამატება, გამოტოვება.

2. 1. გადანაცვლება

გადანაცვლება, როგორც ტრანსფორმაციის სახე წარმოადგენს თარგმანის ტექსტში ენობრივი ელემენტების განლაგების შეცვლას ორიგინალის ტექსტთან მიმართებაში. გადანაცვლებას ექვემდებარებიან სიტყვები და სიტყვათშეხამებები, რთული წინადადებების ნაწილები და დამოუკიდებელი წინადადებები.

ყველაზე გავრცელებული შემთხვევაა სიტყვათა და სიტყვათშეხამების წყობის შეცვლა წინადადების სტრუქტურაში. სიტყვათა წყობა ქართულ და ინგლისურ ენებში ერთნაირი არაა, რაც გავლენას ახდენს თარგმანზე.

I

II

III

IV

A suburban train / was derailed / near London / last night.

IV

III

II

I

გუშინ საღამოს ლონდონთან ახლოს რელსებიდან გადავარდა გარეუბნის მატარებელი.

ეს მოვლენა აიხსნება იმით, რომ ინგლისურ წინადადებაში წინადადების წევრების განლაგება განპირობებულია სინტაქსის წესებით – ქვემდებარეს მოსდევს შემასმენელი, გარემოებები კი წინადადების ბოლოშია განლაგებული (ადგილის გარემოებას მოსდევს დროის გარემოება), ქართულში კი – მნიშვნელოვანია წინადადებების ე.წ. კომუნიკაციური დანაწევრება. წინადადების ბოლოში განლაგებულია ინფორმაციის მატარებელი სიტყვები, მეორეხარისხოვანი სიტყვები კი წინადადებების დასაწყისშია.

I II III
A boy / came / into the room

III II I

ოთახში / შემოვიდა / ბიჭი

I II III

Molasses buckets / appeared / from nowhere

III II I

საიდანღაც / გაჩნდნენ / ბადაგის კასრები

თარგმნისას ადგილი აქვს რთული წინადადების ნაწილების, მთავარი და დამოკიდებული წინადადებების ადგილების ცვლას. ინგლისურში დამოკიდებულ წინადადებას მოსდევს რთული, ქართულში – პირიქით, თუმცა ზოგჯერ საწინააღმდეგოც ხდება.

გადანაცვლებას ექვემდებარება დამოკიდებული წინადადებებიც.

მაგალითად:

You goin'to court this moirning? asked Jum. We had strolled over.

ჩვენ მივუახლოვდით მის ღობეს. – თქვენ წახვალთ სასამართლოში? – იკითხა ჯიმმა.

ამ შემთხვევაში გადანაცვლების აუცილებლობა გამოიწვია Past Perfect-ის ფორმამ მეორე წინადადებაში.

2. 2. შეცვლა

შეცვლა ტრანსფორმაციის ყველაზე გავრცელებული და მრავალფეროვანი სახეა. არსებობს გრამატიკული და ლექსიკური ხერხები:

ა) სიტყვის ფორმების შეცვლა;

ბ) მეტყველების ნაწილების შეცვლა.

არსებითი სახელი იცვლება ნაცვალსახელით.

მაგალითად:

At first the bird humg in my grandfather's room, but soon he outlawed it to our attic, because it began to imitate him.

თავდაპირველად ის ბაბუას ოთახში გავიდა, მაგრამ მალე ბაბუამ ჩვენთან სხვენზე გადმოისრლა, იმიტომ რომ შოშიამ ბაბუას გამოჯავრება ისწავლა.

ხდება პირიქითაც, ნაცვალსახელები არსებითით იცვლება.

ინგლისურიდან ქართულზე თარგმნისას ტიპიურ შეცვლად ითვლება ზმნური არსებითი სახელის შეცვლა ზმნით.

მაგალითად:

It is our hope that the Human Rights Commission will be able to establish a presence in Guyana.

ვიმედოვნებთ, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია შეძლებს თავისი წარმომადგენლობის გაგზავნას გუანაში.

კანონზომიერად ითვლება ინგლისური ზმნური არსებითი სახელის (-er სუფიქსით ნაწარმოები) შეცვლა ზმნის ფორმით.

მაგალითად:

He's not a terrible good mixer .

ის არც ისე უახლოვდება ადამიანებს

I am a very good golfer.

მე ძალიან კარგად ვთამაშობ გოლფს.

ჩვეულებრივად ითვლება ზედსართავი სახელის შეცვლა არსებითით:

The British Government – ინგლისის მთავრობა

The Congolese Embassy – კონგოს საელჩო

ინგლისური ზედსართავი სახელები შედარებით ხარისხში შეიძლება შეიცვალოს ზმნური არსებითი სახელებით.

მაგალითად:

The stoppage, which is in support of higher pay and shorter working hours, began on Monday.

გაფიცვა, რომლის მონაწილეები ხელფასის გაზრდას და სამუშაო დღის შემცირებას მოითხოვდნენ, ორშაბათს დაიწყო.

თარგმნისას ზედსართავო სახელები შეიძლება შეიცვალოს ჯგუფით „თანდებული + არსებითი სახელი“.

მაგალითად:

“You always got these very lumpy mashed potatoes...”

„თქვენ ყოველთვის მიირთმევდით კარტოფილის პიურეს კოშტებით.

ზედსართავი სახელი პრედიკატივის ფუნქციით ხშირად იცვლება ზმნით.

“I was really glad to see him”

„გამიხარდა მისი დანახვა

გ) წინადადების წევრის შეცვლა

(წინადადების სინტაქსური სტრუქტურის გადაქმნა)

წინადადების წევრების შეცვლისას სიტყვებს და სიტყვათშეხამებებს ეცვლებათ სინტაქსური ფუნქცია და ხდება წინადადების წყობის სინტაქსური სქემის გარდაქმნა. ამის მიზეზია ის, რომ ინგლისურ ენაში დომინირებს შემდეგი წყობა: მოცემული + სიახლე (ახალი ინფორმაცია). ინგლისური ზმნის ვნებითი გვარის ფორმა იცვლება ქართული ზმნის მოქმედებითი გვარის ფორმით:

He was met by his sister - მას და შეხვდა

He was given money - მას ფული მისცეს

ჩვეულებრივია შემთხვევები, როდესაც ინგლისური წინადადების ქვემდებარე ქართული წინადადების გარემოებით იცვლება. მაგალითად:

The last week has seen an intensification of the diplomatic activity

გასულ კვირას აქტიური დიპლომატიური საქმიანობა შეიმჩნეოდა;

The little town of of Clay Cross today witnessed a massive demonstration

დღეს პატარა ქალაქ ქლეი-ქროსში მასობრივი დემონსტრაცია შედგა;

The room was too damn hot - ოთახში საშინელი სიცხე იდგა.

აქვე არ უნდა უგულებელვყოთ ინგლისური საგაზეთო-საინფორმაციო სტილისთვის დამახასიათებელი ანალოგიური კონსტრუქციები. მაგალითად:

The resolution declared – რეზოლუციაში ნათქვამია

The note strongly protests – ნოტაში გამოთქმულია მტკიცე პროტესტი

ასევეა:

Fig. 50 shows diagrammatically a single-phase induction wattmeter.

50-ე სურათზე გამოსახულია ერთფაზიანი ინდუქციური ვატმეტრის სქემა.

(ამ შემთხვევაში მეტყველების ნაწილების შეცვლასთან გვაქვს საქმე – ზმნისზედა diagrammatically არ შეესაბამება არსებით სახელს „სქემა“).

ხშირად გარემოება მიზეზისაა. მაგალითად:

The crash killed 106 people

ავიაკატასტროფის შედეგად დაიღუპა 106 ადამიანი

ხშირ შემთხვევაში შეცვლა ხდება არა მარტო გრამატიკული, არამედ სტილისტური მოსაზრებით.

After dinner they talked long and quietly.

სადილის შემდეგ მათ გრძელი, გულთადი საუბარი ჰქონდათ.

1. მარტივი წინადადების შეცვლა რთულით:

ასეთი შეცვლა გამოწვეულია გრამატიკული მიზეზით – ორიგინალის ენისა და თარგმანის ენას შორის სტრუქტურული სხვაობით.

მაგალითად:

At that moment the door was opened by the maid (J.G.)

კარი გაიღო და მოსამსახურემ გამოიხედა

1) მარტივი წინადადება შეიცვალა რთულით; 2) ქვეწოცი იცვლება თანწოცილით; 3) ხდება ლექსიკურ-გრამატიკული შეცვლა “was opened” – „გაიღო”; 4) დამატება “by the maid” იცვლება ქვემდებარით; 5) ემატება სიტყვა „გამოიხედა”; 6) გამოტოვებულია “at that moment”. საწყისი კონსტრუქციის შენარჩუნება შესაძლებელი იყო, მაგრამ სტილისტურად ნაკლებად მისაღები.

ამ ტიპის ტრანსფორმაციის ერთ-ერთი ვარიანტია ორი მარტივი წინადადების შერწყმა ერთ რთულში.

That was a long time ago. It seemed like fifty years ago.

ეს დიდი ხნის წინ მოხდა – თითქოს 50 წელი გავიდა

2) რთულის შეცვლა მარტივით

It was so dark I could't see her

სიბნელეში ვერ შევხედი მისი დანახვა

ცალკე გამოიყოფა – „წინადადებების დანაწევრება”. ეს ხერხი გამოიყენება საგაზეთო-საინფორმაციო ჟანრის თარგმნისას, რომლისთვისაც დამახასიათებელია დამოუკიდებელ წინადადებათა სიმრავლე.

ზოგჯერ თარგმნისას გვიხდება ერთდროულად დანაწევრებაც და შერწყმაც.

მაგალითად:

You couldn't see the grandstand too hot, but you could hear them all yelling, deep and terrific on the Pencey seide, because practically the whole school except me was there...

ტრიბუნების შეთვალეურებაც ვერ შევხედი, მხოლოდ მესმოდა, როგორ ღრიალებდნენ. ჩვენ მხარეს ღრიალებდნენ მთელი ხმით – იქ შეიკრიბა მთელი სკოლა ჩემს გარდა.

3) მთავარი წინადადების შეცვლა დამოკიდებული წინადადებით და პირიქით. მაგალითად:

While I was eating my eggs, these two nuns with suitcases and all... came in

ერბოკვერცხს ვჭამდი, როდესაც ორი მონაზონი შემოვიდა ჩანთებით.

(ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ქვეწიქობილის შეცვლას თანწიქობილით თან სდევს კავშირიანი წინადადების შეცვლა უკავშიროთი). ზოგჯერ ქვეწიქობილის შეცვლა თანწიქობილით ემთხვევა რთული წინადადების ერთგვაროვანი შემასმენლებით ტრანსფორმაციას მარტივ წინადადებად. მაგალითად:

Spencer kept whistling “Song of India” while he shaved (J.G.)

სპენსერი იხარხარებდა წვერს და მღეროდა „სიმღერას ინდოეთზე.

4) ქვეწიქობილი წინადადება შეიძლება შეიცვალოს მარტივითაც: მაგალითად:

I lived in the Ossenburger Memorial Wing of the new forms

**მე ვცხოვრობდი ახალი საერთო საცხოვრებლის ოსენბურგის
სახელობის კორპუსში.**

5) კავშირიანი წინადადების უკავშიროთი შეცვლა.

ქართული ზეპირმეტყველებისათვის დამახიასიათებელია უკავშირო წინადადებები, ინგლისურისათვის კი არა. მაგალითად:

After I made the date with old Sally, I got out of bad and got dressed
and packed my bag (J.S.)

**მოველაპარაკე თუ არა სალის, წამოვდექი ლოგინიდან,
ჩავიცვი და ჩავაწყვე ბარგი**

It was hot as hell and the windows were all steamy.

ყველა ფანჯარა სიცხისაგან დაორთქლილი იყო.

6) ლექსიკური ერთეულების შეცვლა

ლექსიკური ერთეულების შეცვლა მთარგმნელობითი ტრანსფორმაციის ისეთი ხერხია, როდესაც ორიგინალის ენის ცალკეული ერთეულები (სიტყვები,

სიტყვათშეხამებები) იცვლება სათარგმნი ენის იმ ლექსიკური ერთეულებით, რომლებიც არ ითვლებიან მათ ეკვივალენტებად. ცნობილია ლექსიკური ერთეულების შეცვლის სამი სახე: 1. კონკრეტიზაცია; 2. გენერალიზაცია; 3. მიზეზ-შედეგობრივ ურთიეთობებზე დამყარებული შეცვლა.

1. კონკრეტიზაცია – ეწოდება ორიგინალის ენის, სიტყვის ან სიტყვათშეხამებების შეცვლას თარგმანის ენის უფრო ვიწრო რეფერენციალური მნიშვნელობის მქონე სიტყვით, ან სიტყვათშეხამებით. კონკრეტიზაცია შეიძლება იყოს ენობრივი ან კონტექსტური (მეტყველებითი).

ენობრივი კონკრეტიზაციის დროს ფართო მნიშვნელობის მქონე სიტყვის შეცვლა უფრო ვიწრო მნიშვნელობის სიტყვით აიხსნება ორი ენის სტრუქტურის სხვადასხვაობით, ან თარგმნის ენაში იმ ლექსიკური ერთეულების არქონებით, რომელსაც ისეთივე ფართო მნიშვნელობა აქვს, როგორც ორიგინალის ენის გადმოსაცემ ერთეულს, ან მათი სტილისტური მახასიათებლების შეუსაბამობით, ან გრამატიკული მოთხოვნებით (წინადადების სინტაქსური ტრანსფორმაციის აუცილებლობით).

ინგლისური არსებითი სახელი thing, რომელსაც აქვს აბსტრაქტული მნიშვნელობა, ითარგმნება კონკრეტიზაციის გზით: ნივთი, საგანი, საქმე, ფაქტი, შემთხვევა, გარემოება, ნაწარმოები, არსება და ა.შ. ოქსფორდის ლექსიკონში ეს სიტყვა გამნარტებულია, როგორც: “an entity of any kind, that which is or may be in any way an object or perception, knowledge or thought”, /OXFORD, Advanced Learner’s Dictionary, 1240:420/. მაგალითად:

What’s that thing for?

Get out the dinner things = plates, knives, forks

His mother is such a nice old thing = person

What a sweet little thing = animal

I haven’t got a thing to wear = clothes

Bring your tennis things = equipment

**You mustn’t take things so seriously = item, unspecified subject something
referred to**

That’s just one thing after another = one problem after another

It’s good thing you came with us = it’s lucky

First thing in the morning = as soon as you get up

Last thing at night = just before you go to bed

She's got a thing about pink curtains = mania

He wants to do this own thing = to do what he really feels like doing

Thingamajig / thingummy =

Some object/person whose name you have forgotten

Pass me the thingamajig to open the bottle (cockscrew).

კონკრეტიზაციას განიცდის ინგლისურიდან ქართულზე თარგმნისას მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები come და go. ამიტომ come ითარგმნება როგორც „მოსვლა“, „მიახლოება“, „მოცურვა“, „მოფრენა“ go – „სიარული“, „სვლა“, „მგზავრობა“, „გამგზავრება“ და ა.შ.

ჩვეულებრივად ითვლება მეტყველების აღმნიშვნელი ზმნების say და tell კონკრეტიზაცია, რომელიც ითარგმნება, როგორც „ლაპარაკი“ და „მოყოლა“, ასევე „შენიშვნა“, „აღიარება“, „მტკიცება“, „შეტყობინება“, „გარემოება“, „ბრძანება“ და ა.შ. მაგალითად:

He told us we should always pray to God

ის გვირჩევდა, ყოველთვის გველოცა.

Thanks for telling me, I said.

გმადლობთ, რომ გამაფრთხილეთ, – ვუთხარი მე.

კონკრეტიზაციის ხერხი გამოიყენება აგრეთვე სხვა სიტყვების გადმოსაცემად. მაგალითად:

Dinny waited in the corridor which smeled of disinfectant

დინი ელოდა მას კარბოლკის (კარბომჟავას) სუნით გაჟღენთილ დერეფანში.

ინგლისურ disinfectant-ს შეესატყვისება „სადეზინფექციო საშუალება“, მაგრამ ეს გამოთქმა სტილისტურად მისაღებია ოფიციალურ სამეცნიერო ჟანრში, სალაპარაკო სტილით თარგმნისას წარმოიშობა კონკრეტიზაციის აუცილებლობა.

ჩვეულებრივი მოვლენაა აგრეთვე ინგლისური ზმნა to be-ს კონკრეტიზაცია. მაგალითად:

He is at school – ის სწავლობს სკოლაში;

He is in the Army – ის მსახურობს არმიაში;

He's in Hollywood – ის ჰოლივუდში ცხოვრობს;

The picture is on the wall – სურათი ჰკიდია კედელზე.

ამ შემთხვევაში ლექსიკურ შენაცვლებას (კონკრეტიზაციას) ახლავს გრამატიკული ტრანსფორმაცია – მეტყველების ნაწილების შენაცვლება და წინადადებების სტრუქტურის შეცვლა.

დამახასიათებელია საერთო მნიშვნელობის მქონე სიტყვების (the man, the woman, the person, the creature) შეცვლა კონკრეტული საკუთარი სახელებით და არსებითი სახელებით – მოხუცი, ჯარისკაცი, გამვლელი, დიასახლისი და ა.შ. მაგალითად:

We had strilled over – ჩვენ მივუახლოვდით მის ღობეს.

2. **გენერალიზაცია.** გენერალიზაციას უწოდებენ კონკრეტიზაციის საწინააღმდეგო მოვლენას – ორიგინალის ენის ვიწრო მნიშვნელობის მქონე ერთეულის შეცვლას თარგმანის ენის ფართო მნიშვნელობის მქონე ერთეულით. მაგალითად:

He comes over and visits me practically every week (J.G.)

ის ხშირად მოდის ჩემთან, თითქმის ყოველ კვირას

Who won the game? I said. It's only the half (ibid)

ვინ მოიგო? – ვიკითხე მე. ჯერ არ დამთავრებულა.

გენერალიზაცია ერწმის ანტონიმურ თარგმანს. ზემოთ მოყვანილ მაგალითში ზმნა said პირიქით, განიცდის კონკრეტიზაციას.

გენერალიზაცია ხშირად გამოწვეულია პრაგმატული ფაქტორით.

მაგალითად:

Jane used to drive to market with her mother in this La Selle

convertible they had (ibid)

ჯეინი დედასთან ერთად ბაზარში მათი უცვლელი მანქანით დადიოდა.

3. **მიზეზ-შედეგობრივ ურთიერთობებზე დამყარებული შეცვლა.** თარგმნისას ხშირად აქვს ადგილი ლექსიკურ შენაცვლებებს, რომლებიც ეყრდნობა ცნებებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. ორიგინალის ენის სიტყვა ან სიტყვათ-

შესამება შეიძლება შეიცვალოს თარგმანის ენის სიტყვით ან სიტყვათშესამებით, რომელიც აღნიშნავს მოქმედების ან მდგომარეობის მიზეზს.

მაგალითად:

I don't blame them – მე მათი მესმის.

შენაცვლება ეყრდნობა მიზეზ-შედგობრივ ურთიერთობებს – „მე მათ არ ვაღანაშაულებ, იმიტომ რომ მე მათი მესმის“.

მაგალითად:

He always made you say everything twice

იგი ყოველთვის ხელახლა გამოგვკითხავდა (თქვენ იძულებული იყავით გაგემეორებინათ ნათქვამი იმიტომ, რომ იგი ყოველთვის ხელახლა გეკითხებოდათ).

შეიმჩნევა აგრეთვე საწინააღმდეგო შენაცვლების მაგალითები – მიზეზი – შედეგით.

მაგალითად:

He was the kind of a guy that hates to answer you right away (J.S.)

ისეთები, როგორც ისაა, უცებ არ გპასუხობენ (არ გპასუხობენ იმიტომ, რომ არ უყვართ ამის გაკეთება).

3. ანტონიმური თარგმანი

ეს ფართოდ გავრცელებული კომპლექსური ლექსიკურ-გრამატიკული შენაცვლებაა, რომლის არსიც გამოიხატება მტკიცებითი კონსტრუქციის უარყოფაში ტრანსფორმაციით, ან პირიქით, რომელსაც მოჰყვება ორიგინალის ენის სათარგმნი წინადადების ერთი სიტყვის შეცვლა მისი ანტონიმით თარგმანის ენაში.

მაგალითად:

Spencer didn't say anything – სპენსერი დუმდა;

I'm not kidding – მე თქვენ სერიოზულად გეუბნებით;

I couldn't think of anybody to call up – ვერ ვიხსენებდი ვისთან დამეურეკა.

ჩვეულებრივია ინგლისური კონსტრუქციების “not... (un)till-ის შეცვლა. “(un)till” იცვლება – „მაშინ როცა”, „მხოლოდ მაშინ”.... მაგალითად:

I didn't think of till we went half-way through the park

ამის შესახებ გამახსენდა, როცა გავიარეთ თითქმის ნახევარი პარკი.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ უარყოფა ინგლისურში ყოველთვის არ გადმოიცემა უარყოფითი ნაწილაკის not მეშვეობით, არამედ სხვა საშუალებებითაც.

მაგალითად:

He never met him afterwards without asking him

ამის შემდეგ ის შესხვედრისას ყოველთვის მოიკითხავდა მას.

ანტონიმური შენაცვლების საინტერესო მაგალითია:

The Redley's house had screen doors (J.S.)

რედლის სახლს მთლიანი კარი ჰქონდა.

screen door – „შუშაბანდიანი კარი“ შენაცვლებულია ანტონიმით „ერთიანი კარებით“.

ანტონიმები აქვთ მეტყველების დამხმარე ნაწილებსაც, როგორცაა წინდებულები და შორისდებული.

მაგალითად:

I'm the most terrific liar you ever saw in your life (ibid)

ჩემნაირი საშინელი ცრუბენტელა თქვენ ცხოვრებაში არ გინახავთ.

It wasn't as cold as it was the day before (ibid)

უფრო თბილოდა, ვიდრე გუშინ.

ქვემოთ მოყვანილ მაგალითში მტკიცებითი კონსტრუქციის გადმოტანას უარყოფითში ახლავს არა ანტონიმური შენაცვლება, არამედ რთული წინადადების შეცვლა მარტივით და before-ის შეცვლა სინტაქსური კონსტრუქციით.

მაგალითად:

It will be February 8 before they return to London

ისინი დაბრუნდებიან ლონდონში არაუგვიანეს 8 თებერვლისა.

4. კომპენსაცია

ეკვივალენტური თარგმნის მიღწევის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს შენაცვლების განსაკუთრებული სახეობა, რომელსაც კომპენსაცია ეწოდება. იგი გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა ორიგინალის ენაში ტექსტის გარკვეული ელემენტი თარგმანის ენაში სხვადასვა მიზეზის გამო ვერ გადმოიცემა იგივე საშუალებებით. ასეთ შემთხვევაში საჭიროა აზრობრივი დანაკარგის ანაზღაურება სხვა საშუალებებით, მაგრამ ტექსტის იმავე მონაკვეთში.

მაგალითად:

My parents would have about two haemorrhages apiece if I told anything pretty personal about them. (J.G.)

ჩემს წინაპრებს ალბათ ორი ინფარქტი დაემართებოდათ, მათ პირად საქმეებზე რომ მელაყბა.

სიტყვებს parents და tell აქვთ ნეიტრალური სტილისტური და რეგისტრული დატვირთვა მაშინ, როცა „წინაპრები” და „ლაყბობა” – ფამილარულ რეგისტრს მიეკუთვნება.

სტილისა და რეგისტრის მიხედვით მარკირებული სიტყვების გამოყენება-შენაცვლება ნეიტრალური სიტყვების ნაცვლად არის კომპენსაცია, რომელიც სრულყოფილ სტილისტურ და რეგისტრულ დახასიათებას იძლევა. მაგალითად:

If there is one thing I hate it's the movies (J.S.)

თუკი რაიმე მეჯავრება, ეს არის კინო

movies – ეკუთვნის თავისუფალ რეგისტრს, მაგრამ ქართულში არ არის შესატყვისი ფორმა, ამიტომ გამოიყენება სიტყვა – „კინო”. მაგალითად:

Why don't you write a god thrilling detective story? – She asked. Me? – exclaimed Mrs. Forrester, for the first time in her life regardless of grammar (ibid).

„რატომ არ დაწერთ სულისშემძვრელ დეტექტიურ რომანს? – იკითხა მან. „რაო? – წამოიყვირა მისის ფორესტერმა, პირველად მის ცხოვრებაში დაივიწყა რა გრამატიკის შესახებ. (ibid)

me-ს გამოყენებას I-ს ნაცვლად ბევრი გრამატიკულ დაუდევრობად თვლის (თუმცა ეს უკვე სალაპარაკო ენაში ნორმად იქცა), რადგანაც ქართულში პირის ნაცვალსახელების სისტემაში მსგავსი არაფერია, ამიტომ იგი შეიცვალა ფამილარული „რაო“-თი ნაცვლად ლიტერატურული „რა“-სი.

კომპენსაცია, როგორც ვთქვით, გამოიყენება იქ, სადაც აუცილებელია შიდა-ლინგვისტური მნიშვნელობის გადმოცემა (Jakobson, R. 1959:240).

3. 3. დამატებები

ლექსიკური დამატებების მიზეზები სხვადასხვა შეიძლება იყოს. ერთ-ერთია სათარგმნ ენაში სიტყვათშესამებების შემადგენელი კომპონენტების „ფორმალური გამოუხატველობა“, რაც საკმაოდ გავრცელებულია ინგლისურში. იგი შეიძლება განიმარტოს როგორც „გამოტოვება“, ან „ელიფსი“ ამა თუ იმ სიტყვისა, რომელიც არსებობს წინადადების ძირეულ სტრუქტურაში, ზედაპირულ სტრუქტურაში ტრანსფორმირებისას. ასეთ „გამოტოვებებს“ ექვემდებარება სიტყვები, რომლებსაც ცნობილი ამერიკელი ლინგვისტი ზ. ჰარისი „მართებულ სიტყვებს“ (appropriate words) უწოდებს (Z. Harris 1970:171) რადგანაც წინადადების ზედაპირული სტრუქტურა სხვადასხვა ენაში განსხვავებულია, ერთი და იგივე ძირეული სტრუქტურის თარგმნის დროს საწყის ენაში გამოტოვებული „მართებული სიტყვები“ სათარგმნ ენაში აღდგენას ექვემდებარება. (1967:151). მაგალითად:

THE NEW AMERICAN SECRETARY OF STATE HAS PROPOSED A WORLD CONFERENCE ON FOOD SUPPLIES.

წინადადების ნაწილში has propped a world conference გამოტოვებულია ძირეული სტრუქტურის მართებული სიტყვა to call (მოწვევა).

აშშ-ს ახალმა სახელმწიფო მდივანმა გამოთქვა აზრი, რომ მოწვეულ იქნას საერთაშორისო კონფერენცია სასურსათო რესურსების შესახებ.

მაგალითად:

Her English is not very good, I said. – I'm afraid my French is awful

- მას არცთუ ისე კარგად ესმის ინგლისური (მან არც თუ ისე კარგად იცის ინგლისური).
- გშიშობ, მე ძალიან ცუდად ვსაუბრობ ფრანგულად.

„ცოდნა (იცის)“, „გაგება (ესმის): და „ვსაუბრობ“ – მართებული სიტყვებია.

ფორმალური გადმოუცემლობა ტიპიურია ინგლისური ენისათვის და თარგმნისას მოითხოვს დამატებებს.

მაგალითად:

pay claim (pay offer) – მოთხოვნა (წინადადება) ხელფასის ამაღლებაზე

gun license – ნებართვა იარაღის ტარებაზე.

oil countries – ნავთობის მწარმოებელი ქვეყნები.

დამატების აუცილებლობა შეიმჩნევა ტერმინოლოგიური ხასიათის ფრაზების გადმოცემისას.

მაგალითად:

logical computer – გამომთვლელი მანქანა, რომელიც ასრულებს ლოგიკურ ოპერაციებს.

The Un-American Committee – ანტიამერიკული საქმიანობის გამომკლვეი კომისია.

დამატებები შეიძლება განპირობებული იყოს სხვადასხვა გრამატიკული თუ სტრუქტურული აუცილებლობით.

მაგალითად:

No one would think now that Kate had been the rettier of the two.

არავინ არ დაიჯერებდა, რომ ორი დიდან კეტი ყვეელთვის უკეთესი იყო.

Employees of all industries.

მრეწველობის ყველა დარგის თანამშრომლები.

Leontyne Price turned this into one of the greatest “Aida’s ” I have ever seen.

ლეონტინ პრაისის მონაწილეობით ეს იყო „აიდას“ ერთ-ერთი

საუკეთესო დადგმა, რომელიც ოდესმე მინახავს.

ზოგჯერ დამატებები განპირობებულია სტილისური მოსაზრებებით: “She never used scent, and she had always thought it rather fast, but Eau de Cologne was so refreshing” – „იგი არასდროს იპყრებდა სუნამოს, თვლიდა რა ქარაფშუტობის გამოვლინებად, მაგრამ ოდეკოლონი – სხვა საქმეა, ის ისე სასიამოვნოდ გახალისებს”.

4. 4. გამოტოვებები

გამოტოვებები არის დამატების საწინააღმდეგო მოვლენა. თავმნისას გამოტოვებას ექვემდებარება სემანტიურად ჭარბი სიტყვები.

ერთ-ერთ სახეა ე.წ. „წყვილი სინონიმების” კავშირით გაერთიანებული ერთნაირი კავშირის მქონე სიტყვების გამოყენება. ინგლისურ ენაში ეს მოვლენა იურიდიული ხასიათის ტექსტებს ახასიათებს. ქართულში ასეთ შემთხვევაში მივმართავთ გამოტოვებებს.

მაგალითად:

just and equitable treatment

სამართლიანი დამოკდებულება

by force and violence

იძულების წესით

the proposal was rejected and repudiated

წინადადება უარყოფილ იქნა

იგივე წესია გამოყენებული პუბლიცისტური ჟანრის მასალებში, ორატორულ მეტყველებაში და ა.შ.

მაგალითად:

Judging by all external appearances, this session of our Assemble is regular and norma ... yet the atmosphere is neither usual nor seasonal, for this sessionstands outside the pattern of the thirteen session held since the days of San Francisco.

ერთი შეხედვით ეს ჩვენი ასამბლეის რიგითი სესიაა... მაგრამ ატმოსფერო, რომელშიც ის მიმდინარეობს, არ ჩაითვლება ჩვეულებრივად,

რადგან არ ჰგავს სხვა 13 სესიას, რომელიც ჩატარდა სან-ფრანცისკოს კონფერენციის შემდეგ.

„წყვილი სინონიმების” გამოყენება ყოველთვის არ არის სტილისტური საშუალება, ზოგჯერ ეს გამოწვეულია სხვა მიზეზით (სამეცნიერო-ტექნიკურ ტექსტებში).

მაგალითად:

Burning or combustion is the process of uniting a fuel or combustible with the oxygen in the air.

ტექსტში გამოყენებული სპეციალური ტექნიკური ტერმინები combustion და combustible შესაძლოა მკითხველისათვის გაუგებარი გახდეს, ამიტომ ისინი განმარტებულია ზოგადი ინგლისური სიტყვებით burning და fuel. წვა არის საწვავისა და ჰაერში არსებული ჟანგბადის შეერთების პროცესი.

რასაკვირველია, ჭარბი ელემენტები მხოლოდ „წყვილი სინონიმებით” არ ამოიწურება.

მაგალითად:

A little while later, I still had it with me when I and Brssard and Ackley got on the bus.

მე ის ჯერაც ხელში მეჭირა, როცა ბროსართან და ეკლისთან ერთად ავტობუსში ავედი.

დროის გარემოება – A little while later სემანტიკურად ჭარბია, რადგანაც არის მეორე დროის გარემოებაც. მაგალითად:

So I paid my check and all. Then I left the bar and went out where the telephones were.

მე გადავიხადე და წავედი ავტომატებისაკენ.

აქ სემანტიკურად ჭარბად ითვლება left the bar, რადგანაც ამ სიტყვათშესაბამებოთ გამოხატული მოქმედება იგულისხმება მეორე ზმნაში went out.

სემანტიკურად ჭარბი ელემენტების ჩამოშორება იძლევა „ტექსტის კომპრესიის” ანუ მისი საერთო მოცულობის შეკვეცის შესაძლებლობას.

გამოტოვება ზოგჯერ გამოწვეულია არა მარტო სიტყვების სიჭარბით, არამედ მაქსიმალური დაკონკრეტებით, რომელიც ინგლისურისათვის დამახასიათებელი ტენდენციაა (რიცხვითი სახელები, ზომისა და წონის ერთეულები). მაგალითად:

About a gallon of water was dripping down my neck, getting all over my collar and tie.
წყალი მეღვრებოდა კისერზე, მისველებდა საყელოსა და ჰალსტუსს.

§.3. თავისუფალი სიტყვათშესამებები

2. 1. ორწევრიანი სიტყვათშესამებები

სემანტიკური კავშირების თვალსაზრისით სიტყვათშესამება შეიძლება დავეყოს: ა) თავისუფალ და ბ) ფრაზეოლოგიურ სიტყვათშესამებად (, 1972:241).

ა) თავისუფალი სიტყვათშესამებების დროს სიტყვები ინარჩუნებს შედარებით დამოუკიდებელ მნიშვნელობას, თუმცა ნაწილობრივ ერთმანეთთან რთულ კავშირში არიან. პუბლიცისტურ და საგაზეთო საინფორმაციო მასალებში ხშირად გამოიყენება ატრიბუტული სიტყვათშესამებები, რომელიც თავისუფალი სიტყვათშესამების ერთ-ერთი სახეობაა.

– ატრიბუტული სიტყვათშესამებებში ერთი ელემენტი შეიძლება იყოს ზედსართავი სახელი (silent majority/მდუმარე უმრავლესობა); მიმდებარეობა (attempted coup – გადატრიალების მცდელობა); არსებითი სახელი (partisan policy – ვიწროპარტიული პოლიტიკა).

– adj + n – ამ ტიპის ატრიბუტული სიტყვათშესამების გარკვეულ რაოდენობას ქართულ ენაში გააჩნია მუდმივი სტრუქტურულ-სემანტიკური შესაბამისი ფორმა და მათი ნაწილი საგაზეთო კლიშეა. მაგალითად:

Negotiating / bargaining table – მოლაპარაკებათა მაგიდა;

Plenary session – პლენარული სხდომა;

Developing countries – განვითარებადი ქვეყნები.

მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ წარმატებული სიტყვათშესამების წყალობით ხშირად ერთიდაიგივე სიტყვა, რომელიც მსაზღვრელის როლშია,

ქართულ ენაზე ითარგმნება სხვადასხვა სიტყვით წამყვანი (ძირითადი) კომპონენტის სემანტიკის გათვალისწინებით /ibid/. მაგალითად:

Public man/figure – პოლიტიკური/საზოგადო მოღვაწე

Public opinion – საზოგადოებრივი აზრი

Scandal – სახალხო სკანდალი

Deny – ოფიციალური უარყოფა, საჯარო უარყოფა

Image – წარმოდგენა (მოღვაწეზე, ქვეყანაზე, პარტიაზე) შექმნილი საზოგადოებრივი საკუთრება.

საკმაოდ გაგრძელებულია ისეთი ინგლისური კონსტრუქციების თარგმნა, რომელშიც გამოტოვებულია სიტყვათშესამების წამყვანი კომპონენტი, რომელთანაც ლოგიკურად უნდა იყოს დაკავშირებული განსაზღვრება. მაგალითად:

The unrest among the tribes encouraged some punitive talks by noise in the government who still hanker after military solution.

სიტყვათშესამებაში punitive talks – სიტყვა punitive/დამსჯელი ახასიათებს შემდგომ (n)-ხალხს მხოლოდ სინტაქსურად, ის არ შეიძლება კავშირში იყოს ისეთ (n)-თან, როგორცაა /expedition/act.

ტომებში აღელვება გამოიწვია საუბრებმა დამსჯელ ოპერაციებზე მთავრობის იმ პირთა მიმართ, რომლებსაც სჯერათ პრობლემის სამხედრო გზით გადაწყვეტა.

negotiated settlement – მოლაპარაკებების შედეგად მიღწეული შეთანხმება;

non-ptolification treaty – მოლაპარაკება ატომური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ;

nuclear participants/participation – ბირთვული იარაღის მქონე ქვეყნები;

opinion poll – საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა;

peace committee – მშვიდობის დაცვის კომიტეტი;

transplant man dies – კაცი, რომელსაც გაუკეთდა ტრანსპლანტაცია, გარდაიცვალა;

shuttle diplomacy – ნავის, მაქოს დიპლომატია მშვიდობის უზრუნველყოფის მიზნით;

peace shuttle – დიპლომატია მშვიდობის უზრუნველსაყოფად;

“n+n”.

მაგალითად:

- mountain war – ომი მთებში;
- Weekend demonstration – შაბათ-კვირის დემონსტრაცია/გამოსვლა;
- space programme – კოსმოსური კვლევის პროგრამა;
- surfucation death – სიკვდილი გაგუდვით;
- succession struggle – ძალაუფლებისათვის ბრძოლა;
- most favoured nation trading status – სავაჭრო სტატუსი ყველაზე ბარაქიან ქვეყანასთან;
 - სავაჭრო სტატუსი ყველაზე ბარაქიან ქვეყანას;
 - სავაჭრო სტატუსი ყველაზე პრივილეგიურ ქვეყანას;
- bus death – სიკვდილი ავტობუსში;
- bus death strike – ავტობუსის მძღოლების გაფიცვა.

5. 2 სამწვერიანი და მრავალწვერიანი სიტყვათშეხამებები

სამწვერიანი სიტყვათშეთანხმება შეიძლება შეიცავდეს ზედსართავ სახელს, მომღეობას, ზმნიზედას, რიცხვითი სახელისა და არსებითი სახელის შეთანხმების სხვადასხვა ვარიანტებს.

ორწვერიანი სიტყვათშეხამებების მსგავსად, აქაც მრავლადაა ნაწარმოები შეხამებები, რომელთა კომპონენტები არ არიან ერთმანეთთან მუდმივ კავშირში და ადვილად იცვლებიან. ზოგჯერ სამწვერიანი სიტყვათშეხამებები აღწერილობით თარგმანს საჭიროებს:

- Bus death strike

საყრდენი სიტყვაა (strike), ხოლო bus death სემანტიკურად შეკავშირებული აზრობრივი ჯგუფია, რომელშიც განსაზღვრება (bus) ასრულებს გარემოების ფუნქციას, ხოლო death – სიკვდილი – საზღვრულია

სიკვდილი ავტობუსში + strile ასრულებს მიზეზის გარემოების ფუნქციას და პასუხობს კითხვაზე „რა მიზეზით არის გამოცხადებული გაფიცვა?“ კომენტარი გვაძლევს შემდეგ ინფორმაციას, რომ გაფიცვა გამოაცხადეს კონდუქტორებმა ხულიგნური ქმედებების წინააღმდეგ.

- trident submarine-launched missile

წყალქვეშა ნავიდან გაშვებული რაკეტა „ტრაიდენი“;

- The President persuaded his **better-late-than-never courtship** of the Congress and as a result made headway with a bill he needs to start reorganizing the bureaucracy.

როგორც ჩანს, პრეზიდენტმა გაითვალისწინა ცნობილი ანდაზა „სჯობს გვიან ვიდრე არასდროს“, დაუწყო რა კონგრესს მოფერება, მან გარკვეულ წარმატებას მიაღწია იმ კანონპროექტთან დაკავშირებით, რომელიც მას სახელმწიფო აპარატის რეორგანიზაციის საშუალებას მისცემს.

ასევე მაგალითად:

A pipe-putting, tough, no-nonsense, fifty-five-years old former President's law partner.

ყოფილი პრეზიდენტის იურიდიული მრჩეველი (პარტნიორი მისი იურიდიული მოღვაწეობის პერიოდში) – 55 წლის მამაკაცი, მტკიცე ხასიათით, საქმიანი, განუყრელი ჩიბუხით პირში.

- the no-room-at-the-inn incident

სასტუმროში (რესტორანში) თავისუფალი ადგილის (მაგიდის) არქონას მოპყვა ინციდენტი.

- stop damping in death pit bid lunched

დაიწყო ჯანმრთელობის მავნე ნარჩენების გადაყრის კამპანია

3. 3. უეკვიგალენტო ლექსიკა

– ტრანსლიტერაცია და ტრანსკრიფცია

ტრანსლიტერაცია – გრაფიკული ფორმის გამოყენებით ინგლისური სიტყვის ქართულ ენაზე გადმოტანაა.

Genocide – „გენოციდი” Washington Post – „ვაშინგტონ პოსტი”;
Baltimore – „ბალტიმორი”.

სიტყვები, რომლებიც ტრანსლიტერაციის მეთოდით მიიღება ქართულად ინგლისური ტრანსკრიფციით კი არ გადმოდის, არამედ ინგლისური ორთოგრაფიის არქაული ნიმუშით.

(ჯენოსაიდ, ბოლთიმორ, ოუშინგტონ ფოუსთ),

ხოლო სიტყვის ტრანსკრიფციის მეთოდით გადმოტანა მდგომარეობს მათი ბგერითი სახით ქართულად გადმოცემაში.

Guardian – გარდიანი;
know-how – ნოუჰაუ;
general motors – ჯენერალ მოტორს.

ტრანსკრიფციის და ტრანსლიტერაციის მეთოდები ძირითადად გამოიყენება ნეოლოგიზმებში, საკუთარი სახელების, გეოგრაფიული დასახელებების, გემების, თვითფრინავების, ჟურნალ-გაზეთების გადმოსაცემად (Chomsky, 1976:177).

3. 4. კალკირება

ეს მეთოდი მდგომარეობს ინგლისური სიტყვის ან სიტყვათშეხამების ნაწილ-ნაწილ თარგმანში იგივე მიმდევრობით, როგორც ინგლისურშია.

Shadow Cabinet – ჩრდილოვანი კაბინეტი
White House – თეთრი სახლი

5. 5. აღწერილობითი თარგმანი

აღწერილობითი თარგმანი სიტყვის მოკლედ ახსნის მეთოდს წარმოადგენს. იგი გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში:

ა) როდესაც ქართულში არ მოიძებნება მისი ეკვივალენტი.

A babysitter – ის, ვინც შესაბამისი თანხის გადახდით რჩება ბავშვთან.

ბ) როდესაც ინგლისურში სიტყვათშეხამება განსაკუთრებული წესით ხდება:

negotiated settlement – შეთანხმება, რომელიც მოლაპარაკებების გზით მიიღწევა;

better than never admission – პრინციპის „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“ აღიარება.

გ) როდესაც ინგლისურისა და ქართულის გრამატიკული სტრუქტურები სრულიად განსხვავებულია.

მაგალითად:

The General was maneuvered out of the presidency in 1974.

მოწინააღმდეგეთა მხრიდან ინტრიგის მოწყობის შედეგად 1974 წელს გენერალს პრეზიდენტის პოსტის დატოვება მოუხდა.

დ) საგაზეთო სტატიების სათაურების გადმოტანისას:

The Countries To Go West

მხოლოდ კონტექსტის გაცნობის შედეგად შესაძლებელი იქნება აღწერ-
ილობითი თარგმანის შემდეგი ტიპის შემოთავაზება:

„უელსის სამ საგრაფოში, სადაც სპირტიანი სასმელების გაყიდვა აკრძალული იყო, მოსახლეობამ მათი შაბათ-კვირას გაყიდვა მოითხოვა“ ან

„სამ საგრაფოში სპირტიანი სასმელების შაბათ-კვირას გაყიდვის ნე-
ბართვა გასცეს“.

4. 6. თარგმნის ექსტრალინგვისტური ასპექტები

Wall Street – უოლსტრიტი;

Westminster – ვესტმინსტერი;

White Hall – უაით ჰოლი.

რეაქციების უმრავლესობა მოითხოვს, რომ გავხსნათ მათი მნიშვნელობა.
მაგალითად:

**Even his detectors are saying that he has left a mark on foggy bottom
that will never be erased.**

**მისი მოწინააღმდეგეები განუწყვეტლივ ამტკიცებენ, რომ მან ისე
ხმაურიანად დატოვა მთავრობა, რომ მისი კვალიც კი აღარ დარჩა;**

**The Senate may vote on the governor's confrontation during the lame-
duck session, but the House will probably postpone its vote until next
year.**

**სენატმა, შესაძლოა, კენჭისყრაზე დააყენოს გუბერნატორის
დამტკიცების საკითხი, ვიდრე უფლებამოსილებას გადასცემდნენ ახ-
ლადარჩეულ შემადგენლობას, მაგრამ წარმომადგენლობითი პალატა
აღბათ გადადებს საკითხს მომდევნო წლისათვის;**

**Apparently, the officers who over threw the President timed their coup
for August 15, the anniversary of Indian Independence. They figured that
the government would be pre-occupied that day-a sort o Yom Kippur War,
as a Western diplomat put it.**

აღნიშნულ მაგალითში Yom Kippur – ებრაელი ხალხის დღესასწაული,
აღინიშნება ისრაელში ოქტომბერში.

Yom Kippur War – 1973 წელს დაწყებული არაბეთ-ისრაელის ომი,
რომელიც ზუსტად ამ ზეიმის დღეს დაიწყო.

როგორც ჩანს, ოფიცრებმა, რომლებმაც პრეზიდენტი დაამხეს სწორედ 15
აგვისტო შეარჩიეს – ინდოეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების დღედ. მათ
გაითვალისწინეს, რომ ინდოეთის მთავრობას ამ დღესთან დაკავშირებით ბევრი
საზრუნავი ექნებოდა. დასავლეთის ერთ-ერთმა დიპლომატმა ეს მდგომარეობა
1973 წელს არაბეთ-ისრაელის ომის დროს შექმნილ სიტუაციას შეადარა.

ზემოგანხილული მაგალითებიდან ნათლად ჩანს, თუ რაოდენ დიდი
მნიშვნელობა აქვს აღწერილობითი თარგმანის შესრულების დროს
ექსტრალინგვისტურ, ანუ ფონურ ცოდნას.

თავი III.
ინგლისური საგაზეთო-საინფორმაციო
ტექსტის სტილის თავისებურებანი

§ 1. წინასწარი შენიშვნები

როგორც ზემოთ განხილული მასალიდან დავრწმუნდით, ყოველ ენას თავისი იმანენტური სტრუქტურა აქვს. დავინახეთ, რომ იმპლიციტური მნიშვნელობა გამოიყენება ექსპლიციტური მნიშვნელობისა და ობიექტური სინამდვილის შედარებით. არანაკლებ მნიშვნელოვანია სამეტყველო სუბიექტის განზრახვა. ამიტომ საგაზეთო-საინფორმაციო ტექსტის თავისებურებებზე საუბრის დროსაც ის პრაქტიკული საკითხები უნდა გავითვალისწინოთ, რომლებიც უშუალოდ ტექსტის აქტუალურ მნიშვნელობასთან არის დაკავშირებული და საკვლევი საკითხების დაკონკრეტებას მოითხოვს.

ჩვენი მიზანია ინგლისური საგაზეთო-საინფორმაციო ტექსტის, ჩვენს შემთხვევაში კი სათაურების თავისებურებების გამოვლენა და ანალიზი. ამისათვის მოვახდენთ საგაზეთო სათაურების თარგმანს და ინტერპრეტაციას,

რათა ხაზი გაეუსვათ სხვადასხვა სისტემის ენებში საგაზეთო-საინფორმაციო ტექსტის თავისებურებებს. ამ მიზნით ჩვენ დავეყრდნობით თარგმანს, ვინაიდან შემოქმედებითი პრობლემების კვლევისას მიღებული შედეგები საერთოა ნებისმიერი ენიდან შესრულებული თარგმანისათვის, ვინაიდან თარგმანის ფენომენის საიდუმლო ენისა და აზროვნების ურთიერთობაში მდგომარეობს. ენისა და აზროვნების დიალექტიკური ერთიანობა რომ არ არსებობდეს, ენას არ ექნებოდა უნარი გარდაესახა ყოველი აზრი.

მართალია, ნებისმიერი ტექსტის თარგმნისას გარკვეულ სიძნელეებს წარმოშობს ორ ენას შორის არსებული განსხვავებანი: სხვადასხვა ენაში სიტყვათა სხვადასხვაგვარი სემანტიკური ტევადობა (ლექსიკური დატვირთვა, სიტყვების განსხვავებული კომბინაციური ცვლილებები, ფრაზეოლოგიური ერთეულების სხვადასხვა შინაარსობრივი საფუძველი. მაგრამ დედნის ენის ცოდნის გარდა აქ გვეხმარება „რეალური სიტუაციის“, ანუ იმ გარეუბრივი (ექსტრალინგვისტური) სინამდვილის გაგების უნარი, რომელიც ამა თუ იმ ტექსტშია აღწერილი. ექსტრალინგვისტური სიტუაცია კი ორი სახისაა: რეფერენტული და კომუნიკაციური. რეფერენტული სიტუაცია სინამდვილის ის სემანტიკა, რომელიც უშუალოდ ასახულია გამონათქვამში, მას მუდამ სიტუაციის სახე აქვს, ამიტომაც გამონათქვამის რეფერენტს სიტუაცია წარმოადგენს. ხოლო ტექსტის შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ რეფერენტულ სივრცეზე, რომელიც თავის მხრივ რეფერენტული სიტუაციებისაგან შედგება. იმისათვის რომ ექსპლიციტური მნიშვნელობიდან იმპლიციტურზე გადავიდეთ, უნდა დავეყრდნოთ რეფერენტულ სიტუაციას, მაგრამ თუ გვსურს გავითვალისწინოთ უფრო ღრმა მნიშვნელობა, უნდა დავეყრდნოთ რეფერენტულ სივრცეს. რაც შეეხება კომუნიკაციურ სიტუაციას, მის გარეშე შეუძლებელია გავიგოთ გამონათქვამის, შესაბამისად ტექსტის აქტუალური მნიშვნელობა. ტექსტში ეს უნარი კი, თავის მხრივ, ობიექტური რეალობის ფაქტების ცოდნას ემყარება და ნათელ, გასაგებ სურათს ქმნის (გ. ლებანიძე, 1997:132).

საგაზეთო-საინფორმაციო ტექსტის სტილზე მსჯელობისას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ყურადღება შევაჩეროთ საინფორმაციო ტექსტის ისეთი ძირითადი უნარობრივი ტიპებზე, როგორცაა საინფორმაციო შეტყობინება და კორესპონდენცია.

საინფორმაციო შენიშვნა ოპერატიულ-პუბლიცისტური უნარია. იგი შეიძლება დაიწეროს როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ მოვლენებზე და ფაქტებზე. საინფორმაციო შეტყობინება უძველესი უნარია, რომელიც პრესის

ჩასახვისთანავე გაჩნდა. ეს არის პუბლიცისტური ჟანრი, რომელიც ოპერატიულად, ანალიზისა და არგუმენტაციის სისტემის გარეშე გვამცნობს რაიმე ამბავს. შესაბამისად, მასში მხოლოდ ფაქტობრივი ინფორმაციაა მოცემული, ხოლო კომენტარი კი მეორე პლანზეა გადაწეული. ამასთან, საინფორმაციო შეტყობინების აგების სხვა, არანაკლები მნიშვნელოვანი წესი კრძალავს შესავალი წინადადების ინფორმაციულ გადატვირთვას. რთული სინტაქსური წინადადებები, რომლებიც მსჯელობებსა და დიდი მოცულობის ინფორმაციას შეიცავს, უნდა დაიყოს შედარებით მარტივ წინადადებებად.

საინფორმაციო შეტყობინების, ისე როგორც სხვა ჟანრის მასალათა გაზუთებში დაბეჭდვა, არსებითად გეგმის მიხედვით ხდება. კარგი მასალის მოპოვება დიდ ძეგნასთან არის დაკავშირებული. საინფორმაციო შეტყობინება განტვირთული უნდა იყოს ჩანართებისაგან. იგი გვამცნობს სიახლეს, კონკრეტულ მაგალითზე დაყრდნობით ზრდის საზოგადოებას, ხელს უწყობს დადებითის პოპულარიზაციას და უარყოფითის დაგმობას.

კორესპონდენცია ერთ-ერთი ძირითადი პუბლიცისტური ჟანრია, რომელშიც მოცემულია ფაქტის, მოვლენის კონკრეტული აღწერა. საინფორმაციო შეტყობინების მსგავსად, კორესპონდენციაც ფაქტებს გადმოსცემს, მაგრამ მასში ადგილი აქვს არა რაიმე ფაქტის უბრალო შეტყობინებას, არამედ მსჯელობასაც. აქტი, ანალიზი, განზოგადება და შეფასება კორესპონდენციის ძირითადი თავისებურებაა. მასში ფაქტი ისე უნდა იყოს გაშუქებული, რომ ნათელი გახდეს მისი გამომწვევი მიზეზიც. ქვეყნის მრავალფეროვნება განსაზღვრავს ჟურნალისტის მიერ კორესპონდენციის თემის შერჩევის წარმატებასაც და ღირსებასაც.

საგაზეთო-პუბლიცისტური ჟანრის თავისებურებებზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა საგაზეთო სათაურები – ინფორმაციის აკუმულატორების თარგმანს მივმართავთ. ვინაიდან, თარგმანი რთული ესთეტიკური ფენომენია და თარგმნის პროცესიც ორიგინალის ტექსტის გადმოღებას არ ნიშნავს. თარგმნისას ერთმანეთს ხვდება არა მარტო ორი სხვადასხვა ენა, არამედ ორი სხვადასხვა სინამდვილე. ორივე ენას შესწევს უნარი პრინციპულად გადმოსცეს ნებისმიერი აზრი. საუბარია მხოლოდ გადმოცემის სხვადასხვა ხერხებზე. ამ შემთხვევაში კონტექსტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს. იგი გვიჩვენებს, ენაში არსებული რამდენიმე ვარიანტიდან რომელია სწორი. თარგმნის ხერხების სწორად ამორჩევა და გამოყენება კი მთარგმნელის პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული.

ამრიგად, ჩვენ განვიხილავთ საგაზეთო-საინფორმაციო ტექსტის ჩვენს სტილისტურ თავისებურებებს ინგლისურ და ქართულ ენებში, რათა გამოვავლინოთ ინგლისური საგაზეთო-საინფორმაციო ტექსტის თავისებურებანი.

საგაზეთო ინფორმაციას დღევანდელ პირობებში მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია, ძალიან ხშირად საგაზეთო სტატიებისა თუ სათაურების კითხვის დროს გარკვეულ წინააღმდეგობებს ვაწყდებით – ხშირად გვიჭირს მოცემული სათაურიდან აზრის გამოტანა, ან ცხადად ვგრძნობთ, რომ იგი ქართულ „უღერადობას“ მოკლებულია და უფრო კალკირებულ თარგმანს მოგვაგონებს.

როგორც ცნობილია, საგაზეთო სტილი სხვადასხვა სახეობებად თუ უნარებად იყოფა, რომელთაგანაც თითოეულს სინტაქსური და ლექსიკური საშუალებების ნაკრები ახასიათებს. თარგმანის თავისებურებებზე საუბრის დროს სტილისტურ მონაცემებს უდიდესი ყურადღება ექცევა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „სტილისტური ფილტრების“ მოქმედების მექანიზმის გამოსავლენად მთარგმნელმა უნდა გაითვალისწინოს, რომელი ენობრივი საშუალება გამოიყენოს (E. Nida, 1969:99).

მოცემულ თავში განვიხილავთ საგაზეთო-საინფორმაციო ტექსტის, ჩვენ შემთხვევაში კი სათაურის სტილის თავისებურებებს თარგმნის დროს, რომელიც ძალიან ხშირად სიძნელეებს უქმნის სტატიებისა თუ სათაურების მთარგმნელებს.

ინგლისური სათაურების შედარებითი თარგმანი იმ თავისებურებებს გამოავლენს, რომელიც თარგმნის პროცესში იჩენს თავს. ხშირად მკითხველს უჭირს საგაზეთო სათაურიდან აზრის გამოტანა, რაც გამოწვეულია იმით რომ ხშირად სათაურებს უსრული წინადადების სახე აქვთ (მაგ.: Difficult Times Ahead). ქვემოთ ჩამოთვლილია საგაზეთო სათაურების ყველაზე გავრცელებული გამონაკლისები.

როგორც ფრანგი მწერალი, მეცნიერი და ფილოსოფოსი პასკალი აღნიშნავდა: „ვწერ გრძლად, რადგანაც არ მაქვს მოკლედ წერის დრო“. ამ აპრადოქსალურ გამონათქვამში ღრმა აზრი იმალება, რადგანაც ავტორის მიერ აზრის ბუნდოვნად და გაურკვეველად გამოსახვას ხშირად ჭარბსიტყვაობამდე მიყვავართ, ხოლო აზრის მოკლედ და გარკვევით ფორმულირება სიტყვებთან ხანგრძლივი და დაძაბული მუშაობის შედეგად მიიღწევა.

აზრის ეკონომიურად და ზუსტად გამოხატვა – სტილისტიკის

უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა. ხოლო საგაზეთო სათაურისათვის სიცხადესა და სიზუსტეს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. სათაური ხომ არის ის ძირითადი შეტყობინება, ანუ ტექსტი, რომელსაც პირველს აწყდება და ყურადღებას აქცევს გაზეთის მკითხველი თუ უბრალოდ „გადამთვალეირებელი“, მასში ხომ სტატიის ძირითადი შინაარსი, ანუ ტექსტი არის კონცენტრირებული. სათაური ხომ ის უპირველესი სიგნალია, რომელიც მკითხველს უღვივებს ან პირიქით უნელებს გაზეთის წაკითხვის ინტერესს. ამისათვის სათაურში შესაძლებელია ყველა ცნობილი ლექსიკური თუ სემანტიკური გამომხატველობითი საშუალების გამოყენება. ასევე შესაძლებელია სიტყვების გადატანით მნიშვნელობაზე დაფუძნებული სინონიმებისა და ანტონიმების, ასევე სხვა ემოციურად დატვირთული ლექსიკის გამოყენება ექსპრესიული სათაურების შესაქმნელად. სათაურებში, ასევე ანდაზების, ფრაზეოლოგიზმების, ცნობილი ფილმების, სიმღერების, პიესების სახეწოდებების, მათგან ამოღებული ციტატების, სასაუბრო ელემენტების და სხვა ფონეტიკური და მორფოლოგიური გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებაც არის შესაძლებელი.

§ 2. საგაზეთო სათაურის გრამატიკული თავისებურებები

ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ სათაურების სინტაქსურ თავისებურებებზე, სადაც ნათლად ვლინდება სათაურების მთავარი პრინციპი - სივრცის ეკონომია ტექსტის კომპენსაციისა და სინტაქსური და სემანტიკური საშუალებების გამოყენების ხარჯზე.

2.1. ზმნური თავისებურებანი.

სივრცის ეკონომიის მიზნით ინგლისურ სათაურებში უმეტესწილად ვნებით გვარის ის ფორმები და ზმნური ფრაზები გამოიყენება ისეთი, სადაც დამხმარე ზმნა “to be” გამოტოვებულია როგორც წარსულში მომხდარი, ასევე აწმყოში მიმდინარე მოვლენების აღსაწერად, ასევე გამოიყენება მიმღეობა II-ის ფორმა.

მაგალითად:

FRANCO PLANS TRIAL

TRIAL OF DIANA'S BUTLER COLLAPES

PARIS PROTEST MARCH STAGED BY STUDENTS

8-YEAR-OLD BOY KIDNAPPED IN MIAMI

ALL PIERS PARALYSED ON EAST COAST

NOEL FIELDS DEAD

255 RELEASED

DISGRUNTED GRAD ARRESTED IN OHIO SHOOTING

FRENCH FARMERS SUSPICIOUS OF PROPOSED EU SUBSIDIES REFORM

KOSOVO REBELS PREPARED FOR FURTHER BLOODSHED

(Guardian Weekly).

ვნებით გვარში გამოტოვებულია დამხმარე ზმნები:

მაგალითად:

MAN KILLED IN ACCIDENT = A Man has been killed in an accident.

TOMMY THE DOG NAMED HERO = Tommy the Dog has been named a hero (by the mayor). /ibid/

ასევე:

SIX PEOPLE KILLED IN EXPLOSION (=Six people have been killed in explosion.)

INDIAN HELD FOR MURDER (Indians have been held for murder) /ibid/

ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ისეთი გავრცელებული ზმნები, როგორცაა 'held, found, atacked' წარმოადგენენ ვნებითი გვარის მნიშვნელობის მქონე მიმღეობა II-ის ფორმებს და არა წარსული დროის გამომხატველ ზმნებს. შედარებისათვის:

NUCLEAR DEAL ROW: PM ATTACKED

(=PM has been attacked.)

NUCLEAR DEAL ROW: PM ATTACKS OPPOSITION

(=PM has attacked his opposition) /ibid/

ასვე სათაურებში ხშირად გამოიყენება ორი წერტილი (:), რომელიც სათაურის თემას გამოყოფს გრაფიკულად აღნიშნულ ფაქტთან მიმართებაში გაკეთებული განხილვისგან. მაგ.:

POWER CRISIS: GOVERNMENT TO ACT

BUILDING COLLAPSE: DEATH TOLL RISES /ibid/

2.2. ზმნის გრამატიკულ დროთა სისტემის ფუნქციურ-სემანტიკური თავისებურებები

სათაურებში ხშირად ხვდებით ზმნის დროის ცვლილებებს. ყველაზე ხშირია განგრძობითი და სრული ფორმების ნაცვლად მარტივი ფორმების გამოყენება.

მაგალითად:

FORGOTTEN BROTHER APPEARS = A forgotten brother has appeared (after a long period of time).

PROFESSORS PROTEST PAY CUTS = Professors are protesting pay cuts (at the university). /ibid/

სათაურებში ხშირად განგრძობითი დრო გამონაკლისის სახით გამოიყენება ცვლილებებზე საუბრისას. ამ შემთხვევაში ხდება დამხმარე ზმნის - 'To be' გამოტოვება. მაგალითად:

EARTH GETTING WARMER, SAY SCIENTISTS (=EARTH IS GETTING WARMER.)

TRADE FIGURES IMPROVING (=TRADE FIGURES ARE IMPROVING.) /ibid/

წარსულში მომხდარი ფაქტები კი აწმყო დროის ზმნების საშუალებით გადმოიცემა. მაგალითად:

BUSH UNVEILS FREE-TRADE ZONE FOR MID-EAST

UN CRITICIZES CUBAN DISSIDENTS' ARRESTS

POWELL MEETS NEW PALESTINEAN PM
POWELL CALLS FOR TERRORIST DISARMMENT
IRAQ BOMBINGS KILL THREE U.S. SOLDIERS
INDIA, PAKISTAN DIT DOWN TO TALK PEACE
RUSSIA CONDEMNS WEST PROVOCATION, RICHARD ALDINGTON DIES 70,
CONCORDE LANDS AT HEATHROW (Guardian Weekly).

ზემოხსენებულ სათაურებში ისტორიული აწმყო დროის გამოყენება მეტად ხშირი მოვლენაა, რაც მათ სიცოცხლისუნარიანობას მატებს და მკითხველთან აახლოვებს, თითქოს იგი მოცემული მოვლენების მონაწილე ხდება და უღვიძებს მას გამოქვეყნებული მასალისადმი ინტერესს.

რაც შეეხება ნამყო განუსაზღვრელ დროს, ისიც გამოიყენება მხოლოდ წარსულთან დაკავშირებულ ისეთი მოვლენების გადმოსაცემად, სადაც დროის გარემოების დასახელების აუცილებლობა იგრძნობა ან იმ შემთხვევაში, თუ მკითხველისათვის ცნობილია გასაშუქებელი მოვლენის ზუსტი დრო.

მაგალითად:

HUSBAND DISAPPEARED TWO YEARS AGO
WHY ROCKEFELLER COULDN'T BUY A LANDSLIDE VICTORY?
WAVE OF PEACE ACTION SWEEP THE NATION. (ibid)

მომავლის ფაქტები კი ინფინიტივის საშუალებით გადმოიცემა.

მაგალითად:

BUSH TO CALL FOR MIDEAST FREE-TRADE PACT
REPUBLICAN LAWMAKERS TO INVESTIGATE DISTRICT'S SALARIES
OIL SITES MEN TO RETURN
SENIOR U.S. OFFICIAL IN BAGHDAD TO BE REPLACED
FRASER TO NAME NAMES IN SPONSORSHIP SCANDAL
AMERICA TO RESUME TESTING
LAUNDRY WORKERS TO VOTE ON NEW CONTRACT
WORLD UNIONS TO FIGHT MONOPOLY. (ibid)

ან კიდევ:

Mayor to Open Shopping Mall = The mayor is going to open a new shopping mall.

James Wood to Visit Portland = (Famous actor) James Wood is going to visit Portland soon.

/The Guardian, May 11, 2003, Sunday/

ამასთან საინტერესოა ის შემთხვევებიც, როდესაც მომავალი დროის მოვლენებისა და გეგმების გამოსახატავად გამოიყენება წინდებული 'FOR'. მაგ.:

INDIAN TROOPS FOR IRAQ? (= Are Indian soldiers going to be sent to Iraq?) (ibid)

2.3. სახელადი ჯაჭვები

ყველაზე ხშირად სათაურები სახელად ფრაზებს შეიცავენ, რომლებიც ხშირად არსებით სახელს (მაგ.: Around strange, exotic people) აღწერენ. მაგალითად:

UNDER PRESSURE FROM BOSS

OVERWHELMING RESPONSE OF VOTERS (ibid)

აღნიშნული ტიპის სათაურების კითხვისას საკუთარ თავს ვუსვამთ შემდეგ კითხვას: რისგან? რის შესახებ? ვისგან? ვის? ა.შ, რაც ერთგვარად სტატის წასაკითხად გვამზადებს. გამოცდილება კი გვეხმარება, რომ წინასწარ ვიფიქროთ აღნიშნული თემის ირგვლივ გამოყენებულ ლექსიკაზე.

მაგალითად:

UNEXPECTED VISIT (ibid)

მაგალითად:

**GEORGIAN SECURITY CHIEF SAYS “ENEMIES” BEHIND
BLAST IN GEORGIA /Financial Times, 6 April 2004/**

**საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის განცხადებით, საქართველოში
მომხდარი აფეთქების უკან „მტრები დგანან.“**

მოცემული სათაურის ინგლისურიდან ქართულად თარგმნის დროს აუცილებელია ინგლისურ ვარიანტში გამოტოვებული to be ზმნის აღდგენა, რადგან ამას ქართული ენის სტრუქტურა მოითხოვს.

ასეთ შემთხვევაში თარგმანის კანონზომიერებანი ადვილად შეიძლება ჩამოყალიბდეს სინტაქსური ტრანსფორმაციების „წესების“ სახით (სიტყვა „წესი“ ბრჭყალებში შემთხვევით არ არის მოქცეული, რამდენადაც თარგმნის კანონზომიერებებს, რომელთაც სააღბათო ხასიათი აქვთ, პირობითად შეიძლება „წესები“ ვუწოდოთ). ასევე გაზეთში გამოყენებული სახელობითი ფრაზა, სადაც სახელობით ბრუნვაში დასმული სახელი პროცესს აღნიშნავს, ხოლო ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი – კი ამ პროცესის სუბიექტს, ხშირად ტრანსფორმაციას განიცდის წინადადებაში, სადაც სუბიექტი და პროცესი შესაბამისად სახელითა და ზმნით გამოიხატება. იმავე „წესებით“ განისაზღვრება ინგლისური ზმნის დროის ფორმა (ახლანდელი მარტივი დრო).

მაგალითად:

**KIDNAPPED GENERAL ESCAPED /FT November 2-3, 2002/ -
KIDNAPPED GENERAL ESCAPES**

გატაცებული გენერლის გაქცევა გატაცებული გენერალი გაიქცა

თუ ქართულ და რუსულ საგაზეთო სათაურებში ისეთი სახელობითი ფრაზა გამოიყენება, სადაც სახელობითში სახელი პროცესს აღნიშნავს, ხოლო ნათესაობითში დასმული კი არა სუბიექტს, არამედ ამ პროცესის ობიექტს, მა-

შინ სხვაგვარია ტრანსფორმაცია: სახელობითი ფრაზა წინადადებად გადაიქცევა, სადაც სახელი, რომელიც ობიექტს აღნიშნავს, გრამატიკული ქვემდებარის როლში გამოდის, ხოლო პროცესი მიმდებარე II-ის საშუალებით გამოიხატება 'to be' ზმნის გამოტოვებით.

მაგალითად:

= BRITISH

TROOPS ARE AIRLIFTED - BRITISH TROOPS AIRLIFTED TO MALTA /ibid/

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, 'to be' ზმნის გამოტოვების გარდა, მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები არტიკლების გამოტოვებასაც გულისხმობს.

სხვა შემთხვევაში უფრო მიზანშეწონილია არა ტრანსფორმაციის მოდელი, არამედ ლექსიკურ-სემანტიკური პერიფრაზის მოდელი, რომელიც ენის გრამატიკულ და ლექსიკურ საშუალებებს შორის აზრობრივი ეკვივალენტობის დამოკიდებულების საშუალებას გვაძლევს.

მაგალითად:

POWELL TO MEET PALESTINEAN PM
(CBS News World, May 11, 2003, Sunday)

ქართულ სათაურში – პაუელის სამომავლო შეხვედრა პალესტინის პრემიერ მინისტრთან –

. აქ მომავლის მნიშვნელობა ლექსიკურად ზედსართავი სახელის „სამომავლო“ - დახმარებით გადმოიცემა. აზრობრივად ეკვივალენტურ ინგლისურ ფრაზაში – POWELL TO MEET PALESTINEAN PM – ანალოგიური მნიშვნელობა გადმოიცემა შესაბამისი გრამატიკული კონსტრუქციის მეშვეობით.

2.4. არტიკლების გამოტოვება

ზემომოყვანილ მაგალითებში შენიშნავდით, რომ სივრცის ეკონომიის მიზნით საგაზეთო სათაურებში ასევე გამოტოვებულია როგორც განსაზღვრული, ასევე განუსაზღვრელი არტიკლი.

მაგალითად:

President Declares Celebration = The president has declared a celebration. –
პრეზიდენტმა გამოაცხადა დღესასწაულის აღნიშვნა.

Passerby Sees Woman Jump = A passerby has seen a woman jump (into the river). –
გამგლემა შენიშნა, თუ როგორ გადაეშვა ქალი მდინარეში.

§3. საგაზეთო სათაურის ლექსიკური თავისებურებები

3.1. აბრევიატურები

საგაზეთო-საინფორმაციო სტილში ადგილებისა თუ სხვადასხვა სახელწოდებების ფართოდ გამოყენება შეტყობინებას უფრო კონკრეტულ ხასიათს და მეტ დამაჯერებლობას სძენს. საგაზეთო საინფორმაციო სტილში გამოიყენება ხუთი ტიპის აბრევიატურა: ინიციალიზმი, აკრონიმები, კონტრაქტურა, შემოკლებული ფორმები და სიმბოლოები. აბრევიატურების ზემოხსენებული ტიპებიდან ყველაზე ხშირად ინიციალები გამოიყენება, შემდეგ აკრონიმები და ყველაზე ნაკლები სისშირით კი შემოკლებული ფორმები.

აბრევიატურების გამოყენება სათაურებსა და მთელ სტატიაში რეცეპტორს მნიშვნელოვან წინასწარ (ფონურ) ცოდნას სთავაზობს და კონკრეტული სახელდების ობიექტთან დაკავშირების საშუალებას აძლევს. ინგლისელ რეცეპტორს კონტექსტის გარეშეც კარგად ესმის, რომ Park Lane - არის ქუჩა, Pic-

cadilly Circus – მოედანი, ხოლო a Columbia Pictures – კინოკომპანია. სახელები და სახელწოდებები საგაზეთო-საინფორმაციო მასალებში არც ისე ხშირად გამოიყენება. ხშირ შემთხვევაში შესაძლებელია მოცემული სახელწოდებები მკითხველთა ფართო წრისათვის უცნობი აღმოჩნდეს, ამიტომ მათი მნიშვნელობა იქვე შენიშვნაში არის განმარტებული. არსებობს ისეთი შემცირებული სახელწოდებები, რომელთაც გაზეთის მკითხველი მათი ხშირი გამოყენების გამო შეეჩვია და ამიტომ ისინი განმარტებას არ საჭიროებს. შემოკლებულ ფორმათა სიმრავლე თანამედროვე ინგლისური პრესის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს.

ამ კატეგორიას მიეკუთვნება სხვადასხვა პარტიების, ორგანიზაციების და ა.შ. სახელწოდებები.

მაგალითად:

AFL- IO = American Federation of Labor-Congress of Industrial Organizations;

GOP = Grand Old (Republican) Party

DD = Defense Department

NAACP = National Association for Advancement of Colored People

DA = District Attorney

პოლიტიკოსებისა და საზოგადო მოღვაწეების გვარები თუ ფამილარული მეტსახელები.

მაგალითად:

JFK = John F, Kennedy

Rocky = Rockefeller

GBS = George Bernard Shaw

Ike = Eisenhower

RLS = Robert Louis Stevenson

გეოგრაფიული სახელწოდებები:

NJ. = New Jersey

Mo. = Missouri

SF = San Francisco

S.P. = South Pacific

E-W = East-West

ასევე საგაზეთო შემოკლებანი:

- CCW = Community College Week

- CE = Chronicle Express
- CG = Courier Gazette
- DM = Daily Messenger
- DN = Daily News
- FLT = Finger Lakes Times
- GCE = Genesee Country Express
- GT = Geneva Times
- RBJ = Rochester Business Journal
- SN = Shopping News
- TU = Rochester Times Union
- UNY = Upstate New York და ა.შ.

რაც შეეხება ჟურნალისტურ აბრევიატურებს, ისინი სათაურის ეკონომიის მიზნით გამოიყენება, რაც ნათლად ჩანს შემდეგ მაგალითში:

ND CALLS LOBBY TP STOP MNF

სადაც MNF აღნიშნავს Multilateral Nuclear Force –ს, ხოლო ND – Campaigning for Nuclear Disarmament.

3.2. სათაურის ლექსიკა

ინგლისური საგაზეთო-საინფორმაციო ტექსტის თავისებურებებზე საუბრის დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ მათ განმასხვავებელ თვისებას წარმოადგენს არა მარტო განსაზღვრული გრამატიკული კონსტრუქციები, არამედ ე.წ. „სათაურის ლექსიკა” (headline vocabulary). მაგალითისათვის მოვიხმოთ ჟურნალისტთა დასახმარებლად შემოთავაზებული „სათაურის ჟარგონის” სიტყვების სია: ban, bid, hit, move, pact, plea, probe, quit, quiz, rap, rush, slash. (L. Selerson, 1990:171)

„სათაურის ლექსიკის” დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს არა მარტო მათი გამოყენების სიხშირე, არამედ მათი ჭეშმარიტად უნივერსალური ხასიათი. სიტყვა ‘pact’ სათაურში არა მარტო „პაქტს” აღნიშნავს, არამედ „შეთანხმებას”, „მოლაპარაკებას”, „გარიგებას” და სხვა. ზმნა ‘hit’ კი ნებისმიერ კრიტიკულ გამოსვლას აღნიშნავს.

თარგმნის დროს აუცილებლად მხედველობაში უნდა მივიღოთ „სათაურის სიტყვების” ფართო სემანტიკა.

მაგალითად:

REPORT RAPS LACK OF LAW REFORM

NUT RAPS NASTER'S STRIKE CALL

პირველ შემთხვევაში საუბარია საგანგებო კომისიის მოხსენებაზე, რომელიც საკანონმდებლო რეფორმებს შეისწავლის. როგორც ჩანს, მოცემული სათაურის კონტექსტში ზმნა ‘to rap’, რომელიც „გაკრიტიკების” მნიშვნელობით გამოიყენება, აღნიშნავს „ამხელს, ამჟღავნებს” – () (კომისია საკანონმდებლო რეფორმის არარსებობას ამხელს) -

). მეორე მაგალითში საუბარია იმაზე, რომ მასწავლებელთა სახელმწიფო პროფესიული კავშირი დირექტორთა ეროვნული კავშირის გადაწყვეტილების – გაფიცვის მოწყობის წინააღმდეგ გამოვიდა. სტატიის ტექსტში ნათქვამია: Leaders of the National Union of Teachers yesterday strongly opposed the action of the National Association of Schoolmasters announcing a one-day strike on June 5. (ibid). ცხადია, რომ მოცემული სათაური შემდეგი სახით შეიძლება ითარგმნოს:

მასწავლებელთა ეროვნული პროფესიული კავშირი სკოლების დირექტორთა მოთხოვნის გაფიცვის მოწყობასთან დაკავშირებით წინააღმდეგ გამოდის.

ამ გზით შეუძლებელი იქნება მოცემული სათაურის სიტყვისათვის „მუდმივი და ტოლმნიშვნელობიანი შესატყვისი სიტყვის” პოვნა. საქმე იმაშია, რომ მოცემულ სიტყვებს იმდენად ფართო მნიშვნელობა აქვთ, მათი განსაზღვრა ერთი სიტყვით შეუძლებელია. ამიტომ ასეთ სიტყვათა თარგმნის ერთ-ერთი რეკომენდირებული გზაა არა მარტო სათაურის, არამედ საგაზეთო შენიშვნის კონტექსტის დაკონკრეტება. მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ არსებითი სახელი ‘bid’, რომელიც საგაზეთო სათაურებში ხშირად გვხვდება. მოცემული სიტყვის მნიშვნელობის დადგენა უფრო რთულია, ვიდრე

ზმნისა 'to rap'. ეს შეიძლება იყოს „გამოდახილი“, ან „მოწვევა“ და „განსაზღვრული მიზნის მიღწევის მცდელობა“. შემდეგი სათაური:

NATIONAL GALLERY LAUNCHES BID TO BUY THE TITIAN (ibid)

სათაურის კონტექსტი აქ აშკარად არაა საკმარისი, რამდენაც სიტყვა 'bid' მოცემულ შემთხვევაში შეიძლება ნიშნავდეს როგორც „გამოწვევას“, ასევე „მცდელობას“. განვიხილოთ საგაზეთო შენიშვნის ტექსტი:

The National Gallery is **to make every effort** to buy Titian's "Death of Actaeon".

ამ გზით 'bid' აქ აღნიშნავს „მცდელობას“. შესაბამისად, სათაური შეიძლება ითარგმნოს:

ეროვნული გალერეა ტიციაანის ნახატის შეძენას ცდილობს

ზუსტად ასევე არასაკმარის ინფორმაციას შეიცავს მორიგი სათაურის ტექსტი, სადაც გამოყენებულია სიტყვა 'bid':

BID TO STOP NEW POLICE POWERS

ზმნის 'bid' მნიშვნელობის დასადგენად (რის გარეშეც სათაურის თარგმნა შეუძლებელია) კონტექსტის შენიშვნებს უნდა მივმართოთ.

მაგალითად:

Members of Parliamentary Civil Liberties Group will **try** today to have deleted a clause in the Bill concerning powers of search and seizure.

ამ ნაწყვეტიდან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქმე ეხება პარლამენტარების ჯგუფის მოქმედებებს, რომელიც პოლიციის უფლებების გაფართოებასთან დაკავშირებული კანონის წინააღმდეგ გამოდის. შესაბამის რუსულ საგაზეთო სათაურებში ყველაზე ხშირად ინფინიტივის ფორმა გამოიყენება:

აქ ზმნა 'bid' საყრდენი სიტყვაა, რომელიც თარგმანს არ ექვემდებარება. იგი მხოლოდ იმაზე მიანიშნებს, რომ მისი მომდევნო ფრაზა სხვა მოქმედების გეგმას აღნიშნავს:

US ARMY REGIME'S **BID** TO CRUSH THE LEFT /ibid/

აქ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ზმნა 'bid'-ია მნიშვნელობის გადმოცემას: **შეერთებული შტატების სამხედრო რეჟიმის მცდელობა დაამხოს პროგრესილი მოძრაობა შეერთებული შტატების სამხედრო რეჟიმი პროგრესიული რეჟიმის დაამხობას ცდილობს.**

მოცემულ შემთხვევაში საგაზეთო სათაურის კონტექსტი „სათაურის სიტყვის“ მნიშვნელობის გააზრებისა და მისი დაკონკრეტებისათვის სრულიად საკმარისია. სხვა საქმეა სიტყვათშეხამება 'peace bid', რომელიც შეიძლება ნიშნავდეს „სამშვიდობო ნაბიჯს“ და „ამა თუ იმ სამშვიდობო მოქმედების მცდელობის მიღებას“. ერთ-ერთი გაზეთის სათაურში შევხვდით სიტყვას **US PEACE BID**. შენიშვნებში საუბარი იყო აშშ-ის ახალ წინადადებაზე, რომელიც აღმოსავლეთის კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებისკენაა მიმართული. ამ კონტექსტში, თარგმნის ოპტიმალური ვარიანტი შეიძლება იყოს **შეერთებული შტატების მშვიდობიანი ინიციატივა**. მოცემული სათაურის სიტყვის დაკონკრეტება როგორც ვიწრო, ასევე ფართო კონტექსტით ხორციელდება.

სათაურის ავტორების მიერ ასევე ხშირად გამოიყენება ზმნა 'to quit'. გაზეთ „ვოშინგტონ პოსტის“ ერთ-ერთ სათაურში მას 'to leave'-ის მნიშვნელობა აქვს.

მაგალითად:

CIA MAN QUILTS ISRAEL

მოცემული ფრაზა კი შემდეგი სახით შეიძლება ითარგმნოს:

The Head of the US Central Intelligence Agency yesterday left Israel.

ამ შემთხვევაში შესაძლებელია შემდეგი თარგმანი:

ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის უფროსი ტოვებს ისრაელს

ამავე დროს quit სხვა საგაზეთო სათაურებში შეიძლება გამოიყენებოდეს ზმნის 'withdraw'-ის სინონიმად.

TELL US TO QUIT

მოითხოვეთ შეერთებული შტატების ჯარების ისრაილიდან გაყვანა

სოლო სათაურში **SENIOR U.S. OFFICER QUILS** /Reuters, Sun May 11, 2003/ მოცემულ ზმნას აქვს resign-ის მნიშვნელობა.

შეერთებული შტატების უფროსი ოფიცრის გადაყენება

განსაკუთრებულ სირთულეს ქმნის ინგლისურ საგაზეთო სათაურებში ხშირად გამოყენებული იმ სახელობითი კონსტრუქციების თარგმნა, რომელსაც რამდენიმე ზედსართავი ახლავს, და რომელიც ერთი და იმავე საზღვრულს ეხება. მაგალითად:

FIGHT SIX SELLOUT CALL

სხვა ამგვარი საგაზეთო სათაურების მსგავსად მოცემული სათაური თარგმანის ენის თვალსაზრისით სემანტიკურად არ არის სრული და დაშლას მოითხოვს.

FIGHT SIX SELLOUT CALL ტრანსფორმირდება შემდეგი სახის წინადადებად: **CALL TO FIGHT SIX SELLOUT**. სიტყვათშეხამება **SIX SELLOUT** კვლავ გაუგებარი რჩება (სემანტიკურად არ არის სრულყოფილი), თუ არ მოვიხმობთ უფრო ფართო, გაზეთის მკითხველისათვის ცნობილ კონტექსტს. **SIX** („ექვსეული“) – ე.წ. საერთო ბაზარში შემავალი ექვსი ქვეყანაა. **SELLOUT** გამოიყენება „გამცემლობის“ მნიშვნელობით. მოცემულ შემთხვევაში six მოქმედების სუბიექტი კი არ არის, რომელიც გამოიხატება სიტყვით sellout[^] საუბარია არა „ექვსეულში“ შემავალი ქვეყნების გამცემლობაზე, არამედ იმ ქვეყნებზე, რომელთაც ინგლისი საერთო ბაზარში შეჰყავთ. ამიტომ ეს სათაური შემდეგნაირად შეიძლება ითარგმნოს:

**ინგლისის მოწოდება საერთო ბაზარში გამცემლური
ჩათრევის ბრძოლისაკენ**

სათაურებში, ვიდრე შენიშვნის ტექსტში, საკმაოდ ხშირია სასაუბრო ლექსიკის გამოიყენება.

მაგალითად:

A leading Chinese diplomat has been **accused** of responsibility for **violence** against foreign embassies /The Guardian Weekly, November 7-3, 2002/

იმავდროულად, სტატიის სათაურში იგივე სიტუაცია შედარებით უფრო სალაპარაკო ლექსიკის საშუალებითაა გადმოცემული:

CHINA BLAMES DIPLOMAT FOR EMBASSY ROWS

ეს ქართული და რუსული ენებიდან ინგლისურზე თარგმნისას უნდა გავითვალისწინოთ: მაგალითად: სტატიის შემდეგი სათაურის: **ფინანსთა სამინისტრო „არას“ ამჯობინებს** –

« » თარგმნის დროს მთარგმნელმა შედარებით უფრო სალაპარაკო ვარიანტი არჩია: **MINISTRY OF FINANCE PREFERS ‘NO’**, რომელიც რედაქტორმა შემდეგნაირად გაასწორა:

MINISTRY OF FINANCE LIKES TO SAY ‘NO’

რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, როდესაც ტექსტში სალაპარაკო ლექსიკა გამოყენებული, ეს ელფერი თარგმნის დროსაც უნდა იქნას შენარჩუნებული.

და ბოლოს, არსებობს კიდევ ერთი არანაკლებ მნიშვნელოვანი პირობა, რომელიც სათაურის თარგმნის დროს უნდა გავითვალისწინოთ. სათაური – ეს ტექსტის სტრუქტურის კიდევ ერთი ფორმალური, კომპოზიციური და აზრობრივი ელემენტია. მთარგმნელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ის სტრუქტურული და აზრობრივი კავშირები, რომელიც ამა თუ იმ ენაში სათაურსა და საგაზეთო ტექსტს შორის ვლინდება.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ინგლისურ, ქართულ და რუსულ საგაზეთო-საინფორმაციო შეტყობინებებს შორის არსებული ზოგიერთი არსებითი განსხვავება.

ინგლისურ პრესაში საკმაოდ მკაცრად გამოიხატება სათაურების შედგენის პრინციპი, რომელიც ლესლი სელერსმა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა:

Headlines should tell the story, the sages say /L. Sellers, 1990:165/

აღნიშნული კიდევ ერთხელ ცხადყოფს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი სათაურის მიერ ტექსტის სრული ასახვის ფუნქცია. რომ სათაურებმა მაქსიმალურად

მაღურად შემჭიდროვებული ფორმით უნდა გადმოსცეს იდეა, აზრი, რომლის გახსნაც სტატიის ტექსტის საშუალებით ხერხდება.

ინგლისური საგაზეთო სათაურების თავისებურება გამოხატულებას პოულობს თარგმანში. ისეთი სათაურები, როგორიცაა, **დელეგაციის ჩამოსვლა** – **გადამწყვეტი პროტესტი** – არ შეიცავს საკმარის ინფორმაციას ინგლისურ პუბლიცისტიკაში მიღებული საგაზეთო ტექსტის აგებისათვის საჭირო წესების გათვალისწინებით.

შემდეგი სათაურის **დელეგაციის ჩამოსვლა** – -ის თარგმნის დროს საჭიროა დამატებითი ცნობები: ვის დელეგაციაზეა საუბარი, სად ჩამოვიდა ეს დელეგაცია და ა.შ. შენიშვნის ტექსტიდან ვგებულობთ, რომ მოსკოვში უგანდას დელეგაციის ჩამოსვლის შესახებაა საუბარი. ინფორმაციის მოცემული მინიმუმის საფუძველზე ჩვენ მოყვანილ სათაურს შემდეგნაირად ვთარგმნით:

UGANDA DELEGATION VISITS MOSCOW

და ბოლოს, სათაურის – **გადამწყვეტი პროტესტი** –

სიტყვასიტყვითმა თარგმანმა შეიძლება გამოიწვიოს სათაურის აგების ზემოხსენებული წესების დარღვევა. აუცილებელია დამატებითი ინფორმაცია: ვინ გამოთქვამდა პროტესტს? რის წინააღმდეგაა ეს პროტესტი მიმართული? ამ დამატებით ინფორმაციას ჩვენ ტექსტის შენიშვნიდან ვგებულობთ: საუბარია იაპონიის პროტესტის შესახებ ატმოსფეროში ბირთვული იარაღის გამოყენების წინააღმდეგ. მსგავსი სათაური შეიძლება ასე უღერდეს.

მაგალითად:

JAPANESE RAP CHINESE BLAST

მკითხველს შეიძლება დაებადოს კითხვა: ექვემდებარება თუ არა თარგმანს მსგავსი ტიპის „სათაურის თარგმანები“? თუ, რა თქმა უნდა, ზემომოყვანილი სიტყვათშესამებების თარგმანს გადავხედავთ, მაშინ ტერმინი „თარგმანი“ აქ მიუღებელია. მაგრამ უნდა ვთქვათ ისიც, რომ მსგავსი მოდიფიკაციები სავსებით დაუშვებელია. ოღონდ თუ სათაურებს გადავხედავთ ისე, როგორც ტექსტის სტრუქტურის შემადგენელ ნაწილს, მაშინ არ შეიძლება არ ვადიაროთ, რომ ტექსტის სტრუქტურაში სტილისტურად განპირობებული განსხვავებების გათვალისწინებით მსგავსი მოდიფიკაციები დასაშვებია. მოცემული განსხვავებები კი არა მარტო საგაზეთო სათაურის სინტაქსური სტრუ-

ქტურის განსხვავებებს გამოაქვს, არამედ სათაურის აგებისათვის საჭირო ინფორმაციის მინიმალურ რაოდენობასაც შეიცავს.

ამრიგად, სათაური ტექსტის შემადგენელი ნაწილია. იგი არის ერთ-ერთი ძლიერი ოპოზიცია და ხასიათდება ყველა ნიშნით, რაც ძლიერი პოზიციის ერთეულს – ტექსტს ახასიათებს.

§. 4. საგაზეთო-საინფორმაციო შეტყობინებების სტრუქტურა

საგაზეთო-საინფორმაციო შეტყობინებების თავისებურებებზე საუბრის დროს არ შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ მოცემული შეტყობინების სტრუქტურა.

საინფორმაციო შეტყობინების შესავალ აბზაცს (lead, intro) სტრუქტურული ორგანიზაციის მკაფიო ნიშნები ახასიათებს. შემავალი აბზაცის სტრუქტურა განსაზღვრულ მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს. ჩვეულებრივ, შემავალი აბზაცი შეიცავს არსებითი და განსაკუთრებული ინტერესის მქონე ფაქტების რეზიუმეს. მას მოჰყვება მასალის დეტალური აღწერა.

შესავალი აბზაცის სტრუქტურული განსხვავებანი უპირველეს ყოვლისა სიტყვათა რიგს უკავშირდება. ქართულ და რუსულ ენებში ინფორმაციის წყარო ჩვეულებრივ წინადადების დასაწყისშია მითითებული:

ძველად ინგლისური და ამერიკული გაზეთების საინფორმაციო შენიშვნების ავტორები შესავალი აბზაცის აგების მარტივ პრინციპს მისდევდნენ. მათი გაგებით, იგი უნდა შედგებოდეს ერთი წინადადებისაგან, რომელიც 6 კითხვას პასუხობს: ვინ? როდის? სად? რა? რატომ? და როგორ? /L. Sellers, 1990/. ახლა ეს წესები უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდება. შესავალი აბზაცი, როგორც აღრე, ამ კითხვებზე უნდა პასუხობდეს, მაგრამ არ არის სავალდებულო, რომ ყველა მათგანი იძლეოდეს პასუხს. არც ისაა სავალდებულო, რომ შესავალ აბზაცში მოცემული ინფორმაცია ერთ წინადადებაში იყოს მოქცეული. შესავალი აბზაცი შეიძლება შედგებოდეს ორი-სამი ან ზოგჯერ ხუთი-ექვსი წინადადებისაგან.

ქართულიდან ინგლისურ ენაზე თარგმნის დროს გამონათქვამის ბოლო ნაწილში ექცევა, ხოლო ინგლისურიდან ქართულზე თარგმნის დროს – თავში.

მაგალითად:

Representatives of the trade Union and the General Motors management have reached a preliminary agreement, **it was reported from Detroit.**

The bosses of General Motors, a major capitalist corporation, had to make partial concessions to the workers, **it was announced in Detroit.**

აქ მოყვანილი ინგლისური ტექსტის თარგმნის დროს ჩვენ ხელახალ გადაადგილებას ვახდენთ:

გუშინ მიღებული ინფორმაციის თანახმად, ოთხშაბათს პარიზში საავადმყოფოში გარდაიცვალა 1944 წელს პარიზის განთავისუფლების შემდეგ ყოფილი თავდაცვის მინისტრი და სამხედრო გუბერნატორი გენერალი პიერ კენინგი.

1944

თუ საგაზეთო-საინფორმაციო შეტყობინებაში ინგლისური წინადადების სინტაქსურ სტრუქტურას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ მას სიტყვათა პირდაპირი წყობა ახასიათებს. ამიტომ წინადადების დასაწყისში ჩვეულებრივ დგას ქვემდებარე და შემასმენელი, რომელსაც მოჰყვება ადგილის და შემდეგ დროის გარემოება. ქართულ და რუსულ შესავალ აბზაცებში კი სიტყვათა რიგი ზოგჯერ პირიქითაა. ეს ინვერსია, უპირველეს ყოვლისა, თემისა და რემის – გამონათქვამის აზრობრივი სტრუქტურის კომპონენტების გამოხატვასთანაა დაკავშირებული.

მაგალითისათვის განვიხილოთ ორი მოკლე საგაზეთო შეტყობინება, როცა ქართულ წინადადებაში ქვემდებარეს, ხოლო რუსულში კი შემასმენელს წინ უსწრებს ადგილისა და დროის გარემოება.

მაგალითად:

დღეს ქალაქ დელში აზიისა და აფრიკის ქვეყნების მწერალთა მე-4 კონფერენციამ დაიწყო მუშაობა.

.

**დღეს მოსკოვში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს დელეგაცია ჩამოვიდა.**

პირველ მაგალითში გამონათქვამის რემას წარმოადგენს „აზიისა და აფრიკის ქვეყნების მწერალთა მე-4 კონფერენცია“ – ”

”. ხოლო ინგლისურ ტექსტში გამონათქვამის გამომავალ პუნქტად შეიძლება გამოვიყენოთ დროისა და ადგილის გარემოება. საგაზეთო-საინფორმაციო სტილის სპეციფიკის გათვალისწინება მოითხოვს ადგილისა და დროის გარემოებების გამონათქვამის ბოლოს მოქცევას. ახლა კი უნდა გადავიდეთ უფრო რთულ ოპერაციაზე: რემის ჯგუფიდან გამოვიყოფთ მის სტრუქტურულ-სემანტიკურ დერძს – მეოთხე კონფერენცია –

და მასზე დაქვემდებარებულ ნაწილს „აზიისა და აფრიკის ქვეყნების” –

ეს დაქვემდებარებული ნაწილი შესაბამისი ზმნის (to meet) გამოყენებით ინგლისურში წინადადების თემად გადაიქცევა: მაგალითად:

**ASIAN AND AFRICAN WRITERS HAVE MET FOR THEIR
4TH CONFERENCE IN DEHLI TODAY.**

მეორე წინადადებაში საქმე სხვაგვარადაა. აქ დროის გარემოება ვერ გადაიქცევა ქვემდებარედ, ხოლო ადგილის გარემოება () იმ პირობით გადაიქცევა ინგლისური წინადადების ქვემდებარედ, თუ ინგლისურ ტექსტში ქართული/რუსული ზმნის ჩამოსვლა/ ნაცვლად მის კონვერსივს გამოვიყენებთ. კონტექსტური მნიშვნელობით რუსული ზმნა მიიღებს შემდეგ მნიშვნელობას:

& იგი შეიძლება შეიცვალოს კონვერსიული გამოთქმით – to play host. რაც შეეხება დროის გარემოებას, იგი მოცემული ჟანრის მოთხოვნების შესაბამისად ბოლოში იქნება გადატანილი:

მაგალითად:

Moscow is playing host to a delegation of the Supreme Council of the

Autonomous Republic of Adjara to-day.

/Washington Times, Adjara, Georgia, September 20, 2002 /

მაგრამ ზემოთქმული სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ დროის გარემოება აუცილებლად წინადადების ბოლოს უნდა იქნას გადატანილი. საქმე იმაშია, რომ ზოგ შემთხვევაში დროის გარემოების წინადადების ბოლოს მოთავსებამ შესაძლოა საწყისი გამონათქვამის აზრი დაამახინჯოს. მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი:

დღეს დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობამ პრეზიდენტის მიერ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის დადებითად შეფასება ეჭვქვეშ დააყენა.

ვცადოთ დროის გარემოების წინადადების ბოლოს გადატანა: Top Democrats disputed the President's optimistic view of the nation's economic position **today**.

ამ შემთხვევაში დროის გარემოება today შეეხება არა მოქმედებას, რომელიც გადმოიცემა ზმნით *disputed*, არამედ ფრაზას – *economic situation today* – ამჟამინდელი ეკონომიკური მდგომარეობა. ასეთი შემთხვევის თავიდან აცილების მიზნით სიტყვათა ისეთი წყობა ინდა გამოვიყენოთ, სადაც დროის გარემოებისა და ზმნა-შემასმენლის კავშირი გასაგებად იქნება გამოხატული. მოცემული ჟანრის სტილისტური ნორმები დროის გარემოების საწყისი პოზიციის შენარჩუნებას (როგორც წესი, საგაზეთო-საინფორმაციო შეტყობინება გარემოებით არ იწყება) არ უშვებს. ამიტომ, აქ ორი ვარიანტია დასაშვები:

- 1) გარემოება ზმნა-შემასმენლის წინ;
- 2) გარემოება ზმნა-შემასმენლის შემდეგ.

საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ მაგალითს:

Top Democrats today disputed the President's optimistic view of the nation's economic position.

Top Democrats disputed today the President's optimistic view of the nation's economic position.

საგაზეთო-საინფორმაციო სტილის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ატრიბუტს წარმოადგენს ე.წ. „მზა ფორმულები“, ანუ კლიშეები. მათ განეკუთვნება შესავალი აბზაცები, რომლებიც ინფორმაციის წყაროზე მიუთითებს, როგორცაა მაგალითად:

It is reported, it is claimed, our correspondent reports from, according to well-informed sources.

როგორც წესი, შესავალი აბზაცი (leads) იგება მთავარ და პირველ (ან იმ შემთხვევაში თუ პირველი წინადადება რთულია), ან მთავარ და არა დამატებით წინადადებაში მნიშვნელოვანი ინფორმაციის ჩართვით. ამ შემთხვევაში მთავარი წინადადება ჩვეულებრივ პირველ ადგილზე დგება.

ამასთან აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ შესავალი წინადადების არასწორად აგების შემთხვევები.

მაგალითად:

Two firemen fought their way into a smoke-filled building where a boy was trapped on the second floor and died of asphyxiation.

წინადადების აგების არასაკმარისი სიზუსტის გარდა (ტექსტიდან გასაგები არ არის ვინ დაიღუპა – ბიჭი თუ მეხანძრე). ამ ვარიანტს კიდევ ერთი ნაკლი აქვს: ინფორმაციის მთავარი კომპონენტი შეტყობინების მხოლოდ ბოლო ნაწილში ფიგურირებს, რის შემდეგაც მკითხველს სხვა მეორეს-არისხოვანი დეტალები მიეწოდება. ეს კი საინფორმაციო უენიშვნის აგების ერთ-ერთ მთავარ პრინციპს – „პირველად მთავარი, შემდეგ კი დეტალები“ არღვევს. ავტორები კი მოცემული შეტყობინების შემდეგ შესწორებულ ვარიანტს გვთავაზობენ:

Two firemen were asphyxiated today while trying to rescue a boy trapped on the second floor of a smoke-filled building.

აუცილებელია დადგინდეს, რა საზომით პასუხობს შესავალი აბზაცი ზემოხსენებულ პრინციპს (to say first things first). იმ შემთხვევაში თუ ამ აბზაცის აგების დროს აღინიშნება ძირეული გადახვევები, მთარგმნელს ტექსტის სტრუქტურაში შესაბამისი ცვლილებები შეაქვს. ქვემოთ მოვიყვანთ საინფორმაციო შეტყობინების შესავალი აბზაცის მაგალითს, რომლის სტრუქტურა თარგმნის დროს გარკვეულ ცვლილებებს ექვემდებარება.

რასობრივი დისკრიმინაციის სფეროში მომუშავე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) კომიტეტმა მუშაობა დაასრულა. მის მუშაობაში მონაწილე ქვეყნის უმრავლესობის წარმომადგენლებმა რასობრივი დისკრიმინაცია და სეგრეგაცია მკაცრად განსაჯეს.

ამ ნაწყვეტში გადმოცემული ინფორმაციის შედარებით უფრო არსებითი ელემენტი მეორე წინადადებაშია (რასობრივი დისკრიმინაცია და სეგრეგაცია მკაცრად განსაჯეს –). პირველ წინადადებაშივე საუბარია მეორეხარისხოვან დეტალებზე, რომელიც მკითხველისათვის განსაკუთრებული ინტერესის მქონე სფეროდ არ გვევლინება. პირველი წინადადების სიტყვათა რიგის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „გაეროს კომიტეტი“ – „ „ გამონათქვამის რემას წარმოადგენს. ინგლისურ ტექსტში კი ამ ფუნქციის გამოსახატავად შეიძლება გამოვიყენოთ განსაზღვრული არტიკლი. მაგრამ რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გამონათქვამი ისე არ უნდა ავაგოთ, თითქოს მასში ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია იყოს მოქცეული. ამის მიღწევაც შემდეგი გზით არის შესაძლებელი:

მაგალითად:

Racial discrimination and segregation were strongly denounced by most of the members of a UNO committee. The committee To End Racial discrimination has just finished its work.

საინფორმაციო შეტყობინების აგების სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი წესი კრძალავს შესავალი წინადადების ინფორმაციით გადამეტჯერადებას. რთული სინტაქსური მსჯელობები, რომელიც თავის თავში დიდი მოცულობის ინფორმაციას შეიცავს უნდა, დაიყოს შედარებით მარტივ წინადადებებად. მაგალითისათვის განვიხილოთ:

Sen. Wayne Morse announced today he has requested hearings by the Senate Agriculture Committee on a House-passed bill to change the present formula under which 25 per cent of gross receipts from national forests are paid to countries in lieu of taxes. /ibid/

წიგნის ავტორები კი მოცემულ შესავალ წინადადებას შემდეგნაირ რედაქტორებას უკეთებენ:

Sen. Wayne Morse said today he has asked for hearings on a House-passed bill changing the basis of allocating national forest revenue to countries. At present countries get 25 per cent of gross receipts, instead of taxes. The Senate Agriculture Committee would conduct the hearings. /ibid/

ზემოთქმულიდან შეიძლება თარგმანისათვის შემდეგი არსებითი დასკვნა ჩამოვაყალიბოთ: თუ საწყისი შეტყობინების შესავალი წინადადება ძალიან დიდი მოცულობის ინფორმაციას შეიცავს, მაშინ ეს ინფორმაცია მიზანმიმართულად უნდა განაწილდეს ორ ან რამდენიმე წინადადებაში. ამ შემთხვევაში, პირველი წინადადება, ზემოთ მოყვანილი წესის თანახმად, გადაცემული ინფორმაციის უფრო მნიშვნელოვან და არსებით კომპონენტებს უნდა შეიცავდეს.

მაგალითად:

ცენტრალურ პლატოზე მებრძოლი სამხრეთ-თაშერიკელი პატრიოტები ამერიკა-საიგონის ჯარზე თავდაცვითი ხაზის გასწვრივ გასული წლის 6 თვის განმავლობაში ახორციელებდნენ შეტევას, რის შედეგადაც, როგორც თავისუ-

ფლების საინფორმაციო სააგენტო იტყობინება, მათ ჩაშალეს მოწინააღმდეგე ჯარების მცდელობა – ჩაეტარებინათ დასჯითი ოპერაცია ლაოსისა და კამბოჯის მოსაზღვრე რაიონში.

მოცემული წინადადება აშკარად გადატვირთულია ინფორმაციით. მოდით ვცადოთ ამ ინფორმაციის ორ წინადადებაში განაწილება, პირველ რიგში გამოვეყოთ არსებითი მნიშვნელობის მქონე ნაწილი (რომელიც შეიძლება იყოს: . . .):

South-Vietnamese patriots have forestalled an enemy punitive operation near the Laotian and Cambodian borders, the Liberation News Agency reports. This was achieved by continuous attacks during the past six months on the entire US-Saigon defense line in the Central Plateau area.

რთულ თანწყობილ წინადადებაში წინადადების ნაწილების გამოყოფას ხშირ შემთხვევაში, როდესაც ინგლისურიდან ქართულ/რუსულ ენაზე სათარგმნი წინადადება შეიცავს ‘in’ წინდებულებიან კონსტრუქციას, „ახსნა-განმარტებითი გარემოების” ფუნქცია აქვს ასეთ მაგალითში:

In the world’s worst aviation disaster, two airlines groping through a snowstorm toward International Airport and La Guardia Field collided over the city yesterday, killing 131 at least persons.

ამ მაგალითშიც ჩვენ გამონათქვამს ორ წინადადებად ვყოფთ. ოღონდ თარგმნის ტექნიკა აქ შეიძლება შეიცვალოს. საქმე იმაშია, რომ მიმდებარე კონსტრუქცია, რომლითაც მთავრდება ინგლისური წინადადება (killing 131 at least persons), დამოუკიდებელ წინადადებად უნდა გამოიყოს, რადგან მოცემულ შემთხვევაში მისი გადმოტანა აბსოლუტივის მიმდებარე შეუძლებელი ხდება (რადგანაც რუსულ აბსოლუტივით აღნიშნული მოქმედება ქვემდებარეს უკავშირდება, ამდენად ფრაზა „ , 131 ” მიუღებელია). მიმდებარე კონსტრუქციის ცალკე წინადადებად ტრანსფორმაციის დროს ჩვენ მოვლენას გარკვეულ შეფასებას ვურთავთ, რომელსაც in წინდებულნი კონსტრუქციით ვახორციელებთ:

გუშინ ნიუ-იორკის თავზე ორი საჰაერო ლაინერი დაეჯახა ერთმანეთს, რომელიც თოვლიანი ურაგანის დროს საერთაშორისო აეროპორტსა და ლა-გარდიას აეროდრომზე დაჯდომას ლაშობდა. მსოფლიოს მოცემული მძიმე ავიაკატასტროფის შედეგად 31 ადამიანი დაიღუპა.

131 .

მოქმედ პირთა იდენტიფიკაცია ტექსტის სტრუქტურის ერთ-ერთ მთავარ ასპექტს წარმოადგენს. ინგლისურ ენას, ქართულისა და რუსულისაგან განსხვავებით იდენტიფიკაციის უჩვეულო ხერხი ახასიათებს: მომავალი ყოველთვის დამატებით წინადადებაშია ნახსენები, ხოლო მოქმედი პირი პირის ნაცვალსახელით აღინიშნება, რომლის სრულყოფილად იდენტიფიკაცია მთავარ წინადადებაში ხდება.

მაგალითად:

When he is seeing Blayer, Bush could also discuss with him the nuclear non-proliferation draft treaty.

ქართულ და რუსულ ენაში მოქმედი პირის იდენტიფიკაცია პირველსავე ხსენებაზე ხდება, რაც იმაზე არ არის დამოკიდებული არის თუ არა იგი პირველად ნახსენები მთავარ და დამატებით წინადადებაში:

ბლერს ბუშთან შეხვედრის დროს ბირთვული იარაღის არგავრცელებასთან დაკავშირებული ხელშეკრულების პროექტის განხილვაც შეუძლია.

განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

When he stepped off the bus, Fred was killed.

ფრედი მოკლეს, როგორც კი გადმოაბიჯა ფეხი ავტობუსიდან.

ზოგჯერ შესავალ აბზაცებში გამოიყენება წინადადება, რომელშიც ზმნა-შემასმენლით გამოხატული მოქმედება შესაძლებელია ნებისმიერ პირს უკავშირდებოდეს:

მაგალითისათვის განვიხილოთ საგაზეთო სტატიის შესავალი აბზაცი:

ვისაც ორიოდე საათი მაინც დაუყვია აშერიაში, აუცილებლად იგრძნობდა თავს იმ აშერიკელად, რომელსაც სისხლის სამართლის დანაშაულებითა და რეკლამებით, ასევე

**იაფფასიანი შოუებითა და ამოჭრილი ფილმებით
ასაზრდოვებენ.**

რა თქმა უნდა, ინგლისურ ენაში არსებობს მსგავსი გამონათქვამების თარგმნის რამდენიმე ხერხი. შეიძლება, მისი ასე თარგმნა: He who has visited America...რაც პედანტურ-კორექტულად ჟღერს და ასევე მიუღებელია გაზეთის ენისათვის. ვცადოთ უფრო სასაუბრო ფორმის გამოყენება პირის ნაცვალსახელის you-ს გამოყენებით. მაგალითად:

If you have spent an hour or so watching American TV, you couldn't but sympathize with Americans who live on a horrible diet of crime and advertising, cheap shows and cut-up films.

ამ გზით ჩვენ რამდენიმე სინონიმური ფორმიდან ამოვარჩიეთ ზუსტად ის, რომელსაც მოცემული სტილის ჩარჩოებში უპირატესობა ენიჭება. მოცემულ მაგალითში გამოყენებული მეტაფორა: “who live on a horrible diet of crime and advertising, cheap shows and cut-up films” ამერიკელების ცხოვრების წესზე მეტყველებს, რომ დანაშაული, რეკლამა, იაფფასიანი შოუები და ამოჭრილი ფილმები ამერიკის სინამდვილეს ასახავს.

საილუსტრაციოდ გთავაზობთ ერთ-ერთ მცირე საგაზეთო სტატიას, რომელიც „ვაშინგტონ თაიმსის“ სპეციალურ ნომერში “Adjara, Georgia” (2002 წლის 20 სექტემბერი) დაიბეჭდა. მასში გარკვეულწილად საგაზეთო-საინფორმაციო სტილის ის თავისებურებებია წარმოდგენილი, რომელიც ჩვენს მიერ ზემოთ იქნა განხილული.

Highly Profitable Banking Industry Rises to World Standards

Adjara possesses a large banking network. The system is comprised of 22 different banks most of which have corresponding relationships with financial institutions from major countries around the world.

In recent years several highly sophisticated new banks have been established all corresponding to requirements for leading global institutions. Batumi Maritime Bank has corresponding accounts in 25 nations around the world including the United States, Japan and most European countries.

The banking industry in Adjara is a highly successful sector of the economy, with profits increasing more than 50-fold in comparison with operations ten years ago. This growth rate is attributed to a stable taxation policy and the general growth of the Adjarian economy. Such growth rate was attained by stable taxation policy and revival of different branches of economy.

/Washington Times, Adjara, Georgia, 20 September, 2002 /

აღნიშნული საგაზეთო ტექსტი კი შემდეგნაირად ითარგმნა:

მსოფლიო სტანდარტების დონის მაღალი მოგების მქონე საბანკო სისტემა

აჭარას საბანკო სისტემის ფართო ქსელი გააჩნია, რომელიც 22 სხვადასვა ბანკს აერთიანებს, რომელთა უმრავლესობას მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების საფინანსო დაწესებულებებთან სათანადო ურთიერთობები აქვთ.

გასული წლები მანძილზე ბევრი ახალი ბანკი გაიხსნა, რომლებიც მსოფლიოს წამყვანი ორგანიზაციების შესაბამის მოთხოვნებს აკმაყოფილებენ. ბათუმის საზღვაო ბანკს 25 ქვეყანაში, მათ შორის შეერთებულ შტატებში, იაპონიასა და ევროპის ქვეყნებში აქვს გხსნილი ანგარიშები.

აჭარაში საბანკო საქმე ეკონომიკის წამატებულ სფეროს წარმოადგენს იმ მზარდ მოგებასთან ერთად, რომელიც გასული წლების ოპერაციებთან შედარებით 50-ჯერ გაიზარდა. ზრდის ტემპი კი მყარი საგადასახადო პოლიტიკითა და აჭარის ეკონომიკის საერთო ზრდითაა განპირობებული. ზრდის ასეთი სწრაფი ტემპი მყარი საგადასახადო კურსისა და წარმოების სხვადასხვა დარგების აღორძინების გზით იქნა მიღწეული.

აღნიშნული საგაზეთო სტატიის ტექსტის ძირითადი შინაარსი მეტად ნათლად და მკაფიოდ არის კონცენტრირებული ავტორის მიერ შერჩეულ სათაურში. აქ კიდევ ერთხელ ნათლად არის ხაზგასმული ის მოსაზრება, რომ სათაური ტექსტის შემადგენელი ნაწილია. იგი არის ერთ-ერთი ძლიერი პოზიცია ტექსტისა და ხასიათდება ყველა ნიშნით, რაც ძლიერი პოზიციის ერთეულს ახასიათებს ტექსტის ორგანიზაციაში. ანუ მას, როგორც ძლიერ პოზიციას, გააჩნია არა მხოლოდ სემანტიკურ-ემოციური დატვიტვა, არამედ ორგანიზების უნარი.

ზემოთ განხილული მაგალითიდან ჩანს, რომ სათაური ტექსტის კომპრესირებული სახეა. კომპრესია კი ლინგვისტური ეკონომიის სახეა და იგი ორი ძირითადი მახასიათებელით გამოირჩევა: მცირე მოცულობა და ინფორმატიული ბირთვი. ლინგვისტურ ერთეულთა ეკონომიის ტენდენცია საერთოდ ყველა ენობრივ დონეში შეინიშნება. ჩვენს შემთხვევაში კი ენის ეკონომიურობის ტენდენცია ყველაზე მკაფიოდ საგაზეთო სათაურებში ვლინდება, სადაც საგაზეთო სივრცის ეკონომიის პრობლემას სათაურის მოდელის შექმნის განსხვავებულ გზებთან და ხერხებთან მივყავართ. როგორც მაგალითებიდან ცხადი გახდა, სათაურებში აქტიურად მოქმედებს ახალი კონსტრუქციების პრინციპი. სრული სახის კონსტრუქციიდან მოწყვეტილი

ნაწილი სათაურის ფუნქციურ დატვირთვაში წარმოგვიდგება დამოუკიდებელ სტრუქტურად.

სათაურის ვრცელი ფორმიდან ფრაგმენტულზე გადასვლა შეიძლება შევადაროთ ფერწერას, სადაც რეალობის ზედმიწევნით ასახვა უინტერესო გახდა. როგორც ე. მანე წერდა, ხელოვნების მისია არ არის გამოხატო სინამდვილე, არამედ შენს მიერ დანახული და განცდილი სამყარო. სათაურის თანამედროვე მოდელი გულისხმობს ავტორის აზრის გადმოცემას არა ენობრივ ერთეულთა სიჭარბით, არამედ სიმბოლოებისა და მეტაფორების საშუალებებით. მიუხედავად იმისა, რომ ფრაგმენტული ტიპის სათაური როგორც ზემოთგანხილული იყო „KAFKA IN IRAN“ ბოლომდე არ ამბობს სათქმელს, იგი მკითხველს უღვივებს ინტერესს საკუთარი წარმოსახვით ჩაებას ავტორისეული ჩანაფიქრის გახსნაში. „ნონ-ფინიტოს“ ეფექტი ხომ ხელოვნებაში იმაში მდგომარეობს, რომ პასიური მზამზარეული სურათის მაყურებელი შემოქმედებით თანამონაწილედ აქციოს.

ზემოთქმულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ენის ერთეულთა ეკონომიის ტენდენცია გაძლიერებულად მოქმედებს სათაურში, რაც მიჩნეულია სინტაქსურ ნორმად; ეს იმით არის განპირობებული, რომ სათაურს შეუძლია მაქსიმალურად შემჭიდროებული ფორმით გადმოსცეს ყოველი იდეა, აზრი, რომლის გახსნაც სტატიის ტექსტის საშუალებით ხდება.

საგაზეთო ტექსტის სტრუქტურის ზემოთ ჩამოთვლილი თავისებურებებიდან – სათაურებიდან და შესავალი აბზაცებიდან რამდენადაც გადავდივართ უფრო მკაცრად სტრუქტურირებულ მასალაზე, თარგმნის „წესები“ სულ უფრო და უფრო „გუდაპერჩის სათამაშოს“ ხასიათს იძენს.

ამგვარად ვლინდება საგაზეთო-საინფორმაციო ტექსტის დამახასიათებელი ნიშნები, რომელიც აშკარად განსხვავდება, ვთქვათ, ოფიციალური დოკუმენტის ტექსტისაგან იმით, რომ იგი ფლობს მის ასაგებად გამოყენებული ენობრივი საშუალებების არჩევანის თავისუფლებას.

ამიტომ, საგაზეთო ტექსტის თარგმნის „წესებს“ უფრო მოქნილობა ახასიათებს, ვიდრე სხვა ოფიციალური დოკუმენტების თარგმნის წესებს, რომელთა ტექსტი ლექსიკური საშუალებების შეზღუდული რეპერტუარის მეშვეობით განსაზღვრული სინტაქსური მოდელის საფუძველზე იქმნება.

§. 5. საგაზეთო სათაურების სტილისტიკა და მისი ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტი

სათაურები გაზეთის მკითხველზე გაცილებით ფართო აუდიტორიას მოიცავს, ვინაიდან გაზეთის მყიდველი გაკვრით მაინც გადააველებს სათაურებს თვალს და მხოლოდ ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას მისი ყიდვის შესახებ. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ სათაურის ზეგავლენა მკითხველზე უზომოდ დიდია – მისი ძირითადი ფუნქციური დანიშნულება ხომ მკითხველის ინტერესის სტიმულირებაა მოცემული სტატიის გასაცნობად. ამით არის განპირობებული ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელიც კონცენტრირებულია სათაურის აზრობრივ ასპექტსა და მის ორიგინალურ ეფექტურ ენობრივ გაფორმებაზე. აღნიშნული ეფექტი კი უმთავრესად მიიღწევა ისეთი სტილისტური საშუალებების გამოყენებით, როგორცაა სიტყვების თამაში ანუ კალამბური, მეტაფორა, ალუზია და ეროვნული სახეების შექმნა, რომელთა აღქმაც განპირობებულია მკითხველის სოციო-კულტურული ფონური ცოდნით.

5.1 კალამბური

სათაურის უადრესად დამახასიათებელი ელემენტია, რომელიც ნაკლებად გვხვდება სტატიის ძირითად ნაწილში. მისი გამოყენება სახალისო ეფექტს ქმნის, რადგანაც იგი ერთგვარი თამაშია სიტყვის ორმაგ მნიშვნელობაზე. მაგალითი-სათვის ავიღოთ კალამბური: **“When is an ambulance not an ambulance? - When it turns into a hospital!”**, რომელშიც *‘turns into’* შესაძლოა ნიშნავდეს *‘changes into’* ან *‘turns into a corner’*.

ზოგჯერ, სათაურში მოცემული კალამბურის ადეკვატური აღქმა საკმაოდ რთულ მენტალურ აქტივობას და მკითხველის შესაბამის სოციო-კულტურულ ფონურ ცოდნას მოითხოვს. ეს ხდება მაშინ, როდესაც სიტყვათა თამაში კულტურული ან ლიტერატურული ხასიათის ფაქტებს ეფუძნება. საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ საინფორმაციო შეტყობინების სათაურს ავსტრალიური გაზეთიდან:

WINE MERCHANTS BRACE FOR THE GRAPES OF WRATH

(Australian, 16/6/95)

ამ სათაურში ჩადებული მესიჯის რეცეფცია მთლიანად არის დამოკიდებული მკითხველის კულტურულ ფონურ ცოდნაზე. კერძოდ, კალამბურის ეფექტი იქმნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადრესატი იცნობს ჯონ სტეინბეკის ცნობილ რომანს “მრისხანების მტევნები” ან მის ეკრანიზებულ ვერსიას. ეს კი განპირობებულია იმით, სახელადი ფრაზა “grapes of wrath” ორი მნიშვნელობით გვხვდება თანამედროვე ინგლისურ ენაში: ყოველდღიურ მეტყველებაში იგი ღვინის აღსანიშნავად გამოიყენება (მაგალითად, გამონათქვამი “She has taken a little too much of the grapes of wrath.” ნიშნავს “მან ზომაზე მეტი ღვინო დალია.”), მაშინ როდესაც სტეინბეკი ამ ფრაზას მეტაფორული მნიშვნელობით გამოიყენებს დიდი მრისხანების აღსანიშნავად. აქედან გამომდინარე, აღნიშნული სათაურის თარგმანი ქართულ ენაზე იქნება – *ღვინით მოვაჭრენი ძალებს იკრებენ უკმაყოფილების გამოსახატავად.*”

5.2. მეტაფორული სათაურები.

თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების ფილოსოფიურ საფუძველს წარმოადგენს ადამიანის მიერ სამყაროს საგნობრივ-ხდომილებრივი აღქმა, რასაც იგი ორი სახით ახორციელებს. პირველია სამყაროს **რაციონალური ანუ ლოგიკური აღქმა**, რომელიც სამყაროს რეალურ ასახვას ითვალისწინებს ობიექტურად არსებული ნიშან-თვისებების საფუძველზე; ხოლო მეორე კი – სამყაროს **მეტაფორული ანუ მიფთხოვითური აღქმა**, რომელიც ადამიანის სუბიექტურ ასოციაციებს ემყარება.

ტერმინი „მეტაფორა“ ბერძნული წარმოშობისაა (ბერძ. *metaphora* – “გადატანა”) და იგი გულისხმობს მნიშვნელობის გადატანას ერთი სიტყვიდან მეორეზე. ნაშრომში მეტაფორული სათაურების განხილვას ვაფუძნებთ ისეთ თეორიულ ცნებებს, როგორცაა მეტაფორიზაცია და მისი კოგნიტური ასპექტი. მეტაფორიზაცია წარმოადგენს აზროვნების სტილს, რომელიც შედეგია ადამიანის უნარისა შენიშნოს და დააფიქსიროს თვისობრივი მსგავსება ონტოლო-

გიურად განსხვავებულ საგნებს ან მოვლენებს შორის და გააიგივოს ისინი ერთმანეთთან მაშინ, როდესაც ასეთი გაიგივებისა და შეპირისპირების ობიექტური საფუძველი არ არსებობს (ამასთან დაკავშირებით, იხ. კრებული «
», , 1990). აქედან გამომდინარე, მეტაფორულ სათაურში ვერბალურად არის განივთვლებული სამყაროს სუბიექტურ-პოეტური ხედვა, რომელიც ჟურნალისტის ასოციაციურ ხატოვან კოგნიციაზე და ესთეტიკურ-შეფასებით აზროვნებაზეა დამყარებული, რაც სათაურს ინდივიდუალურობას, ექსპრესიულობასა და ემოციურობას სძენს.

ლინგვისტურ ლიტერატურაში გავრცელებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ მეტაფორა წარმოადგენს რედუცირებულ ხატოვან შედარებას. ეს თეზისი სათავეს იღებს ჯერ კიდევ არისტოტელეს ფილოსოფიური კონცეფციიდან და იგი ემყარება იმ მოსაზრებას, რომ ამ ორივე ლინგვისტური ფენომენის ფსიქოლოგიურ საფუძველად ავტორისეული სუბიექტური აღქმა განიხილება, რომლის დროსაც იგი ერთმანეთთან აკავშირებს და აიგივებს ან ამსგავსებს ისეთ საგნებს და მოვლენებს, რომლებსაც ამის ობიექტური საფუძველი არ გააჩნიათ. მსგავსებისა და გაიგივების ეს პროცესი ემყარება მეტყველი სუბიექტის მეტაფორულ-შეფასებით აზროვნებას, რომელსაც იგი ახორციელებს ერთი ობიექტის მეორეზე მიწერის გზით.

ემპირიული მასალის კვლევამ გვიჩვენა, რომ საგაზეთო-საინფორმაციო შეტყობინების მეტაფორული სათაურის აღქმა უშუალოდ არის დაკავშირებული მასში ნომინირებული რეფერენტული ექსტრალინგვისტური მოვლენის სოციო-კულტურული კონტექსტის ცოდნასთან. წინააღმდეგ შეთხვევაში, მკითხველი ვერ შესძლებს სათაურში მოცემული ინფორმაციის სწორ ინტერპრეტაციას. მაგალითად, საინტერესოა მეტაფორული სათაური, რომელშიც, ზმნის *to die* გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებით, ემოციურად და ხატოვნად არის რეალიზებული ინფორმაცია შეერთებული შტატების კონგრესში სასოფლო-სამეურნეო კანონის ჩავარდნის შესახებ:

FARMER BILL DIES IN HOUSE.

საკმაოდ რთულ სოციო-კულტურულ ანალიზს საჭიროებს საგაზეთო სათაური, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების საბანკო კრიზისს ასახავს კონდენსირებული ფორმით ისეთი სტილისტური გამომხატველობითი საშუალებების გამოყენებით, როგორც არის მეტონიმი და მეტაფორა:

WALL ST. LAYS AN EGG.

ამ სათაურში ავტორისეული მესიჯის აღქმა მოითხოვს მის ლინგვოკულტუროლოგიურ ინტერპრეტაციას. მკითხველი უნდა ფლობდეს პრაგმატიკულ ფონურ ცოდნას იმასთან დაკავშირებით, რომ ქუჩის დასახელება *Wall Street* გამოიყენება მეტონიმიურად საფონდო ბირჟის აღსანიშნავად; ხოლო სიტყვათშესამება *to lay an egg* (“კვერცხის დადება”) მეტაფორულად გამოიყენება გადატანითი მნიშვნელობით იმის აღსანიშნავად, რომ საფონდო ბირჟამ დიდი ხმაურის შემდეგ მიიღო სენსაციური გადაწყვეტილება.

5.3. ალუზიური სათაურები.

ალუზიას ტრადიციულად განიხილავენ ლინგვოსტილისტიკის კუთხიდან, როგორც სტილისტური დონის ენობრივ ერთეულს, რომელსაც თავისი კონცეპტური სტრუქტურა გააჩნია. ი. გალპერინის მიერ შემოთავაზებული განმარტების თანახმად, ალუზია განიხილება როგორც ლაპარაკის ან წერის დროს განხორციელებული ირიბი რეფერენცია ისტორიული, ლიტერატურული, მითოლოგიური, ბიბლიური ან ყოველდღიური ფაქტებისა, რომელთა ცოდნაც აუცილებელია მიმდინარე კონტექსტური ინფორმაციის აღქმავტურად აღქმისათვის. შესაბამისად, ალუზია წარმოგვიდგება სამი შრისაგან შემდგარ ენობრივ კონფიგურაციად, რომელშიც, ინფორმაციის კონტექსტური და ასოციაციური პლანების თანადროული რეალიზების შედეგად, ფაქტობრივი ინფორმაცია მდიდრდება ავტორის სუბიექტური მოდალობის, ანუ მისი ინდივიდუალური ხედვის გამომხატველი ესთეტურ-კონცეპტური ინფორმაციით (Galperin 1987: 187).

საგაზეთო მასალის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სათაურებში მეტწილად გამოიყენება ალუზიის ინტერტექსტუალური და პრაგმატიკული ტიპები. *ინტერტექსტუალური ალუზია* უშუალოდ უკავშირებს ერთმანეთს მიმდინარე ტექსტს და მასში ირიბი სახით რეფერირებულ წყარო ტექსტს, რომელიც ფონური ცოდნის სახით არის დაფიქსირებული ავტორის ცნობიერებაში, რის გამოც ალუზიის შედეგად წარმოქმნილი ესთეტურ-კონცეპტური ქვეტექსტის

აღქვატური ინფერენცია აუცილებლად მოითხოვს წყარო ტექსტის ცოდნას მკითხველის მხრიდანაც. პრაგმატიკული აღუზია კი უკვე სოციო-კულტურასთან კავშირში განიხილება, რაც განაპირობებს მის აღქმა-დეკოდირებას მკითხველის პრაგმატიკული ფონური ცოდნის გათვალისწინებით. საილუსტრაციოდ განვიხილოთ აღუზიური ტიპის სათაური ავსტრალიური პრესიდან:

As Jacques would say: “LET THEM EAT YELLOW CAKE”

(Australian, 17/6/95)

აღნიშნულ მაგალითში, სახელი ჟაკი პრაგმატიკული აღუზიაა, რომელიც გამოიყენება საფრანგეთის პრეზიდენტის ჟაკ შირაკის აღსანიშნავად, რის გამოც მსჯელობის საგნის იდენტიფიკაცია აუცილებლად მოითხოვს მკითხველის სოციო-კულტურული ხასიათის ფონურ ცოდნას. იგივე ფონური ცოდნის საფუძველზე მკითხველი ახდენს ინფერენციას იმასთან დაკავშირებით, რომ პრეზიდენტის მხოლოდ სახელით მოხსენიება ფამილარულია და მას გარკვეულწილად უკნინებს თავის უღებამოსილებას. გარდა ამისა, ბრიტანულ ეთნოკულტურაში სახელი *Jacques/Jack* უარყოფითი კონოტაციის მატარებელია, ვინაიდან სასაუბრო ენაში იგი წარმოადგენს სლენგს, რომელიც მეტონიმიურად გამოიყენება დაბალი სოციალური ფენის მამაკაცის აღსანიშნავად ისეთი ტიპის გამონათქვამებში, როგორცაა, მაგალითად: “I’m all right, Jack. ამავე სათაურში ფიგურირებს მეორე აღუზია – “Let them eat yellow cake,” რომელიც ინტერტექსტუალურია თავისი არსით, რადგანაც ირიბ რეფერირებას ახდენს საფრანგეთის მეფის მარიანტუანეტას ცინიკურ გამონათქვამზე – “Let them eat cake,” რომელიც სიმბოლოდ გადაიქცა სამეფო კარის ინდიფერენტული დამოკიდებულების გამოსახატავად დატაკთა და გაჭირვებულთა მიმართ. შესაბამისად, ხსენებულ სათაურში ჟურნალისტი ჟაკ შირაკს ურჩ მონარქად გვიხატავს, რომელიც ინდიფერენტულობას იჩენს არა მარტო ავსტრალიელი მოსახლეობის, არამედ მსოფლიო საზოგადოების მიმართ. მსგავსი ტიპის სათაურები საკმაოდ წარმატებულია, ვინაიდან ისინი ახდენენ მკითხველის ცნობიერების მანიპულირებას საფრანგეთის პრეზიდენტის უარყოფითი იმიჯის შესაქმნელად და მის სიჯიუტეზე ხაზგასასმელად, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვაზე მიღწეულ მსოფლიო კონსენსუსს მხოლოდ შირაკი აღუდგა წინ. მსგავსი დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს იმ პერიოდის საგაზეთო სათაურების მიმოხილვა,

რაც ნათლად წარმოაჩენს საფრანგეთის მთავრობის მიმართ ავსტრალიელების უარყოფით დამოკიდებულებას. ასეთი სათაურებია,
მაგალითად:

PRESIDENT RUNS RINGS AROUND WORLD NUCLEAR CONSENSUS

(Australian, 16/6/95)

HEAVY-HANDED CHIRAC SHATTERS RAPPORT

(Australian, 15/6/95)

WHY THE FRENCH INSIST ON ATTRACTING WORLD OUTRAGE

(Australian, 15/6/95)

5.4. “ეროვნული სახეების” ცნება საგაზეთო სათაურში

სათაურების თავისებურებების განხილვისას ასევე მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება ეროვნული სახეებზე. ტერმინი ‘ეროვნული სახეები’ შემოდებულ იქნა მოსკოვიჩის მიერ როგორც ხერხი ‘სოციალური სახეების’ კატეგორიის გასაფართოებლად. 1973 წელს მოსკოვიჩი (Moscovici, 1984:238) წინასიტყვაობაში სახეებს აღწერს როგორც ‘ლოგიკურ და საკუთარი ენის შემცველ კოგნიტიური სისტემებს’. ისინი გამოხატავენ არა მხოლოდ ‘აზრს’, ‘სახეებს’, ‘რაიმეს მიმართ დამოკიდებულებას’, არამედ ‘თეორიას’ ან ‘ცოდნის სფეროებს’ მათი საკუთარი უფლებით, სინამდვილის აღმოჩენისა და ორგანიზაციისათვის, ასევე ღირებულებათა სისტემის, იდეებისა და გამოცდილების აღმოჩენისათვის, რომელთაც ორმაგი ფუნქცია აქვთ: უპირველეს ყოვლისა, იმ რიგითობის დაწესება, რომელიც საშუალებას მისცემს ინდივიდუალურ პირებს მატერიალურ მსოფლიოზე მოახდინონ ორიენტაცია და დაეუფლონ მას, ასევე საშუალებას იძლევა საზოგადოების წევრებს შორის კომუნიკაცია გაიმართოს მათზე სახელდების კოდის მიწოდებითა და მსოფლიოს, ასევე ინდივიდებისა და ჯგუფების ისტორიის სხვადასხვა ასპექტების ბუნდოვანი კლასიფიკაციით.

შემდგომ სტატიაში მოსკოვიჩი ხაზს უსვამს სოციალური სახეების როლს ცოდნის იმ სისტემის კონსტრუირებაზე, რომელზეც ჩვენ დამოკიდებული ვართ მოვლენების ინტერპრეტირების და მასზე რეაგირების მიზნით. ის ასევე

ამტკიცებს, რომ აღნიშნული 'ცოდნა' არ გავს მეცნიერული დისკურსის რაციონალურ სამყაროს, მაგრამ ეს უკანასკნელი არის ჯანსაღი აზრის კონსენსუალური სამყარო, რომელშიც პოპულარიზებული და ნახევრად გასაგები ფორმით ცოდნის სხვა სფეროებთან შერეული მეცნიერული ცოდნის ელემენტები იფილტრება. სოციალური სახეები სათაურებში ქმნიან იმ 'გაუგებრობებისა და კონვეციების' რთულ სისტემას, რომელიც გარეშეც სოციალური ყოფა ვერ იარსებებდა', ასევე 'დაფარული სახეებისა და იდეების მთელ ჯგუფს, რომლებიც საყოველთაოდ სარწმუნოდ არის აღიარებული და მიჩნეული'. სოციალური სახეები 'რიგითობას აწესებენ', ისინი ქმნიან როგორც ნაცნობ, ისე უცნობ სახეებს. რაც საშუალებას იძლევა ახლისა და უცნობის ჩართვა მოხდეს წინასწარ დაწესებულ კატეგორიაში, რათა კომუნიკაცია მისი მონაწილეების მიერ გასაგები კოდის საფუძველზე გაიმართოს.

ტერმინი ეროვნული სახეები ცოდნის იმ სისტემას აღნიშნავს, რომელიც სხვა ერებისა და ეროვნების შესახებ ცოდნას აერთიანებს /ibid/. აღნიშნული ტერმინი შესაძლებელია გამოიყენებოდეს როგორც ერთი ერის, ხალხისა და ქვეყნის წარმოსადგენად, ისე სხვა ერებისა და ეროვნებების გამოსახატავად. ამდენად შესაძლებელია სახეთა ამ ორი კატეგორიის ურთიერთდამოკიდებულება, ასევე კონტრასტები და ორმაგი ოპოზიციების შექმნა; ასევე მნიშვნელოვანია მეორე ერის წარმომადგენლების როლის საკუთარი ერის და პიროვნების განმარტებისას. მაგალითისათვის განვიხილავთ საფრანგეთისა და ფრანგების სახეებს ავსტრალიურ პრესაში, და ასევე ავსტრალიისა და ავსტრალიელების სახეებს ფრანგულ პრესაში, რომ მოვახდინოთ იმ არგუმენტის ილუსტრირება, რომ სათაურები ინფორმაციის განსაკუთრებით მდიდარ წყაროს წარმოადგენს საზოგადოებაში მოძრავი ეროვნული სახეების შესახებ. სათაურების ანალიზის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი გარკვეულწილად უკავშირდება და მოიცავს აღნიშნულ 'ცოდნას' ჩვენს მიერ ზემოთ განხილული მიზეზების გამო: ისინი დამოკიდებული არიან ფართოდ გავრცელებულ კულტურულ ცოდნაზე, რაც ამარტივებს მათ გაგებას. ასევე, ისინი ქმნიან გარკვეულ 'სტენოგრაფიულ ნუსხას', იდეების გამარტივებითა და მათი დამალვით - შეკვეცით. ისინი თამაშობენ როგორც პასიურ, ასევე აქტიურ როლს: დამოკიდებული არიან ფონურ ცოდნაზე, რის მობილიზებასაც ახდენენ ისინი. მაგრამ ასევე ხელს უწყობენ აღნიშნული ცოდნის გავრცელებას, ახალი ასოციაციებისა და მნიშვნელობათა ქსელის შექმნით. ისინი ასევე ცდილობენ სახეების გამოყენებას პრაგმატული ეფექტის შესაქმნელად. სათაურების მიერ ზემოხსენებული ორმაგი

როლის გასაგებად ნაშრომში მიმოხილულია ის ლინგვისტური თავისებურებანი, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეროვნული სახეების განხილვისას.

ეროვნული სახეების ანალიზისას ასევე მნიშვნელოვანია დეზიგნაციის ორი სხვადასხვა ასპექტის განხილვა: გენერალიზაციისა და გაპიროვნების პროცესი.

მაგალითად: სათაურში

French refuse to parley or even answer phones (*SMH*, 15/6/95)

‘The French’ აღნიშნავს ‘საფრანგეთის საელჩოს პერსონალს’.

იმავე ფუნქციის შესრულება შეუძლია ეროვნულობის გამომხატველ ზედსართავს: ავსტრალიურ პრესაში ჩვენ ხშირად ვხვდებით ისეთ ტერმინებს როგორცაა ‘French tests’ და ‘French decisions’. აქაც ხშირია ეროვნულობის გამომხატველი სახელების გამოყენება. როგორც მოსკოვიჩი (Moscovici, 1984: 242) აღნიშნავს, ერის დასახელება ფიქტიურ ერთეულს ქმნის, რომელიც ყოველთვის პერსონიფიკაციას განიცდის.

მაგალითად, სათაურში:

France is not likely to budge (*Australian*, 17/6/95)

იგულისხმება ფრანგი ხალხი.

უფრო მეტიც, აღნიშნული ფიქტიური ერთეულების მოტივებისა და მოქმედებების ახსნა თანამედროვე ფსიქოლოგიით არის შესაძლებელი, როგორცაა ‘არასრულფასოვნების კომპლექსის’ თეორიიდან ამოდებული ტერმინოლოგია. ქვეყნების განსაზღვრებად შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ის პროცესები და მიზეზები, რომლებიც შესაძლოა ქვეყნისათვის დამახასიათებელ მოქმედებას ინდივიდუალურ დონეზე იყენებდნენ გეოპოლიტიკური მოვლენათა შესახებ განმარტებების მოსაწოდებლად. მსგავსი პროცედურის შედეგი კი შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ყველა ერის წარმომადგენელთან, ამ უკანასკნელი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ყველა თვისების თავმოყრითა და განზოგადებით.

სათაურების ასევე მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ჩვენს მიერ განხილული თვისება, რომელიც დიდ დახმარებს უწევს ზემოგანხილული ტიპის გენერალიზაცია არის სივრცული და დროის მარკერების შევიწროება, რომელიც

გამოვლენილ იქნა ზემოხსენებული თეორეტიკოსების: მარდის, ბელის, მოლ-ოიდისა და ტეტუს მიერ.

მაგალითად:

Why the French don't give a damn (SMH, 17/6/95).

აღნიშნულ სათაურში აწმყოს მარტივი დროის გამოყენება და სივრცული და დროის მარკერების შევიწროვება ხდება. აღნიშნული მახასიათებელი სა-თაურს სტატიურ აწმყოში ე.წ. „დეისტორიზაციას“ ახდენს. თუმცა შესაძლებე-ლია აღნიშნული სათაურის წაკითხვა როგორც მიმდინარე სიტუაციაზე კომენ-ტარი და ასევე მისი როგორც განგრძობითი მოვლენის აღწერა. მოვლენათა სე-რიაში ასევე ჩართულია განსაკუთრებული რეაქციები, რომლებიც დაუსაბუთე-ბელ გენერალიზაციებს ქმნიან, გარკვეული ქცევის შესახებ კომენტარები და შეხედულებები კი დროთა განმავლობაში იქცევა უცვლელი – ჩვენს შემთხვევაში კი ეროვნული თავისებურებების შესახებ გამონათქვამებად.

ბუნებრივია, რომ ეროვნული სახეების შექმნისას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება როგორც ამა თუ იმ პიროვნების პირდაპირ შეფასებას თვისობრივი ზედსართავების გამოყენებით, ასევე მის ირიბ შეფასებას მისი ქმედებების და მანერების დახასიათების გზით. ასეთ დროს შეფასების კომპონენტი, როგორც წესი, კონოტაციური სემის სახით არის მოცემული ზმნების ან ზმნიზედების სე-მანტიკურ სტრუქტურაში. რომ სხვა ერების შეფასებისას ადგილი აქვს დე-ზიგნირების პროცესებსაც. მაგრამ დეზიგნაციის ანალიზის გარდა აუცილებე-ლია შეფასების სხვა ფორმების გამოვლენაც: ზედსართავები, ზმნები, ზმნიზედები, რომლებიც მწერლის პერსპექტივას გადმოსცემენ.

მაგალითად, სათაურში

Heavy-handed Chirac shatters rapport (Australian, 15/6/95)

უარყოფითი სემანტიკის მქონე ზმნა *shatter* აგრძელებს და ხაზს უსვამს თვისო-ბრივი ზედსართავი სახელით *heavy-handed* შექმნილი შირაკის სახის უარყოფით შეფასებას, რის შედეგადაც ის წარმოდგენილია როგორც ‘ძლევამოსილი ტრა-ბახა’ – “a powerful bully”.

საგაზეთო სათაურების პრესუპოზიციური ანალიზი ხშირად გვაძლევს ეროვნული სახის მახასიათებლების გამოვლენის შესაძლებლობას. მაგალითი-სათვის ავიღოთ სათაური,

French arrogance explosive (*Telegraph*, 15/6/95)

რომელიც სხვადასხვა პრესუპოზიციების გაკეთების საშუალებას გვაძლევს, რომელთა საფუძველზეც საფრანგეთის მთავრობის და ზოგადად ფრანგების უარყოფითი სახე იქმნება ატომური იარაღის გამოცდის განახლებასთან დაკავშირებით. კერძოდ:

- ყველა ფრანგი ამაყია, რაც ერთგვარი პრესუპოზიციია, რომელიც ავსტრალიელი მკითხველისათვის არ საჭიროებს სპეციალურ არგუმენტირებას ან განმარტებას, ვინაიდან ფრანგების ამგვარი დახასიათება სტერეოტიპულია ავსტრალიელებისათვის.
- ფრანგული სიამაყით აიხსნება საფრანგეთის მთავრობის გადაწყვეტილება ბირთვული იარაღის გამოცდის ხელახლა დაწყებასთან დაკავშირებით: აღნიშნული სათაური გარკვეულ განმარტებას გვაძლევს ფრანგული ხასიათისა და გადაწყვეტილების თაობაზე.
- რომ ფრანგული სიამაყე სახიფათოა, რის გამოც შესაძლოა სათაურში გამაფრთხილებელი ტონიც იქნეს შემჩნეული.

ეროვნული სტერეოტიპური მახასიათებლების შედარება ხშირად წარმოადგენს ერთ-ერთ კონსტრუქციულ ფაქტორს ეროვნული ცნობიერების განვითარებაში. და თუ პრესა იძლევა მსგავსი პარალელების გაკვების საშუალებას, მაშინ შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სათაურები თავიანთი გავრცელების, ვიზუალური და ლინგვისტური ზემოქმედების წყალობით, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში ეროვნული ცნობიერების მუდმივად შენარჩუნებაში.

იმპლიკაციური ფორმებისა და პრესუპოზიციების ძლიერება იმ ფაქტით არის განპირობებული, რომ ისინი ფარდას ხდიან იმპლიციტურ და ნაგულისხმევ

აზრს. ავტორის მიერ გამოყენებული ე.წ. ხრიკი პრესუპოზიციას უკვე გამონათქვამად ქცეულ ფაქტად აქცევს. პრესუპოზიციები საზოგადოებაში გავრცელებული ეროვნული სახეების ამოსაცნობად გამოიყენება.

ამდენად ზემოხსენებული სათაურების განხილვამ მედიაში იმპლიციტურად ჩადებული ეროვნული სახეების ამოცნობის საშუალება მოგვცა, რაც არცთუ ისე მარტივი დავალებაა, ვინაიდან როგორც ბილლიგი ირწმუნება, 'ნაციონალიზმმა ჩვენი ცნობიერების სიღმეშიც შემოაღწია; მას ყველა სიტყვაშიც ვხვდებით, რისი გამოყენებაც შესაძლებელია ანალიზის დროს' (Billig, 1995:112). აღნიშნული მაგალითების ანალიზით საშუალება მოგვეცა ყურადღება გაგვემახვილებინა კონკრეტული ქვეყნისათვის დამახასიათებელ ეროვნულ ტრადიციებზე, რაც უპირველეს ყოვლისა თავს იჩენს საგაზეთო სათაურებში.

ჩვენს მიერ განხილული სათაურები ეროვნული სახეების სიძლიერეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, ვინაიდან იგი პერიოდულად ბრუნვაშია ფრანგულ-ავსტრალიური ურთიერთობების კრიზისის დროს. როგორც მოსკოვიჩი აღნიშნავს, ისინი განსაკუთრებით მამხილებელ ხასიათს ატარებენ: 'სოციალური სახეების ხასიათი განსაკუთრებით იჩენს თავს კრიზისისა და აღმასვლის პერიოდში... კოლექტიური მოგონებები ქრება... სოციალურ სახეებს შორის მიღებული გადაწყვეტილება კი გაუფორმებელი რჩება, ილახება მხოლოდ ინდივიდისა და საზოგადოების სახელი'. ფრანგული გაზეთების სტატიებში ვხვდებით მუდმივ ასოციაციებს ავსტრალიის ისეთ ფენომენტთა, როგორცაა სერფერებით საგსე ზღვა, ფაუნა ('კენგურუ') და სპორტი. თუმცა ისინი ავტორის მიერ ნაკლები ეფექტურობით გამოიყენება. ამ მხრივ ავსტრალიელი მკითხველი დარწმუნდება ავსტრალიური ღირებულებების შესახებ ფრანგების მწირ ცოდნაში. ავსტრალიური პრესის გაცნობით, ავსტრალიელი მკითხველი ერთი შეხედვით უფრო მდიდარ და რთულ ლექსიკას ფლობს ფრანგული ფენომენტის და ისტორიის შესახებ.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მსგავსი სახეები პრესაში ასახული მოვლენების ირგვლივ არგუმენტის, აზრისა და განმარტებების მოწოდების მთავარ წყაროს წარმოადგენს, რაც ნათლად არის ილუსტრირებული სათაურში 'French arrogance explosive'. სათაურებში კარგად მუშაობს სახეების ქსელის გავრცელებისა და მენტალური მოდელების რეფორმირების პრინციპი, ვინაიდან ახალი მოვლენები 'უკავშირდებიან' არსებულ სახეებს იმ პროცესში, რომელსაც მოსკოვიჩი (Moscovici, 1984:247) სოციალური სახეების გამოხატვის ერთ-ერთ ყველაზე ძირითად ფუნქციას უწოდებს, რაც გულისხმობს უცნობის ნაცნობად

გადაქცევას ე.წ. 'ღუზის ჩაშვების' (Anchoring) პრინციპის გამოყენებით, რომელიც განმარტებულია როგორც 'პროცესი', რომელიც იღებს რაღაც უცხოს, რასაც აღნიშნული ინტრიგით შევყავართ კატეგორიათა სისტემაში, რომელსაც შემდეგ ადარებს ჩვენთვის მისაღები კატეგორიების პარადიგმასთან' (Moscovici, 1984: 249).

ამდენად, ყოველდღიური ყოფიდან აღებული ფენომენები სხვადასხვა სიმრავლეთა შესაქმნელად გამოიყენება; ისინი შედარებულია კონკრეტულ პარადიგმებთან და პროტოტიპებთან (ეს უკანასკნელი კი ხშირად ჯგუფის წევრების და იდეათა ტიპების მაგალითს წარმოადგენენ) რომ აზრი და მნიშვნელობა მიეცეს იმ მსოფლიოს, სადაც ჩვენს ცცხოვრობთ და სადაც შეგვეძლება ჩვენი ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

როგორც აქამდე აღვნიშნეთ, სათაურების სიძლიერე და მნიშვნელობა უპირველეს ყოვლისა კულტურული, პოლიტიკური და ზოგადი ცოდნით არის განპირობებული. მათ არამარტო ინტერესის აღძვრა და ინტრიგის ჩამოგდება, არამედ წარმატებულად გაგების შემთხვევაში მათ მკითხველის ინტელექტუალური კმაყოფილებით 'დაჯილდოვებაც' შეუძლიათ. სათაურები ასევე აძლიერებენ საზოგადოების წევრობის გრძნობას, როგორც საკუთარი ერის წარმომადგენლების ასევე სხვა ერებისა და ეროვნების ტიპურ წარმომადგენლების მეშვეობით. ეროვნული მახასიათებლების შედარება ხშირად ერთ-ერთ კონსტრუქციულ ფაქტორს წარმოადგენს ეროვნული ცნობიერების განვითარებასა და შენარჩუნებაში. თუ პრესა იძლევა თანამედროვე საზოგადოებაში მსგავსი პარალელების გავლების საშუალებას, მაშინ შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სათაურები - თავიანთი გავრცელების, ვიზუალური და ლინგვისტური ზემოქმედებს წყალობით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ აღნიშნული ეროვნული სახეების ყოველდღიურ ცხოვრებაში მუდმივად შენარჩუნებაში.

დასკვნები

ამრიგად, ჩვენს მიერ განხორციელებული კვლევის შედეგები შეიძლება განზოგადდეს შემდეგი დასკვნების სახით:

1. წინამდებარე ნაშრომში საგაზეთო საინფორმაციო სათაური, როგორც ენობრივი ნიშანი, განიხილება სპეციფიური ტექსტის რანგში, რადგანაც ფუნქციური ლინგვისტიკის თვალსაზრისით ტექსტად შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი ენობრივი ოდენობა, იქნება ეს თემატურად ურთიერთდაკავშირებულ წინადადებათა თანმიმდევრობა, ერთი წინადადება ან ერთი სიტყვაც კი, თუ მას შეუძლია დამოუკიდებლად შეასრულოს კომნიკაციის ფუნქცია.

2. საინფორმაციო სათაურს განსაკუთრებული ფუნქციური დანიშნულება აქვს: ერთი მხრივ, საგაზეთო სათაური ორიენტირებულია შინაარსობრივი ინფორმაციის მაქსიმალურად შეკუმშული და შეკრული სახით გადმოცემაზე, რის გამოც იგი კონდენსირებულ ტექსტად განიხილება, რომელსაც უნარი აქვს გაიხსნას და გაიშალოს ძირითად ტექსტთან ერთად; მეორე მხრივ, საგაზეთო სათაურში რეალიზებას ჰპოვებს ავტორის კომუნიკაციური სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს მკითხველის ინტერესის სტიმულირებას საგანგებოდ შერჩეული აზრობრივი ბირთვის და მისი ეფექტური, ორიგინალური ენობრივი გაფორმებით.

3. სათაური, როგორც საინფორმაციო შეტყობინების წინმაგალი ტექსტი, წარმოადგენს ძლიერი პოზიციის ერთეულს, რომელსაც ძირითადი ტექსტის პროგნოზირების და მათგან განიხილებელი უნარი გააჩნია.

4. სათაური-ტექსტის ლინგვოსემიოტიკურმა კვლევამ მისი სემანტიკური (რეფერენციალური), სინტაქტიკური (შიდაენობრივი) და პრაგმატიკული ასპექტების გათვალისწინებით, შესაძლებლობა მოგვცა გამოგვევლინა მისი სტრუქტურული, ლექსიკურ-გრამატიკული და სტილისტური თავისებურებები, რომელთა ერთობლიობაც ქმნის საგაზეთო საინფორმაციო ტექსტის სათაურის უანრობრივ-სტილისტურ ტიპობრიობას.

5. კვლევის შედეგად დადგენილია ინგლისურენოვანი სათაურების გაფორმების ისეთი ტიპური სტრუქტურული და მორფო-სინტაქსური თავისებურებები, როგორც არის ზმნების და არტიკლების გამოტოვება, მიმდებარე კონსტრუქციები, გრამატიკულ დროთა სისტემის ფუნქციურ-სემანტიკური სპეციფიურობა და სხვა.

6. ლექსიკური თვალსაზრისით, ყურადღება არის კონცენტრირებული სათაურებში აბრევიატურების, ჟანრობრივ-სტილისტურად მარკირებული სიტყვების, სლენგებისა და ჟარგონული ფრაზების გამოყენებაზე.

7. შეპირისპირებითი თარგმნითი მეთოდის გამოყენებით გამოვლენილია ის განსხვავებები ინგლისური სათაურების ქართულ ენაზე გადატანაში მორფოლოგიის, სინტაქსის და ტექსტის დონეებზე, რომლებიც ამ ენების სტრუქტურული თავისებურებებით არის განპირობებული. კვლევის შედეგად დადგენილია მთარგმნელობითი ტრანსფორმაციების სახეები(გადანაცვლება, შეცვლა მისი ნაირსახეობებით, ანტონიმური თარგმნა, კომპენსაცია, დამატებები, გამოტოვებები და სხვ.), რომელთა საფუძველზეც შემუშავებულია რეკომენდაციები ინგლისური სათაურების ქართულ ენაზე გადასატანად.

8. სათაურების განხილვამ ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციურ ჭრილში ინტერსუბიექტურობის ფონზე წარმოაჩინა მათი ლინგოკულტუროლოგიური ანალიზის აუცილებლობა, რომელიც ადრესატის/მკითხველის სოციო-კულტურული ხასიათის ფონურ ცოდნას ეფუძნება.

9. ლინგოკულტუროლოგიური ანალიზი განხორციელებულია მეტაფორული და ალუზიური სათაურების მასალაზე, რომლებშიც ფაქტობრივი ინფორმაციული ბირთვი ავტორისეული ასოციაციურ-კოგნიტური სუბიექტურობის მატარებელია, რის გამოც მათი აღქმა-დეკოდირება გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

10. ნაშრომში, მეტაფორული სათაურების ანალიზს ვაფუძნებთ ისეთ თეორიულ ცნებებს, როგორცაა მეტაფორიზაცია და მისი კოგნიტური ასპექტი. მეტაფორიზაციას განვიხილავთ როგორც აზროვნების სტილს, რომელიც შედეგია ადამიანის უნარისა შენიშნოს და დააფიქსიროს თვისობრივი მსგავსება საგნებსა და მოვლენებს შორის და გააიგივოს ისინი ერთმანეთთან მაშინ, როდესაც ასეთი გაიგივებისა და შეპირისპირების ობიექტური საფუძველი არ არსებობს.

11. საგაზეთო-საინფორმაციო შეტყობინების მეტაფორული სათაურის აღქმა უშუალოდ არის დაკავშირებული მასში ნომინირებული რეფერენტული ექსტრალინგვისტური მოვლენის სოციო-კულტურული კონტექსტის ცოდნასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, მკითხველი ვერ შესძლებს სათაურში მოცემული ინფორმაციის სწორ ინტერპრეტაციას

12. ნაშრომში ალუზიის ფენომენი მოიაზრება გალპერინისეული გაგებით, როგორც ლაპარაკის ან წერის დროს განხორციელებული ირიბი რეფერენცია

ისტორიული, ლიტერატურული, მითოლოგიური, ბიბლიური ან ყოველდღიური ფაქტებისა, რომელთა ცოდნაც აუცილებელია მიმდინარე კონტექსტური ინფორმაციის ადექვატურად აღქმისათვის. შესაბამისად, ალუზიას განვიხილავთ სამი შრისაგან შემდგარ ენობრივ კონფიგურაციად, რომელშიც, ინფორმაციის კონტექსტური და ასოციაციური პლანების თანადროული რეალიზების შედეგად, ფაქტობრივი ინფორმაცია მდიდრდება ავტორის სუბიექტური ხედვის გამომხატველი ესთეტიკურ-კონცეპტური ინფორმაციით.

13. საგაზეთო მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ სათაურებში მეტწილად გამოიყენება ალუზიის ინტერტექსტუალური და პრაგმატიკული ტიპები. *ინტერტექსტუალური ალუზია* უშუალოდ უკავშირებს ერთმანეთს მიმდინარე ტექსტს და მასში ირიბი სახით რეფერირებულ წყარო ტექსტს, რომელიც ფონური ცოდნის ფორ-მით არის დაფიქსირებული ავტორის ცნობიერებაში, რის გამოც ალუზიის შედეგად წარმოქმნილი ესთეტიკურ-კონცეპტური ქვეტექსტის ადექვატური ინფერენცია აუცილებლად მოითხოვს წყარო ტექსტის ცოდნას მკითხველის მხრიდანაც. *პრაგმატიკული ალუზია* კი უკვე სოციუმთან და კულტურასთან კავშირში განიხილება, რაც განაპირობებს მის აღქმადეკოდირებას მკითხველის პრაგმატიკული ფონური ცოდნის გათვალისწინებით.

14. საინფორმაციო-საგაზეთო შეტყობინების სათაურებში მოცემული მეტაფორები და ალუზიები ხელს უწყობს საზოგადოებაში ეროვნული სახეების და თავისებურებების სტერეოტიპების შექმნას, რაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაში.

გ ა მ თ ე ე ნ ე ბ უ ლ ი ს ა მ ე ც ნ ი ე რ თ
ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა :

1. გ. ლებანიძე, ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური ლინგვისტიკა, თბილისი, 1998.
2. გ. ლებანიძე, კომუნიკაციური ლინგვისტიკა, ენა და კულტურა, 1997
3. გ. ნებიერიძე. ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი 1999.
4. დ. ფანჯიკიძე. თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტობის პრობლემა, თბ. 1981
5. Abastado, Claude (1980) *Messages des Medias*, Paris.
6. Antley K . Foundations of language- New York, 1974.
7. Austin, J.L. (1962) *how to do things with words*. Oxford Clarendon Press.
8. Bar Heller, (1976) *Aspects of Language*. Jerusalem: Magnes.
9. Bell, Allan *The Language of News Media*, Oxford. 1991.
10. Bierwisch M (1969) “On certain problem of semantic representation”. *Foundations of Language* 3.
11. Billig, Michael (1995) *Banal Nationalism*, London.
12. Bloomfield L. *Secondary and tertiary responses of Language*- New York. 1944.
13. Bloomfield L (1935) *language*. London: Allen & Unwin (American edition New York: Holt; Rinehart & Winsdon 1933).
14. Bolinger D. *The atomization of meaning*—New Jersey, 1967. Bonnet, Y (1976) *Linguistic Behavior*. Cambridge University Press.
15. Carnap R (1942) *Introduction to Semantics*. Cambridge, Mass MIT. Press.
16. Carnap R (1956), *The Methodological character of theoretical concepts*’. In H feigl & M Scriven.
17. Charaudeau, Patrick (1997) *Le discours d'information médiatique*, Paris: Nathan.
18. Cherry C (1957) *on Humen Communication*. Cambridge Mass: M. I. I.. Press. New York.
19. Chomsky N (1957) *Syntactic Structures*. The Hague: Mouton.
20. Chomsky N (1968) *Language & Mind*. New York.
21. Chomsky N (1976) *Reflection of Language*. London.
22. Chomsky N. *Topics in the theory of generative grammar*. Hague, 1965.
23. Compleston F. *A history of Philosophy*, vol. 2 London. Burns Dates & washbourne. 1953.

24. Cryle, Peter, Freadman, Anne & Hanna, Barbara (eds) (1992) *Unlocking Australia's Language Potential. Profiles of Nine Key Languages in Australia: French*, Melbourne, NLLIA, introduction.
25. Crystal D. *The English Tore of Voice*. London. 1975.
26. Fodor Y. D. *Semantics*. New York. 1977.
27. Frege G. *Logical structure of the language*-London, 1952.
28. Gardiner A.H. *The theory of speech and Language*. Oxford: Clarendon Press. 1932.
29. Garvin P.L. *A Prague School Reader in Aesthetics*. Bloomington, Ind. Indian University Press. 1955.
30. Geckerler H. *Strukterelle Semantic and Wolbefatheorie*/Munchen: chivago press. 1971.
31. Green J. *Psycholinguistics*. Penguin - Harmondsworth. 1972.
32. Grice H. P. *Logic and conversation*. New York, 1975.
33. Grice H. P. "Meaning" *Philosophical Review*. 1957.
34. Harris Z. *Methods in Structural Linguistics*-Chicago, 1951.
35. Harris Z. S. *Papers in Structural and Transformational Linguistics*. Dordrecht, 1970.
36. J. Kellford. *A Linguistic Theory of Translation*. 1990.
37. Jakobson R. *Typological studies and their contribution to historical comparative linguistics*—Oslo, 1958.
38. Jakobson R. *On Linguistic Aspects of Translation in On Translation*, Ed. By Brower, Cambridge, Mass., 1959.
39. Jespersen O. *Philosophy of Grammar*-New-York, 1958.
40. Katz J.J. & Fodor J. A. *The structure of a semantic theory*. 1963 .
41. Kempson R. *Marked and Unmarked meanings*—London, 1980.
42. Kiefer F. *Studies in Syntax and semantics*. 1960.
43. Kniffka, Hannes *Soziolinguistik und empirische Textanalyse: Schlagzeilen-und Leadformulierung in amerikanischen Tageszeitungen*. 1980.
44. L. Sellers, *Journalism*, New York. 1990.
45. Lakof G. *Linguistics and Natural logic*. University of Michigan. 1970.
46. Lakoff R. *A syntactic argument for negative transportation*-Chicago, 1969.
47. Leech G. M. *Semantics*. Penguin. 1904.
48. Lennebry E.H. *The Biological Foundation of Language*. New York: Wiley. 1967.
49. Lounsbury F. G. *The structural analysis of kinship semantics*. 1964.
50. Lyons J. *Human Language*. 1972.
51. Lyons J. *New Horizon in Linguistics*, Harmonds - north: Penguin. 1970.

52. Lyons J. Structural Semantics –Oxford, 1963.
53. Lyons J. Towards a "notional" theory of the "Parts of Speech"— "Journal of Linguistics", New York, 1996.
54. Mardh, Ingrid. *Headlines: On the Grammar of English Front Page Headlines*. 1980.
55. Mathews P. H. Review of Brown. (1973 Journal of Linguistics II.) 1975.
56. Miller G. A, Chomsky N. Finitary models of English Language—New York, 1963.
57. Miller G. A. Language and communication. New York. Mc. Graw Hill. 1951.
58. Morris Ch. Writings on general theory of signs.- Paris, 1971.
59. Moscovici, Serge foreword to C. Herzlich, *Health and Illness: a Social Psychological Analysis*, London, Academic Press. 1973.
60. Moscovici, Serge 'The phenomenon of social representations', in Farr, Robert M and Moscovici, Serge (eds), *Social Representations*, Cambridge: Cambridge University Press. 1984.
61. Motsch W. Situational context and illocutionary force-Cambridge, 1980.
